პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76 } მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.;
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ამხანაგ. 6—48.

პარასკევი, 24 დეკემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 295 (1750)

დ ღ ი უ რ ი

— საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ გაამართლა ლეიტენანტი რუზიერი, რომელმაც მოკლა გერმანიის ერთი მოქალაქე და ორი მძიმედ დასჭრა.
— გერმანიაში მწიფდება კონფლიქტი სამთამადნო მრეწველობაში.
— საფრანგეთის მთავრობა უშვებს 5 მილიარდ ფრანკის ქაღალდის ფულს.
— ინგლისში დაიხურა კომუნისტური ახალგაზრდობის მეოთხე ყრილობა.
— სამხრეთ-სლავიის ჟურნალისტს საუბარი ჰქონდა ამხ. ჩიჩერინთან

სამმართველო სისტემის გაუმჯობესება

მე-15 პარტკონფერენციამ საჭიროდ სცნო ჩვენი სამმართველო სისტემის, კერძოდ მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაცია. ამ მიმართულებით უკვე ენერგიული მუშაობა სწარმოებს სათანადო ორგანოებში, აგრეთვე გაცხოველებული კამპანია მიმდინარეობს პრესაში. სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია მუდამ იქცევდა პარტიის და ხელისუფლების მხრით ჯეროვან ყურადღებას, და ამ დარგში მიღწევებიც თვალსაჩინოა. მაგრამ დღეს მმართველობის სისტემის გაუმჯობესების საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანითაა წამოჭრილი, და ამ მხრივ საკმაოდ დიდი და ფართე ცვლილებები უნდა მოხდეს.

სამმართველო სისტემის რეფორმის ამოცანა წამოიჭრა სწორედ ეხლა, და ამას თავისი მიზეზები აქვს. ძველი სახ. აპარატი შეიქმნა და ჩამოყალიბდა აღორძინების პროცესის პერიოდში და ის უკვე აღარ აკმაყოფილებს მეურნეობის გადახალისების, რეკონსტრუქციის ხანის მოთხოვნილებებს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ფართე სოციალისტური მშენებლობის შინაარსი და ამოცანები ვერ თავსდებიან ძველ ორგანიზაციულ ფორმებში, რომელნიც დღეს აბრკოლებენ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატებით განვითარებას. ამიტომ აუცილებელი გახდა სამმართველო სისტემის გადახალისება, მისი შეფარდება ახალ სამეურნეო პროცესებთან, რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან, რათა ეხლანდელი პერიოდის ეკონომიურმა შინაარსმა სწორი გამოხატულება ჰპოვოს ორგანიზაციულ სისტემაში და რათა ეს უკანასკნელი თავის მხრივ შეიქმნეს სოციალისტური მშენებლობის მძლავრ ფაქტორად.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რაც აუარებელ ხარჯებს მოითხოვს, ჰგულისხმობს ყველა ჩვენი რესურსების, ყოველი სამეურნეო უჯრედის საშუალებათა მობილიზაციას და მათი რაციონალურად და გეგმაშეწონილად გამოყენებას. ეს კი პირველ ყოვლისა მაშინაა შესაძლებელი, თუ ადგილობრივ სამეურნეო ერთეულებს მიეცემათ საკმაო ინიციატივის და თვითმოქმედების გამოჩენის შესაძლებლობა. ჩვენი ეხლანდელი სამეურნეო მმართველობის სისტემის მთავარი ნაკლი ზედმეტ ცენტრალიზმში მდგომარეობს, რაც საერთოდ გამოხატავს მეურნეობის შემკრებლობით პროცესს, რომლითაც ხასიათდება აღორძინებითი პერიოდი. ეს პერიოდი დამთავრდა, სამეურნეო მშენებლობა რთულდება და ახალ საფუძვლებზე ეწყობა. აქედან აუცილებელია სხვაგვარი ურთიერთობა დამყარდეს სამეურნეო ქსელის სხვადასხვა რგოლებ შორის, ე. ი. მიზანშეწონილად უნდა გადაიჭრეს საკითხი ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის შესახებ.

დღემდე საერთოდ ისეთი მდგომარეობა იყო, როცა სამეურნეო ცენტრების გამგებლობაში იყო არა მარტო გეგმიანი ხელმძღვანელობა ქვევით მდგომ ერთეულებზე, არამედ უკანასკნელნი ზედმეტად იყვნენ შეზღუდულნი ოპერატიულ დარგშიც, ზევით დამტკიცებულ საერთო პროგრამების და გეგმების ფარგლებში მოქმედების მხრივაც. გადაჭარბებული და წვრილმანი მზრუნველობა დაბლა მყოფ ორგანოებზე ზედა ორგანოების მხრით ხელს უბორკავს პირველთ და ძლიერ ვნებს ცოცხალ მუშაობას, ხოლო მეორეთ ტვირთავს ისეთი საქმეებით, რომელთა თავიდან მოცილება და ადგილებისათვის გადაცემა აუცილებელია ცენტრალურ დაწესებულებების მიერ მათზე დაკისრებულ ძირითად მოვალეობათა პირნათლად შესრულებისათვის. ამიტომ, აუცილებელია სამმართველო სისტემის სხვადასხვა საფეხურებ შორის ფუნქციების სასტიკად გამიჯვნა, მათი უფლებების და მოვალეობათა მკაფიოდ ჩამოყალიბება, რასაც საფუძვლად უნდა ედვას ადგილებისათვის მეტი ინიციატივის მინიჭება ოპერატიულ საქმიანობაში და ამავე დროს ცენტრალურ ორგანოების მხრით ნამდვილი გეგმიანი ხელმძღვანელობის განხორციელება.

გეგმიანობა მუშაობაში ყველაზე მეტად გვესაჭიროება ამჟამად, როცა პრაქტიკულად შევუდექით ფართე სოციალისტურ მშენებლობას. პირობები ამისათვის გვაქვს. ჩვენი სახელმწიფო მატერიალურად ფეხზე წამოდგა. მეურნეობის განზოგადოებული სექტორი სულ უფრო ძლიერდება და საშუალება გვეძლევა მეტი ზეგავლენა მოვახდინოთ კერძო და კაპიტალისტურ მეურნეობაზე. კულტურულ-ტეხნიკური ძალებიც საკმაოდ მოვიპოვება, რომელთაც გამოცდილება და უნარი შესწევთ გეგმიანობის პრინციპის გატარებისათვის. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ამ დარგში ჯერ კიდევ საგრძნობლად მოვისუსტებთ, და ამაში დამნაშავეა პირველ ყოვლისა ჩვენი ეხლანდელი სამმართველო სისტემა. ხშირია შემთხვევები, როცა რომელიმე დაწესებულების გეგმა მტკიცდება მეტად დაგვიანებით, შეიძლება მაშინ, როცა ამ გეგმის ასე თუ ისე განხორციელება დასასრულს უახლოვდება. მაშასადამე, ფაქტიურად გამოდის მთლიანი გეგმის უქონლობა. გეგმების დამუშავების და დამტკიცების ასეთი გაჭიანურება აიხსნება, გარდა საგეგმო ორგანოების დატვირთვისა წვრილმანი საქმეებით, ამ ორგანოების მრავალრიცხოვანებით, პარალელიზმით და მათ შორის ფუნქციების განსაზღვრის ბუნდოვანობით. საჭიროა ამ დარგში იქნეს შეტანილი შესაძლებელი სიმარტივე.

ჩვენი სამმართველო სისტემის უდიდეს ნაკლად, რომელიც ყველას ეცემა თვალში, უნდა ჩაითვალოს ანგარიშიანობის და კონტროლის საქმის დაყენება. ცოცხალ მუშაობას ახრჩობს ანგარიშების ზღვა. ასეთი ანგარიშები ამა თუ იმ დაწესებულების მოღვაწეობის შესახებ ხშირად ათეულ ფუთობით იწონის. მეორე მხრივ ათასგვარი ანკეტების შევსება ევალება დაწესებულებებს. ყველაფერ ამაზე მიდის აუარებელი მატერიალური საშუალებები, მუშაკების დრო და ენერგია. და საგულისხმო აქ ის არის, რომ ამ ურიცხვ ანგარიშებისა და ანკეტების სისტემა ნამდვილ კონტროლს და ხელმძღვანელობას კი არ აძლიერებენ, არამედ ქმნის ნოყიერ ნიადაგს ბიუროკრატიზმის გაფურჩქვნისათვის და ხელს უწყობს უპასუხისმგებლობის აღმოცენებას. ჩვენ უნდა გამოვიმუშავოთ კონკრეტული ზომები ანგარიშიანობის საკითხის მოსაგვარებლად, რაც პირველ ყოვლისა შესაძლებელია ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების ურთიერთობის მოწესრიგებით, სამმართველო სისტემის ყოველი საფეხურისათვის მეტი უფლებების მიცემით, მათი მეტის ნდობით აღჭურვით და პასუხისმგებლობის გაძლიერებით. მაშინ დღევანდელ ანგარიშების და ანკეტების ნახევარზე მეტი სრულებით ზედმეტი იქნება და კონტროლის და ანგარიშიანობის საქმე გამარტივდება.

სამმართველო სისტემის გადახალისება და ეხლანდელ პირობებთან შეთანხმება. რა თქმა უნდა, ერთბაშად არ შეიძლება. ის უნდა გატარდეს თანდათანობით და დიდი სიფრთხილით, ვინაიდან აჩქარება და მოუფიქრებელი ცვლილებების შეტანა მმართველობის ორგანიზაციაში, ცხადია საქმეს უფრო არევ-დარევს, ვინემ სარგებლობას მოუტანს. სამმართველო სისტემის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს სოციალისტური მშენებლობის თვალსაზრისით საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლის გზით, რომელშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა ფართე მასსებმა.

ჩინეთი და ინგლისის იმპერიალისტები

(„პრავდა“ს მოწინავე წერილი)

ჩინეთის ამბები კვლავ ვითარდება. ბრძოლა რევოლიუციონურ სამხრეთისა და ჩრდილოეთის მილიტარისტებს შორის მალე გაივლის გადამწყვეტ სტადიას. კანტონელების ჯარები შანხაის უახლოვდებიან. შანხაი არის უმთავრესი ნავსადგური, უდიდესი ქალაქი 2 მილიონი მოსახლეობით და ჩინეთის მრეწველობის ცენტრი. შანხაიში არის თავმოყრილი ჩინეთის ინდუსტრიალურ მუშათა ყველაზე უფრო მძლავრი რაზმი, რომელსაც უკვე აქვს რევოლიუციონური ბრძოლის გამოცდილება და რომელმაც სხვაზე უკეთესად იცის იმპერიალისტური ტერორის საშინელებანი და ამიტომ სხვაზე უფრო სძაგს იმპერიალიზმი; შანხაის მუშებმა მოაწყვეს შესანიშნავი გაფიცვა, რომელმაც შესძრა მთელი ქვეყანა. შანხაის ხელში ჩაგდება ნიშნავს ეხლანდელი ჩინეთის გადამწყვეტი სამეურნეო და პოლიტიკური „მბრძანებელი მაღლობების“ ხელში ჩაგდებას. აი, ამიტომ, შანხაის სასწრაფოდ ხელში ჩაგდება სერიოზულ საკითხს წარმოადგენს ჩინეთის რევოლიუციისათვის და პირველ ხარისხოვანი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

აი, რატომ წარმოადგენს ძალთა რეალური განწყობილებისათვის შეუფერებელს უცხოეთის იმპერიალისტების ცდა, რომ „დიპლომატიურად“ დაანაწილონ ჩინეთი ორი მთავრობის ოფიციალურად დე-იურედ ცნობის აქტის საშუალებით. არავითარ დიპლომატიურ „დანაწილებას“ და „გადანაწილებას“ არ ძალუძს რეალური პოლიტიკური ფაქტების თავიდან აცილება. და სავსებით მართალია ბურჟუაზიული „ნიეე ციურიხერ ცეიტუნგი“, რომელიც შემდეგს აცხადებს:

„იან-ცზი-ცზიანი, რომლის უმთავრესი შინაური ნავსადგურები ხელში აქვს ჩაგდებული სამხრეთის მთავრობას და რომლის შესართავთან მდებარეობს სამეურნეო ცენტრო—შანხაი, არ შეიძლება ეხლა გადაქცეულ იქნას ორი ხელისუფლების სფეროს საზღვრად. ვინც ერთდროულად ფლობს ხან-კოუს და შანხაის, მას საუკეთესო კოზირი აქვს ხელში თავისი ბატონობის დასამყარებლად ჩინეთში“.

იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და პირველ რიგში ინგლისს თავის ეხლანდელ პოლიტიკაში არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ კანტონელების უკანასკნელ სამხედრო გამარჯვებებს. ჩრდილოეთის გავლენის განუწყვეტელი დაცემა და სამხრეთის გავლენის ზრდა აიძულებს ინგლისის იმპერიალისტებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ რევოლიუციონურ მთავრობას. აქედან გამომდინარეობს დიპლომატიური არშიყობა სამხრეთთან, აქედან გამომდინარეობს ინგლისის ელჩის ბ-ნ მაილს ლემპსონის ხეტიალი. აქედანვე გამომდინარეობს ის ნერვიული „ინიციატივა“, რომელსაც ინგლისი იჩენს უცხოეთის საქონელზე საბაჟო გადასახადების გადიდების საკითხის გამო; თუმცა ეხლანდელ კონკრეტიულ პირობებში ინგლისის მანევრი ბაჟების საქმეში არის არა [illegible] დათმობა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის მოთხოვნილებისადმი, რამდენადაც ერთგვარი მოქმედება, რომელიც სწორედ რევოლიუციის წინააღმდეგ არის მიმართული. სამხრეთის მთავრობა არაფერს არ იღებს ინგლისის „წინადადებათაგან“ და მან თვითონ რევოლიუციონური წესით უკვე გაატარა საბაჟო განაკვეთების გადიდება. მოგებული რჩებიან ჩრდილოეთის მილიტარისტები, რომელთაც ინგლისის წინადადება ფინანსიურ დახმარებას აძლევს.

არსებითად სრულიად შეუძლებელია რაიმე დაუჯეროს ჩინეთის რევოლიუციის მოსისხლე მტრის—იმპერიალისტურ ინგლისის „პაციფიზმს“. პოლიტიკა კანტონის მთავრობის ცნობისა და ნახევრად ცნობისა, არის ცბიერება და დიპლომატობა. ინგლისის დიპლომატიური მანევრები მით უფრო ეჭვის აღმძვრელია, რომ ისინი ქრონოლოგიურად საოცრად ხვდებიან ახალი სამხედრო ძალების გაგზავნას ჩინეთში. ინგლისის კადრის შემადგენლობა ჩინეთის წყლებში დღითი დღე ძლიერდება.

ამავე დროს, „ავტორიტეტული“ ოფიციოზური ინგლისის პრესა არ ფიქრობს შესწყვიტოს თავისი ბინძური კამპანია ინტერვენციისათვის ჩინეთში. სხვადასხვაგვარი იმპერიალისტური „ავგურების“ ორგანო ნოემბრის წერილში: „ჩინეთის საკითხი და მისი გადაწყვეტა“, ამგვარად სვამს საკითხს: ან ჩინეთის მუსოლინი ან ინტერვენცია. რამდენადაც დღემდე ჩინეთის მუსოლინის კანდიდატები ყოველთვის იტეხენ კისერს სამხრეთთან ბრძოლაში, იმდენად ჩინეთის „გამუსოლინების“ გეგმა ჯერ-ჯერობით გვერდზე რჩება. სამაგიეროდ ისინი ინტერვენციას აცხადებენ, როგორც პანაცეას ყოველგვარ ბოროტებათაგან.

„თუ მუსოლინი არა, ინტერვენცია“ მაგრამ კიდევ არის მესამე გზა ჩინეთისათვის. ეს გზა არის—ჩინეთის რევოლიუციის ძლევამოსილი განვითარება მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებათა.

მოსკოვი, 22 დეკემბერი.

ლიტვის ახალი მთავრობის დეკლარაცია

გადატრიალება გამოწვეულია შინაურ-პოლიტიკური მიზეზებით
ძალაში რჩება ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან
ლიტვის და პოლონეთის ინტერესთა წინააღმდეგობა
ამერიკა საფრანგეთისაგან ვალების ანგარიშში მოითხოვს კოლონიების დათმობას
კამპანია ინგლისის გაიძვერული პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში

ლიტვის პრემიერი გადატრიალების შესახებ

კოვნო, 22 დეკემბერი. ლიტვის პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვოლდემარასმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა შემდეგი:

„ლიტვაში მომხდარ აჯანყებას აქვს შინაურ-პოლიტიკური ნაციონალური ხასიათი. სამხედრო ძალის მიერ დამხობილმა წინანდელმა მთავრობამ ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში ხელოვნური პარლამენტარული კომბინაციების გზით და სარგებლობდა სოციალ-დემოკრატების, გლეხთ-ნაროდნიკების და ნაციონალურ უმცირესობათა დახმარებით, რომელთაც მთავრობამ მისცა ფართე, მაგრამ ბუნდოვანი დაპირებები. ლიტვის საზოგადოებრივი აზრი აღაშფოთა ნაციონალურ უმცირესობათათვის მინიჭებულმა უფლებებმა, რომლებმაც პრივილეგიების ხასიათი მიიღეს. მეორე მხრივ ექსტრემისტულმა ძალებმა მიიღეს შეუზღუდველი თავისუფლება თავის განმანადგურებელ პროპაგანდისათვის. ეს ელემენტები აშკარად ემზადებოდენ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. რამდენადაც ექსტრემისტული ძალები ლიტვაში მცირერიცხოვანი არიან, იმდენად მათი რევოლიუციონური საქმიანობა და აჯანყება მხოლოდ ჩარევას გამოიწვევდა პოლონეთის მხრივ. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ როგორ ჩამოგლიჯა პოლონეთმა ლიტვას 1920 წელში ვილნო. ჩვენ გვახსოვს ცნობილ გენერალ ჟელიგოვსკის ამბოხება, რომელიც მარშალ პილსუდსკის ბრძანებით „აუჯანყდა“ პოლონეთს ლიტვასთან ვილნოს ოლქის ჩამოგლეჯის მიზნით. ეხლა კი ამა წლის გაზაფხულიდან პილსუდსკი ისევ ჩაუდგა ხელისუფლებას სათავეში და ოცნებობს ლიტვის შემოერთებაზე. თუმცა ჟელიგოვსკის რეცეპტით სამხედრო აჯანყებას „მეორე გამოცემა“ იქნებოდა ცუდი ნიშანი, რადგან ვილნოში, ამ ქალაქში პილსუდსკის ყოფნის შემდეგ, უკვე აშკარად დაიწყეს ლაპარაკი ჟელიგოვსკის ფარსის განმეორებაზე, მაგრამ განახლებული დადგმა იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ აჯანყება დაიწყებოდა არა პოლონეთის ჯარებში, რომლებიც მოითხოვდენ კოვნოზე გალაშქრებას, არამედ ეს აჯანყება ბოლშევიკებს უნდა დაეწყოთ. ეს მღელვარება აიძულებდა პოლონეთს მიეღო გამაფრთხილებელი ზომები და გადაეშქრებინა კოვნოზე ვითომცდა ლიტვის მთავრობისათვის დახმარების გაწევის მიზნით. სლიჟევიჩიუსის მთავრობა აშკარად უწყობდა ხელს ბოლშევიკურ მახინაციებს ლიტვაში, რისთვისაც მას უსაყვედურებენ „კერენსკის სისუსტეს“ უკანასკნელ კვირაში კომუნისტებმა აშკარა მზადება დაიწყეს აჯანყებისათვის. სლიჟევიჩიუსის მთავრობამ არა თუ არ აღკვეთა კომუნისტების მუშაობა, არამედ, პირიქით, სამუდამოთ შეირცხვინა თავი ლიტოველთა თვალში, პოლიციის საშუალებით გარეკა რა ლიტვის ბოლშევიზაციისა და პოლონიზაციის საწინააღმდეგო მანიფესტაცია. ლიტვის არმია შეიქმნა ლიტვის ნაციონალურ სახელმწიფოს შექმნასთან ერთად. თავის შექმნის დღიდანვე ლიტვის არმია ფხიზლად ადევნებდა თვალს ყოველგვარ მოლაპარაკებას პოლონეთთან, ხედავდა რა ამ მხრივ რეალურ საფრთხეს ლიტვის დამოუკიდებლობისათვის. აი რატომ ამოქმედდა ლიტვის ოფიცრობა, როცა ის დარწმუნდა პოლონეთის თავდასხმის საფრთხეში. გარდა ამისა იყო სხვა მიზეზებიც, რომლებმაც გამოიწვიეს აჯანყება. მათ რიცხვს ეკუთვნის სლიჟევიჩიუსის მთავრობის სრული უსუსურობა სახელმწიფოს გაძღოლის საქმეში.

ამ და კიდევ სხვა, ძველმა მიზეზებმა გამოიწვიეს ის, რომ სლიჟევიჩიუსის მთავრობამ დაკარგა ყოველგვარი პატივი, ნდობა და გახდა ყველასათვის საძულველი. გადატრიალება მოხდა სრული წესრიგით და ელვისებური სისწრაფით. ეს საუკეთესოდ მოწმობს იმას, რომ მთავრობა აშკარად დაბრმავებული და განმარტოებული იყო. გადატრიალების შედეგებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ექნებათ. გაძლიერდა ლიტოველთა ნაციონალური გრძნობა და საკუთარი ძალის შეგნება. აი სწორედ ამით აიხსნება სამხედრო გამოსვლის გამარჯვება. გადატრიალებამ დაუმტკიცა ყველას კონსტიტუციის გადათვალიერების საჭიროება, რამაც ახალ მთავრობას ნაყოფიერი მუშაობის საშუალება უნდა მისცეს. საგარეო პოლიტიკაში არ არის მოსალოდნელი დიდი ცვლილებები. გადატრიალება აუცილებლად თავის გავლენას მოახდენს პოლონეთ-ლიტვას შეთანხმებაზე. პოლონელებმა უნდა შეიგნონ, რომ შეუძლებელია ლიტვის ხელში ჩაგდება რაიმე აჯანყების გზით. ამის გამო პოლონელებს მოუხდებათ ხელის აღება თავის ძველ მეთოდებზე და ახალი გზების გამონახვა. ერთად ერთ გზას წარმოადგენს შეთანხმების გზა“.

კითხვებზე პასუხის გაცემის დროს, პრემიერმა ხელმეორედ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას რომ გადატრიალება გავლენას იქონიებს, უმთავრესად, საშინაო პოლიტიკაზე და არა საგარეოზე.

„მთავრობა—განაცხადა მან,—მიიღებს ხელსაყრელ ზომებს სავაჭრო ურთიერთ დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად გერმანიასთან. სხვა მხრივ, ამ სახელმწიფოსთან ისევე ძველებური მეგობრული დამოკიდებულება გვექნება. ასეთივე დამოკიდებულების აღსადგენად პოლონეთთან საჭიროა, რომ ინიციატივა გამომდინარეობდეს უკანასკნელისაგან, რადგან იმ დრომდე სანამ ვილნო პოლონეთის ხელშია, შეუძლებელია რაიმე მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებაზე ლაპარაკი ჩვენს შორის. რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან, ის ისევე უცვლელი რჩება და, ამრიგად, ოქტომბერში დადებული პოლიტიკური ხელშეკრულებაც დარჩება ძალაში. პოლიტიკურად ლიტვას მრავალი საერთო აქვს საბჭოთა კავშირთან, კერძოდ, ერთნაირი დამოკიდებულება პოლონეთის მიმართ. ამ მხრივ ლიტვას და საბჭოთა კავშირს აქვთ საერთო გზა, სანამ არ გადაწყდება ვილნოს საკითხი.

აღნიშნა რა, რომ ის ჯერ-ჯერობით არ არის გაცნობილი დღემდე მიღწეულ შედეგებს მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, ვოლდემარასმა განაგრძო:

„ჩვენი დამოკიდებულება ბალტიის მხარის სახელმწიფოებთან დაყენებულ იქნება რეალურ ნიადაგზე. პოლიტიკური მდგომარეობა ლატვიასა და ესტონეთთან, შორს ველარ წავა, რადგან ეს ქვეყნები პოლონეთის ორიენტაციის არიან, რათა თავი დაიცვან საბჭოთა კავშირიდან მოსალოდნელ თავდასხმისაგან. ლიტვაში კი საკითხი სულ სხვანაირად სდგას. საბჭოთა კავშირთან ლიტვას არა აქვს საერთო საზღვარი და ომის შემთხვევაში საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის, ის განზე დარჩება.

ის, ვინც პოლონეთთან არის, ვერ იქნება ლიტვასთან. უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ადვილია კულტურულ თანამშრომლობისა და სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულების საკითხების გადაწყვეტა ბალტიის მხარის სახელმწიფოებთან, ვიდრე პოლიტიკური საკითხების მაგრამ, მაინც შეუძლებელია ბალტიის მხარის სახელმწიფოებთან ლიტვის საბაჟო მთლიანობის განხორციელება, რადგან ეს საკითხი პოლიტიკურად ჯერ კიდევ მოუმწიფებელია“.

საკითხზე კომუნისტური საფრთხის შესახებ ლიტვაში, ვოლდემარასმა განაცხადა:

„ეს საფრთხე უაღრესად დიდია, მიუხედავათ იმისა, რომ მეტად მცირერიცხოვანია ლიტვის პროლეტარიატი. მთავარი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ლიტვაში ვარშავა აწარმოებს ძლიერ კომუნისტურ აგიტაციას, რისთვისაც არ ზოგავს ფულებს. პოლონეთი დაინტერესებულია ბოლშევიზმის განვითარებით ლიტვაში. მე მაქვს ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებენ ამ ჩემს სიტყვებს. ამჟამად ჯერ-ჯერობით აღმოფხვრილია კომუნისტური აჯანყების საფრთხე“.

დასასრულ ვოლდემარასმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია ლიტვის პროფკავშირების დატოვება ძველ ფორმებში და მათ მიერ პოლიტიკური მუშაობის წარმოება.

ამერიკელი შეილოკის პირობები

ამერიკა საფრანგეთიდან კოლონიებს მოითხოვს ვალის ანგარიშში

ნიუ-იორკი, 22 დეკ. ვაშინგტონის მთავრობას არ სურს წავიდეს დათმობაზე საფრანგეთისადმი სამხედრო ვალების მოწესრიგების საკითხში. ამავე დროს შეერთებულმა შტატებმა ასე თუ ისე ყველა დანარჩენ მევალეებთან მიაღწია შეთანხმებას. იტალიას განსაკუთრებული შეღავათიანი პირობებიც კი მისცა.

ასეთი დამოკიდებულება საფრანგეთისადმი მით უფრო უცნაურად უნდა მოგვჩვენებოდა, რომ შეერთებულ შტატებში უკანასკნელ ხანებში უკვე დაიწყეს ლაპარაკი ევროპის სამხედრო დავალიანების ტვირთის შემსუბუქების შესახებ, ვინაიდან მათ შეიგნეს, რომ ევროპას სხვანაირად არ შეუძლია გადაიხადოს თანხები ეგრედ წოდებული „აღდგენის“ სესხის ანგარიშში. ამის გამო ამერიკაში გაისმის ხმები იმის შესახებაც, რომ საერთოდ უნდა გაუქმდეს სამხედრო ვალები.

ამავე დროს, საფრანგეთის მთავრობის მრავალჯერ განმეორებული ცდა მიეღწია შეთანხმებას სამხედრო ვალების საკითხში, ყოველთვის უნაყოფოდ დამთავრდა. კონკრეტულად თუ როგორ მოთხოვნილებებს უყენებდა ვაშინგტონის მთავრობა საფრანგეთს, ეს გამოურკვეველია. მაგრამ ის აღშფოთება, რომელიც ორი თვის წინედ გამოიწვია საფრანგეთში უკანასკნელი მოლაპარაკების უშედეგოთ დამთავრებამ, მოწმობდა იმას, რომ ეს მოთხოვნილებანი მწვავედ ეხებოდენ საფრანგეთის „პრესტიჟს“. საფრანგეთის პრესამ, განგაში ასტეხა „შეილოკის“ პირობების შესახებ. „ხალხის მასები“ შეერთებული შტატების საწინააღმდეგო დემონსტრაციებს აწყობდენ. ყოველივე ეს აშკარად ამტკიცებდა იმას, რომ „ზედაფენები“ რაღაცის გამო იყვნენ აღშფოთებული. მაგრამ რის გამო? ამაზე არაფერს ამბობდენ.

ამერიკის პრესამ ამ დღეებში ჩამოაგდო ლაპარაკი... საფრანგეთის კოლონიებზე.

ამრიგად პასუხი ამ საკითხზე უკვე გაცემულია.

ამერიკის პრესამ ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, რომ საფრანგეთი ფლობს ძალიან დიდ კოლონიებს, რომელთა სივრცე—14.229.168,65 კვ. კილომეტრს უდრის. გაზეთებს არ დაავიწყდათ აგრეთვე აღნიშნონ ისიც, რომ საფრანგეთმა ვერსალის ხელშეკრულებით მიიღო გერმანიის ტერიტორიები: აფრიკაში—752.136 კვ. კილომ., ელზას ლოთარინგში—14.516,95 კვ. კილომ., სულ 766.652,96 კვ. კილომეტრი.

და ეს იმ დროს,—აცხადებს ამერიკის პრესა,—როდესაც მთელი საფრანგეთის მეტროპოლია შეადგენს 549.789,4 კვ. კილომ., 39 მილიონი მოსახლეობით, და ეს მოსახლეობა რაოდენობით უკვე აღარ მატულობს. შეერთებული შტატების კოლონიებს კი უჭირავთ შედარებით უმნიშვნელო სივრცე—სულ 324.695,5 კვ. კილომეტრი.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ამერიკის პრესამ დაიწყო იმის მტკიცება, რომ საფრანგეთს არ გააჩნია საშუალებანი „კულტურის“ განსავითარებლად სწორედ იმ კოლონიებში, რომელნიც შეერთებულ შტატებს აინტერესებს. საფრანგეთის კოლონია გვიანა, მაგალითად, ბოროტ-მოქმედთა კოლონიად არის გადაქცეული, რომელსაც მხოლოდ დეფიციტი მოაქვს. იქ დღემდე არ არის არც რკინისგზები და არც საზოგადოებრივი სკოლები. აქედან გამოჰყავთ დასკვნა, რომ საფრანგეთი მოიგებდა იმით, თუ იგი შეერთებულ შტატებს დაუთმობს, რასაკვირველია რიგიანი ანაზღაურების მიღებით, შემდეგ კოლონიებს: გვიანას, საფრანგეთის ინდოეთს, ოკეანიის კუნძულებს, ახალ კალედონიას და მადაგასკარს, საერთო სივრცით 701.462,65 კვ. კილომეტრს. თუ საფრანგეთი ამ კოლონიებს დაუთმობს შეერთებულ შტატებს, მას საშუალება ეძლევა მიღებულ თანხით დაფაროს თავისი დავალიანების ნაწილი.

ამერიკის პრესა სცდილობს დაარწმუნოს ფრანგები, რომ კოლონიების დათმობა ვალებში სრულიადაც არ შეურაცხყოფს საფრანგეთის პრესტიჟს.

პუანკარე შეიძლება დასთანხმებოდა ამ თვალსაზრისს, მაგრამ მას ამაში ხელს უშლის ის გარემოება, რომ იგი დამოკიდებულია საფრანგეთის იმ კომპანიებისაგან, რომელნიც კოლონიების ექსპლოატაციაში არიან დაინტერესებულნი. გარდა ამისა პუანკარეს ძალიან ეშინია ამერიკის კონკურენციის.

აი, რატომ რჩება ძალაში პრესტიჟის დაცვის მოსაზრება და რატომ გაჰკივის ასე გააფთრებულად საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა „შეილოკის“ პირობების შესახებ.

მაგრამ საეჭვოა, რომ ისტერიულმა კივილმა იხსნას საფრანგეთი. ამერიკას ხელთ უპყრია ისეთი მშვიდობიანი საშუალებანი, რომლითაც იგი აიძულებს საფრანგეთს დასთანხმდეს ამ წინადადებაზე.

სამზადისი ამისათვის უკვე დიდი ხანია დაიწყო. ნიუ-იორკის ბირჟამ არა ერთხელ დასცა ფრანკის კურსი, განსაკუთრებით იმ დროს, როცა მოლაპარაკება სწარმოებდა დავალიანების საკითხის მოწესრიგების შესახებ. საფრანგეთმა ვერაფრით ვერ შესძლო სესხის მიღება ნიუ-იორკში და ვერც მიიღებს მას მანამ არ მოწესრიგდება საკითხი დავალიანების შესახებ, ე. ი. სანამ საფრანგეთი არ დაუთმობს შეერთებულ შტატებს თავისი კოლონიების ნაწილს. რომ შეერთებული შტატების ეს მიზანი მიღწეულ იქნას, ვაშინგტონის მთავრობა პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენს საფრანგეთზე იმით, რომ მფარველობს მუსოლინის, რომელიც სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება თავისი დასავლეთის მეზობლის მიმართ. (ადს საკ. კორ.).

ედო ფიმენი მექსიკის შესახებ

ვაშინგტონი, 23 დეკემბერი. ტრანსპორტელების ინტერნაციონალის გენერალურმა მდივანმა ედო ფიმენმა, რომელიც დაბრუნდა შრომის საერთაშორისო კონფერენციიდან (რომელიც მოხდა მექსიკაში) ვაშინგტონის ჟურნალისტებს სხვათა შორის შემდეგი განუცხადა:

„მექსიკაში ყოფნის დროს მე საკმაო მასალა შევაგროვე იმისათვის, რათა უარვყო ყოველივე ის სიყალბე, რომელსაც ავრცელებენ იმის შესახებ, რომ ვითომც კათოლიკურ ეკლესიას სდევნიან მექსიკაში. თუ ვინმე განიზრახავს, რომ შიგნიდან ან გარედან დაამხოს კალიესის მთავრობა, მაშინ ტრანსპორტელების საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც 2½ მილ. მუშას აერთიანებს, დახმარებას გაუწევს მექსიკის ხალხს. მე იმედი მაქვს, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია ამ შემთხვევაში ჩვენს მაგალითს მიბაძავს“.

ფიმენის უკანასკნელი განცხადება ერთგვარ საყვედურს წარმოადგენს ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის გრინის მიმართ, რომელმაც ფედერაციის კათოლიკურ ელემენტების ზეგავლენით არაერთხელ გააკეთა განცხადება საეკლესიო კონფლიქტის შესახებ მექსიკაში და ჰკიცხავდა კალიესის მთავრობას. (ადს).

საბჭოთა პრესა

მრეწველობის თვითღირებულების გაიაფება

1925—26 წ. გეგმით გათვალისწინებული იყო მრეწველობის თვითღირებულების დაკლება 5-6 პროც. ნამდვილად კი მივიღეთ გადიდება 1½ პროც. მრეწველობის თვითღირებულების გაიაფება თუ გინდ მარტო 2-3 პროც. 1926—27 წ. მოგვცემდა 150-200 მილ. მან. ეკონომიას, რომელსაც გამოვიყენებდით წარმოების გაფართოებისა, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებისა და გასაცემ ფასების შემცირებისათვის. ამ ამოცანის გადაჭრა სამეურნეო ორგანოების ერთ უმთავრეს ამოცანათაგანს შეადგენს. რა ზომებით შეიძლება ამის მიღწევა, რამდენადაც ეს დამოკიდებული იქნება მრეწველობაზე. „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“ ამაზე შემდეგნაირად უპასუხებს:

„ვინაიდან 1926—27 წ. შეუძლებელია ნედლეულსა (გარდა ბამბისა და კაუჩუკისა) და სათბობზე, აგრეთვე დამხმარე მასალებზე ფასების დაკლების მოლოდინი ვიქონიოთ, მრეწველობას კატეგორიულად ევალება გააუმჯობესოს ნედლეულის, სათბობის და დამხმარე მასალების გამოყენება და საერთოდ უკიდურესი მომჭირნეობა განახორციელოს ამ მხრივ.

შემდეგ მისდევს მასალების და სათბობის შესყიდვა - მომარაგების საქმის გაუმჯობესება, არსებულ მარაგის შემცირება იმ აუცილებელი პირობით, რომ დაწესებულ იქნეს უსასტიკესი სახელშეკრულებო დისციპლინა საჭირო მასალების მოწოდების მხრივ და გადაზიდვათა მტკიცე გეგმიანი მოწესრიგება (განსაკუთრებით სათბობ მასალის გადაზიდვის მოწესრიგება).

შრომის დარგში ძირითად ამოცანებს წარმოადგენენ: 1) მუშა ხელის რიცხვის შეფარდება წარმოების გაშლის ფაქტიურ ტემპთან, 2) ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და 3) შრომის გასამრჯელოს ისეთი ფორმების შემოღება, რომელიც ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ბოლოს ღონისძიებათა უკანასკნელი ჯგუფი ეხება მრეწველობის ორგანიზაციის დარგს. აქ პირველ რიგში დგას მრეწველობის მმართველობის მომავალი რეფორმა, რომელმაც უნდა გააფართოოს ცალკე საწარმოო დაწესებულებათა სამეურნეო თვითმოქმედება და ინიციატივა, რაც თვითღირებულების დაკლებისათვის ბრძოლის წარმატების ერთი უმთავრესი პირობათაგანია. ამასთან დაკავშირებით უნდა გაესვას ხაზი, რომ გეგმიანი დისციპლინის განმტკიცების გარეშე არ შეიძლება ველოდეთ ნამდვილ მიღწევებს თვითღირებულების გაიაფებაში“.

საცალო ფასების დაკლების და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში მრეწველობის თვითღირებულების შემცირებას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ მხრივ კი მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. აღნიშნული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ მრეწველობის თვითღირებულების გაიაფებას. სამრეწველო ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ მათ გატარებისათვის ცხოვრებაში.

კაპიტალის შემოტევა ინგლისში

18 საათის სამუშაო დღე „თავისუფალ“ ინგლისში

ლონდონი, 23 დეკემბერი. ინგლისის რკინისგზელთა ცენტრალურ კავშირის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებულია ცნობები სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ ორთქლმავლების დეპოებში. ამ ცნობების თანახმად, მრავალ შემთხვევებში ადმინისტრაცია აიძულებს მუშებს იმუშაონ 14—16 და თითქმის 18 საათიც. (ადს).

„უკანონო დახმარება“

ლონდონი, 22 დეკემბერი. ედინბურგში (შოტლანდია) სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც უკანონოდ აცხადებს იმ დახმარებას, რომელიც სამთამადნო მუშების ოჯახებს ეძლეოდათ გაფიცვის დროს. (ადს).

კონსერვატორების მარცხი

ლონდონი, 22 დეკემბერი. პენდლბერგში (ლანკაშირი) მუნიციპალიტეტის დარბაზში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს თემთა პალატის წევრებმა—კონსერვატორებმა. ორატორების ცდამ ქება-დიდება შეესხათ კონსერვატიულ მთავრობისათვის და გაემართლებიათ მისი მოქმედება სამთამადნო მუშათა გაფიცვის დროს, გამოიწვია ირონიული შენიშვნები და დაცინვა. მიტინგზე დამსწრე სამთამადნო მუშები კონსერვატორების საპასუხოდ მღეროდენ „წითელ დროშას“. მიტინგი კონსერვატორების სრული დამარცხებით დამთავრდა. (ადს).

გერმანელი მემაღაროები

ბრძოლისათვის ემზადებიან

კონფლიქტის მოლოდინში

ბერლინი, 22 დეკემბერი. 31 დეკემბერს ვადა უთავდება 1924 წელში დადებულ დამატებითი ხელშეკრულებას ზედმეტი საათების მუშაობის შესახებ ქვანახშირის მაღაროებში. 1-ლ იანვარს ავტომატიურად შედის ძალაში 8 საათის სამუშაო დღე, რომელიც გათვალისწინებულია შუა-გერმანიის ნახშირის მრეწველებთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებით. მწარმოებლები მოითხოვენ დამატებითი ხელშეკრულების განახლებას, რომლითაც შემოღებული იყო 12 საათის სამუშაო დღე. ამის გამო 16 დეკემბერს ბერლინში სწარმოებდა მოლაპარაკება მაღაროს მეპატრონეებისა და გერმანიის სამთამადნო მუშათა კავშირის წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკება უშედეგოთ დასრულდა, რადგან პროფკავშირებმა უარი განაცხადეს რაიმე დამატებითი ხელშეკრულების განახლებაზე. (ადს).

კონფლიქტი საფეიქრო მრეწველობაში

ბერლინი, 22 დეკემბერი. საქსონიის შრომის სამინისტრომ, თანახმად სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, დაადგინა 1-ლ იანვრიდან 6 პროცენტით გაუდიდოს ხელფასი საფეიქრო მუშებს. არა უგვიანეს 25 დეკემბრისა ორივე მხარემ უნდა განაცხადოს, ღებულობენ თუ არა ისინი სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას. საქსონიის ფეიქრები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას 15 პროცენტით, მწარმოებლები კი ყოველგვარი გადიდების წინააღმდეგი არიან. (ადს).

მენშევიკების ოინები

პროფმოძრაობის რევოლიუციონურ ელემენტების იზოლიაციის ახალი ცდა

პარიზი, 22 დეკემბერი. პარიზში გაიხსნა სახელმწიფო მოსამსახურეთა ავტონომიურ ფედერაციის კონგრესი. ფედერაციაში გაერთიანებულია 200 კაცი. სოციალისტები, რომელნიც ხელმძღვანელ როლს თამაშობენ ფედერაციაში, მოითხოვენ შრომის რეფორმისტულ კონფედერაციასთან შეერთებას. ამით მათ იმედი აქვთ აიძულონ რევოლიუციონური უმცირესობანი დასტოვონ ფედერაცია. ფედერაციის კომიტეტის მოქმედება სასტიკათ გააკრიტიკეს მრავალმა პროვინციელმა დელეგატებმა. (ადს).

საუბარი ჩიჩერინთან

ვენა, 23 დეკემბერი. ლიუბლინის გაზეთი „სლოვენსკი ნაროდ“ აქვეყნებს ინტერვიუს საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისართან ამხ. ჩიჩერინთან. ინტერვიუში ამხ. ჩიჩერინი აცხადებს, რომ სამხრეთ - სლავიისათვის აუცილებელია ახალი ორიენტაციის აღება საგარეო პოლიტიკაში და საბჭოთა კავშირთან დაახლოება. ბელგრადის „ვრემია“ ბეჭდავს ამ ინტერვიუს და აღნიშნავს, რომ ეს არის ჩიჩერინის პირველი ინტერვიუ, რომელიც მან მისცა სამხრეთ - სლავიის ჟურნალისტს. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

სახალხო არმიის წინსვლა

პეკინი, 23 დეკემბერი. გაზეთების ცნობით, ბრძოლის ასპარეზი სახალხო არმიისა და ლიუ-ჩენ-ხუას ჯარებს შორის არის ლინბაოსა და შენჩჟოუს შორის მდებარე რაიონი. სჩანს, რომ გაზეთების პირვანდელი ცნობები სახალხო არმიის წინსვლის შესახებ ლოიანის მიმართულებით, ნაადრევი გამოდგა. სახალხო არმია ისახავს რა მიზნად ლუნხაის რკინისგზის ხელში ჩაგდებას, ორი მიმართულებით მიიწევს წინ: ტუნგუანიდან პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ და დუშისიანიდან ჩრდილო - აღმოსავლეთით.

ამ ოპერაციების რაიონში ძლიერ არის განვითარებული „წითელი შუბების“ (გლეხთა თვითდაცვა) მოძრაობა, რომლის რაზმებში 50.000-მდე კაცი არის. „წითელი შუბების“ მოქმედება მიმართულია ადგილობრივი ხელისუფლებისა და ლიუ-ჩენ-ხუას ჯარის იმ ნაწილების წინააღმდეგ, რომელნიც უკან იხევენ.

უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინის მიმოწერა

პეკინი, 23 დეკემბერი. გაზეთები აქვეყნებენ ჩან-ძო-ლინისა და უ-პეი-ფუს მიწერ - მოწერის შინაარსს. უ-პეი-ფუ აცხადებს, რომ შემდგომ ბრძოლას კანტონელების წინააღმდეგ აბრკოლებს ფულის უქონლობა და მოითხოვს ნახევარ მილიონ დოლარს. ამასთანავე უ-პეი-ფუ კისრულობს ბრძოლის განახლებას კანტონელებისა და ხენანის წინააღმდეგ, თუ სუნ-ჩუან-ფანი და ჩან-ჩჟან-ჩანი ერთდაიმავე დროს დაიწყებენ ოპერაციებს იან-ცზის დაბლობის რაიონში.

ანხოიში და ჩჟე-ცზიანში

პეკინი, 23 დეკემბერი. ჩინეთის პრესა იუწყება, რომ შანდუნის ჯარების მე-11 კორპუსი ვან-ხან-მინის უფროსობით მიდის ანცინში (ანხოის დედაქალაქი), სადაც ვან-ხან-მინი, თითქმის უკვე ჩავიდა. იმავე ცნობების მიხედვით, ჩჟე-ცზიანის საზოგადოებრივმა წრეებმა უკვე აირჩიეს პროვინციალური მთავრობა. უკვე გამოქვეყნებულია დეკლარაცია ჩჟე-ცზიანის ავტონომიის შესახებ.

თუმცა სუნ-ჩუან-ფანმა თანხმობა მისცა ჩჟე-ცზიანის ავტონომიის განცხადებაზე, მაგრამ მისი ჯარების ნაწილები მიიწევენ სამხრეთისაკენ და მიაღწიეს ჩანგანამდე, რომელიც 50 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ხან-ჩჟოუს ჩრდილოეთ - დასავლეთით; მაშინ როდესაც მეორე დივიზიის ნაწილები უტევენ სუნ-ცზიანს, პროვინცია ცზიან-სუს და ჩჟე-ცზიანის საზღვრების მახლობლად.

კანტონის ცნობის წინ

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. „ნიუ-იორკ გერალდ“-ის შანხაელი კორესპონდენტი გრიბიუნი სწერს: „უცხო სახელმწიფოები დასთანხმდებიან კანტონის მთავრობის ნაწილობრივ ცნობაზე, როგორც კი კანტონის ჯარები აიღებენ შანხაის, რაც ახლო მომავლის საქმეა. ლემპსონი დარწმუნდა, რომ სამხრეთ ჩინეთში კანტონის მთავრობის ძალა-უფლება განმტკიცდა. (ადს).

ინგლისის მემორანდუმის წინააღმდეგ

პეკინი, 23 დეკემბერი. გომინდანის გაზეთი (პეკინის) „პიპლს ტრიბიუნი“ სასტიკად აკრიტიკებს ინგლისის მემორანდუმს. „ინგლისის წინადადებათა განხორციელება, სწერს გაზეთი, ჩრდილოეთის მილიტარისტებს დიდ თანხებს მისცემს. ნებართვა ახალი დამატებითი ბაჟების შემოღების შესახებ დიდ სარგებლობას მისცემს ჩრდილოეთელებს, რომელთა ხელშია შანხაი, ტიან-ცზინი და სხვა მნიშვნელოვანი ნავთსადგურები; კანტონის მთავრობისათვის კი იგი წარმოადგენს იმის სანქციას, რაც უკვე აქვს მას. ასეთ პირობებში ეროვნულმა მოძრაობამ გადაჭრით უნდა უარჰყოს ინგლისის წინადადებანი, როგორც ყოვლად მიუღებელი. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის წინადადებანი იქნა მიღებული, მაშინ ახალი შემოსავალი ძალთა ეხლანდელი განწყობილობის მიხედვით ჩინეთში, ამგვარად განაწილდება: ჩან-ძო-ლინს და ჩან-ცზუნ-ჩანს შეხვდება 10.200.000 დოლარი, სუნ-ჩუან-ფანს—12.600.000 დოლარი, კანტონის მთავრობას—7.200.000 დოლარი. (ადს).

ლემპსონის მახინაციები

პეკინი, 23 დეკემბერი. გუშინ პეკინში ჩამოვიდა ინგლისის ელჩი ჩინეთში მაილს ლემპსონი. ჩამოსვლამდე ლემპსონი შეხვდა ჩან-ძო-ლინს ტიან-ცზინში. ჩინეთის წყაროების ცნობით, ლემპსონმა აუხსნა ჩან-ძო-ლინს, რომ მისი ვიზიტი ხანკოუში გამოწვეული იყო იმ სურვილით, რომ ადგილობრივ გასცნობოდა მდგომარეობას. ლემპსონმა დასძინა, რომ იგი დიდ განსხვავებას ხედავს ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთს შორის და გაკვრით აღნიშნა ორი დამოუკიდებელი მთავრობის არსებობის შესაძლებლობა ჩინეთში. როგორც იუწყებიან, ჩან-ძო-ლინმა კატეგორიულად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. (ადს).

ინგლისის კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 23 დეკემბერი. ინგლისის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება. ეს მოწოდება გამოშვებულ იქნა იმ მემორანდუმის გამო, რომელიც ინგლისმა დაუგზავნა სახელმწიფოებს ჩინეთის შესახებ.

ინგლისის კომპარტიის ცეკა აცხადებს, რომ სამხედრო გალაშქრების საფრთხე ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, ინგლისის მთავრობის უკანასკნელი მანევრების შემდეგ უფრო გაიზარდა, ვიდრე შემცირდა. მოწოდება ჰკიცხავს ყოველგვარ ცდას, რომ ინგლისის პოლიტიკა ჩინეთში დახასიათებულ იქნას, როგორც მშვიდობიანი პოლიტიკა, და ასეთ ცდებს „ჩინეთის რევოლიუციის შეგნებულ საბოტაჟს“ უწოდებს. დასკვნაში ინგლისის კომპარტიის ცეკას მოწოდება დაჟინებით მოითხოვს, რომ მუშათა მოძრაობამ მიიღოს ენერგიული ზომები ინგლისის იმპერიალიზმის შეიარაღებული ინტერვენციის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჩინეთში. (ადს).

ინგლისის ახალგაზრდა კომუნისტების ყრილობა

ლონდონი, 23 დეკემბერი. გუშინ შეფილდში დაიხურა ინგლისის ახალგაზრდა კომუნისტების მეოთხე ყრილობა. ყრილობას დაესწრო 120 დელეგატი, მათ შორის მრავალი ახალგაზრდა მემაღარო. ყრილობას მიესალმა ახალგაზრდათა კომინტერნის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა:

„დელეგატების შემადგენლობა და აგრეთვე ყრილობის რევოლიუციონური განწყობილება გვიჩვენებს, რომ ინგლისის კომკავშირი ღირსია პირველი ადგილი დაიჭიროს კომუნისტური ინტერნაციონალის ახალგაზრდობის რიგებში“. (ადს).

გენსაბჭო და საბჭოთა პროფკავშირები

ლონდონი, 23 დეკემბერი. გენერალურ საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ირჩეოდა საკითხი საბჭოთა კავშირის პროფსაბჭოსთან დამოკიდებულების შესახებ. სხდომის შემდეგ განაცხადეს, რომ აღნიშნულ საკითხის მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა და ამ საკითხზე აღარ იქნება ახალი გამოსვლა ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმის სხდომამდე, რომელიც მოწვეული იქნება იანვარში. (ადს).

ორი წლის ციხე

იმისათვის, რომ ცოცხალი გადარჩა

პარიზი, 22 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო ლანდაუდან იუწყება, რომ საფრანგეთის ლეიტენანტი რუზიე გაამართლა სასამართლომ. ბრალდებულ გერმანელთ მისჯილი აქვთ ერთს 2 წლის ციხე, ხოლო მეორეს 2 თვის ციხე და სასამართლო ხარჯების დაფარვა.

შენიშვნა: დეპეშაში ლაპარაკია იმ პროცესზე, რომელიც აღიძრა გერმერსჰეიმში (რეინის ახლო) ა.-წ. 26 სექტემბერს ღამით მომხდარ შეტაკების გამო, როცა ლეიტენანტ რუზიემ, რომელსაც უსიამოვნება მოუვიდა გერმანელებთან, მოკლა გერმანიის ქვეშევრდომი მიულერი და დასჭრა ორი. მათ რიცხვში ბრალდებული მატტესი, რომელსაც მისჯილი აქვს 2 წლის ციხე. ვოლფის სააგენტოს ლანდაუელი კორესპონდენტის ცნობით, გერმანიის ქვეშევრდომთა დამცველებმა რუზიეს პროცესზე მოითხოვეს საქმის გადათვალიერება. (ადს).

პროტესტი მკვლელის გამართლების წინააღმდეგ

ბერლინი, 22 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება ლანდაუდან: „რუზიეს პროცესზე ლანდაუში ჩამოსულმა გერმანელებმა ჟურნალისტებმა გაუგზავნეს ბრიანს დეპეშა, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ საფრანგეთის სამხედრო სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ, რომლითაც გამართლებულია საფრანგეთის ლეიტენანტი რუზიე, ხოლო დასჯილი გერმანიის ორი ქვეშევრდომი. დეპეშაში აღნიშნულია, რომ რუზიეს გამართლება წარმოადგენს გერმანიის ერისა და ცივილიზაციური კაცობრიობის უფლებრივი გრძნობის შეურაცხყოფას. (ადს).

საოკუპაციო იუსტიცია

ბერლინი, 23 დეკემბერი. ვოლფის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ოკუპაციაქმნილი ოლქების მინისტრმა ბელმა განაცხადა:

„მთელი გერმანიის ხალხი აღშფოთებით შეხვდა საფრანგეთის სამხედრო სასამართლოს ყოვლად უსამართლო განაჩენს ლანდაუში. ეს განაჩენი წარმოადგენს სამართლიანობის ფეხქვეშ გათელვას. ლეიტენანტი რუზიე, რომელმაც მოკლა ერთი გერმანელი ქვეშევრდომი და დასჭრა ორი, გამართლებულ იქნა, გერმანელ ქვეშევრდომებს კი ხანგრძლივი დაპატიმრება მიუსაჯეს. იმ პირთა შორის, რომელთაც განაჩენი გამოუტანეს, იმყოფება ლეიტენანტ რუზიეს მიერ მძიმედ დაჭრილი პირი. ასეთი მდგომარეობა აუტანელია.

თუ ოკუპაციაქმნილი ოლქების მცხოვრებთა სიცოცხლეს ასეთი უმცირესი მნიშვნელობა აქვს ფრანგების სამხედრო სასამართლოს თვალში, მაშინ ამ ოლქების მოსახლეობაც უუფლებოდ გრძნობს თავს. ასეთი მდგომარეობა აშკარად ეწინააღმდეგება უკანასკნელი ორი წლის ცდებს, იმ ცდებს, რომელნიც მიმართულნი იყვნენ იმისაკენ, რომ მშვიდობიანობის დროის უფლებრივი ურთიერთობა დამყარებულიყო საფრანგეთისა და გერმანიის შორის. ამგვარი ინციდენტები გერმანელ ხალხს ესმის, როგორც შერიგების პოლიტიკის დარღვევა. ყველა გერმანელებისათვის გაკვეთილი იქნება სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ლანდაუში, სახელდობრ, ჩვენი უპირველესი მოთხოვნილება უნდა იყოს ის, რომ მივაღწიოთ რეინის ოლქის გერმანელთა განთავისუფლებას და გერმანიის სრული სუვერენიტეტის აღდგენას ამ რაიონში. მანამ, სანამ გერმანიის ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილები კვლავ ოკუპაციის ქვეშ იმყოფება, ყოველთვის იარსებებს ასეთი ინციდენტების განმეორების საფრთხე, რომელნიც მეტად სამწუხაროა და ძირს უთხრიან შერიგების პოლიტიკას. ამ პოლიტიკის განხორციელების აუცილებელი წინასწარი პირობა არის ის, რომ ოკუპაციაქმნილი ოლქების გერმანელ მოსახლეობას უნდა ქონდეს რწმენა იმაში, რომ არსებობს მათი უფლებების დაცვის გარანტია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთის ხელისუფლების სათანადო ინსტანციები ყოველი ღონით შეეცდებიან სასამართლოს მიერ დაშვებული უსამართლობის გამოსწორებას. ერთად ერთი გარანტია ამგვარი ინციდენტების განმეორების წინააღმდეგ არის მხოლოდ ოკუპაციის რაც შეიძლება მალე შეწყვეტა“ (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. რიკოვის და ვოროშილოვის მიმართვა

ავიაქიმის და საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების ორგანიზაციებისადმი

მოსკოვი, 23 დეკემბერი. მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობის განვითარება საბჭოთა კავშირში სვამს ორი მძლავრი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ავიაქიმისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების გაერთიანების საკითხს. თავის არსებობის შედარებით მოკლე ხანში ამ ორივე ორგანიზაციამ ჩააბა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ყველა ფენები, მილიონი მუშა - გლეხები ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისა და ავიაქიმიური მშენებლობის განვითარების საქმეში. თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოებისა და ავიაქიმის შეხვედრამ მასსებში ეს ორგანიზაციები დააყენა მათი გაერთიანების საჭიროების წინაშე შემდგომი მუშაობის ნორმალური და წარმატებითი გაშლისათვის. ამ ორი საზოგადოების განცალკევებული არსებობა მიზანშეწონილი იყო მათი განვითარების განვლილ ეტაპში, ხოლო დღეს, როცა ისინი გაიზარდნენ მძლავრ ორგანიზაციებად, და აერთიანებენ მილიონობით მშრომელ მოსახლეობას. მათი განცალკევებულად არსებობა იწვევს ძალების დაქსაქსვას და მავნე პარალელიზმს მუშაობაში.

გამოდის რა ამ მოსაზრებიდან, ავიაქიმისა და თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმმა გაერთიანებულ სხდომაზე დაადგინა ავიაქიმის ყრილობის და თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს პლენუმის უახლოეს გაერთიანებულ სხდომაზე შეიტანოს განსახილველად წინადადება ამ ორი საზოგადოების გაერთიანების შესახებ. ახალი საზოგადოების სტრუქტურა ისეთივე იქნება, როგორიც მიღებულია ავიაქიმისა და თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების წესდებით. გაერთიანების განხორციელებამდე, ავიაქიმისა და თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოება უნდა სცდილობდენ მჭიდრო საქმიანი კონტაქტის დამყარებას თავის მუშაობაში. რომლის დროსაც მხედველობიდან არ უნდა უშვებდენ მომზადებას გაერთიანების ორგანიზაციულად ჩასატარებლად. ორივე საზოგადოების ადგილობრივ ყრილობებზე, კონფერენციებზე და საბჭოს პლენუმებზე უნდა შუქდებოდეს გაერთიანების ფორმები და პრინციპები. ეს წინასწარი გაშუქება მოგვცემს მომავალ გაერთიანებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხების სწორად გადაწყვეტის საშუალებას ავიაქიმის სრულიად საკავშირო ყრილობაზე და თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს პლენუმზე, რომლებიც გაიმართება მოსკოვში 17 იანვარს.

საბჭოთა კავშირის ავიაქიმისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ორივე საზოგადოების ყველა ორგანიზაციები გაითვალისწინებენ განზრახულ გაერთიანების დროულობას და აუცილებლობას და მიიღებენ ზომებს მის უმტკივნეულოდ ჩასატარებლად.

ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარე— **რიკოვი**,

საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე — **ვოროშილოვი**.

ლიტვის სავაჭრო

დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 23 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარემ პურიცკისმა განაცხადა, რომ ლიტვაში მომხდარ ამბების გამო ლიტვის დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, დღეს მიემგზავრება კოვნოში მთავრობისათვის მოხსენების გასაკეთებლად და ახალი ინსტრუქციების მისაღებად. მოლაპარაკება განახლდება უქმეების შემდეგ. (ადს).

პოლონელები ელიან

ვარშავა, 23 დეკემბერი. გაზეთ „ნაშ პშეგლონდ"-ის ცნობით პოლონეთის ავტორიტეტული წრეებში ფიქრობენ, რომ დღევანდელი მომენტი არაა შესაფერისი ლიტვის პრემიერის—ვოლდემარასის დეკლარაციაზე პასუხის გასაცემათ.

აღნიშნული წრეების აზრით ეს დეკლარაცია წარმოადგენს „სხვადასხვა ორიენტაციების ბუნდოვან ნარევს". (ადს).

პოლონეთის კომპარტიის მოწოდება

ვარშავა, 22 დეკემბერი. პოლონეთის კომპარტიამ მუშებსა და ჯარისკაცებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც მოითხოვს არ დაუშვან ომი საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის ინტერვენცია ლიტვაში. (ადს).

5 მილიარდი

ქაღალდის ფრანკი

პარიზი, 22 დეკემბერი. იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა გამოუშვას 5 მილიარდი ქაღალდის ფრანკი, რათა შეისყიდოს უცხოეთის ვალიუტა და ამით თავიდან აიცილოს ფრანკის ძლიერი აწევა, რაც იწვევს საგადასახადო შემოსავლის შემცირებას. ეს თანხა არ უნდა იქნეს შეტანილი ემისიის საერთო თანხაში. (ადს).

შტრეზემანი

აღარ მიემგზავრება იტალიაში

ბერლინი, 22 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით, შტრეზემანი აღარ გაემგზავრება იტალიაში მუსოლინითან შესახვედრად. შტრეზემანი აღარ გაემგზავრება აგრეთვე ოსლოში, სადაც ის უნდა დასწრებოდა ნობელის პრემიის დარიგების გამო გამართულ ზეიმს. (ადს).

სხვადასხვა

ახალი ჰიდროპლანები

ლონდონი, 22 დეკემბერი. სოუტგემპტონის საავიაციო ქარხანამ ააგო ახალი ტიპის ჰიდროპლანები. ჰიდროპლანს აქვს 2 მოტორი, 450 ცხ. ძალის თვითეული, და ისეა მოწყობილი, რომ გაფრენისათვის სრულიად საკმარისია ერთი მოტორი. 5 კაცისაგან შემდგარი კომანდით და ყოველმხრივ შეიარაღებული, საჭირო მარაგით ახალი აპარატი იწონის 14.300 გირვანქას. (ადს).

აეროპლანის დაღუპვა

ბერლინი, 22 დეკემბერი. ლონდონ-ყარაჩის ახალ საჰაერო ხაზზე, ნეაპოლსა და მალტას შორის დაიღუპა პირველი აეროპლანი, რომელიც რადიოთი იუწყებოდა ძლიერი ქარის შესახებ. აეროპლანის მგზავრები გადმოსხდენ სიცილიაში. (ადს).

ახალი ელექტრო გზა საფრანგეთში

პარიზი, 23 დეკემბერი. საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა ტარდიემ გახსნა ახალი ელექტრონის რკინის გზა—პარიზი—ვერზონი, რომლის სიგრძე 232 კილომეტრს უდრის. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

არგენტინის ეკონომიური მდგომარეობა

არგენტინა ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებელი ბუნებრივი სიმდიდრეებით ხელსაყრელ ბაზარს წარმოადგენს უცხოეთის კაპიტალისათვის.

უახლოესი ცნობები ამტკიცებენ, რომ არგენტინაში სჭარბობს ინგლისის კაპიტალი. ლონდონის „სოუტ ამერიკან ჯორნალ"-ის ცნობით არგენტინის წარმოებებში დაბანდებული ინგლისური კაპიტალი 1925 წ. დამლევისათვის აღწევდა 400.804.340 გირვ. სტერლინგს. ამ თანხის 60 პროცენტზე მეტი დაბანდებულია არგენტინის რკინისგზებში, რომლებიც ფაქტიურად ინგლისელებს ეკუთვნის. ინგლისის კაპიტალის ზრდა არგენტინაში არ შეჩერებულა არც ომის წლებში, რასაც მოწმობს შემდეგი ცხრილი:

1910 წ. — 290.629.844 გირვ. სტერლინგი.
1913 „ — 357.740.661 „ „
1915 „ — 373.685.378 „ „
1918 „ — 379.489.836 „ „
1923 „ — 396.114.573 „ „
1925 „ — 400.804.340 „ „

მეორე ადგილი არგენტინაში დაბანდებული კაპიტალების მხრივ უჭირავს საფრანგეთს. უკანასკნელი ცნობები არგენტინაში დაბანდებული ფრანგული კაპიტალის შესახებ შეეხება 1916 წ. ამ წელიწადს საფრანგეთის ბანკების მიერ არგენტინისათვის მიცემული კრედიტების ჯამი უდრიდა 400 მილიონ დოლარს.

შემდეგი ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს, რომელსაც, ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, არგენტინაში დაბანდებული აქვს 312.800.000 დოლარი.

გერმანიის კაპიტალი არგენტინაში 1916 წ. უდრიდა 250 მილიონ დოლარს. მაგრამ ეს თანხა საგრძნობათ შემცირდა მას შემდეგ, რაც ომის დროს გერმანიის ელექტრონული სადგურები ბუენოს-აირესში, მენდოზოში და სხვა ქალაქებში გადავიდა ესპანელების ხელში.

უცხოეთის კაპიტალის საერთო ჯამი არგენტინაში, არგენტინის სტატისტიკის მიხედვით, 1918 წ. უდრიდა 4 ½ მილიარდ ოქროს პეზოს (ოქროს პეზო უდრის დაახლოებით 1 მ. 75 კაპ.). უცხოელ კაპიტალისტების ხელშია არგენტინის რკინისგზები, ხორცისა და ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა.

არგენტინის სავაჭრო ბალანსი უკანასკნელ ხანებში ჩვეულებრივ პასიურია, მაგრამ მცირეოდენი დეფიციტით. მიმდინარე წლის პირველ ექვსი თვის განმავლობაში არგენტინის ექსპორტის ჯამი შეადგენდა 446.465.215 დოლარს, ე. ი. 10,3 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე 1925 წლის ამავე პერიოდის განმავლობაში. საერთოდ არგენტინის ექსპორტი წლიდან-წლობით ეცემა. ასე მაგალითად 1920 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში იგი შეადგენდა — 624.448.972 დოლარს, 1924 წ. — 569.885.165 და 1925 წ. —497.684.484 დოლარს.

მთავარი საექსპორტო საგნებია სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის პროდუქტები, სახელდობრ: ხორცი, მატყლი, ხორბალი და ფქვილი.

ხორბალის მხრივ არგენტინას მეხუთე - მეექვსე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, სელის დამზადების მხრივ კი — პირველი ადგილი. 1923—24 წ. არგენტინაში დამზადებული იქნა 247 მილიონი დოლარის ხორბალი, 153 მილიონი დოლარის —სიმინდი და 63 მილიონი ბუშელი (ბუშელი თითქმის 1½ ფუთს უდრის) სელი.

1923—24 წ. უცხოეთში გატანილი ხორბალის, სიმინდის და სელის საერთო ღირებულება უდრის 500 მილიონ დოლლარს. გარდა ამისა, 1923 წ. არგენტინიდან უცხოეთში გაიყვანეს 37.065.000 სული რქოსანი საქონელი, 30.672.000 ცხვარი და 8.300.000 ცხენი.

არგენტინაში დღემდი ამუშავებენ ვარგისი მიწების მხოლოდ მცირე ნაწილს. ამჟამად სათესი მიწების სივრცე არგენტინაში შეადგენს— 55.015.000 აკრს (აკრი უდრის — თითქმის ერთ ქცევას, 888 კვადრ. საჟენს), რაც 1914 წ. შედარებით უმნიშვნელო გადიდებას იძლევა. დასამუშავებლად ვარგისი მიწების დიდი ნაწილი კვლავინდებურად უპატრონოდ არის მიტოვებული. და მხოლოდ ნაწილობრივათ არის გამოყენებული მესაქონლეობისათვის.

დამმუშავებელი მრეწველობა, შინაური ნედლეული მასალის სიმცირის გამო, სუსტად არის განვითარებული არგენტინაში. ქვეყნის მრეწველობის მთავარი დარგია—სასურსათო პროდუქტების დამუშავება, ხორცის და კონსერვების დამზადება.

გერმანია

რა უჯდება მუშათა კლასს რაციონალიზაცია

კაპიტალისტური რაციონალიზაცია გერმანიაში ძვირათ დაუჯდა მუშათა კლასს. უმუშევრობა, შრომის ხელფასის შემცირება, სამუშაო დღის გადიდება—ლანდივით თან დაჰყვება რაციონალიზაციას, ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ იმ გაჭირვებაზე, სილატაკეზე, დამამცირებელ მდგომარეობაზე, რომელშიც ჩავარდა გერმანიის მუშათა კლასი. აქ შევეცდებით მხოლოდ მშრალ ციფრებში გამოვხატოთ, თუ რამდენი მარკა დაუჯდა რაციონალიზაცია გერმანიის პროლეტარიატს.

გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების ოფიციალური ცნობების თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის თებერვალში, გერმანიის მუშათა კლასის მთელი საერთო შრომის ხელფასი შეადგენს 33—36 მილიარდ მარკას წლიურათ. ეს ცნობები შეეხება 1925 წლის შემოდგომას, როცა უმუშევრობა შედარებით უმნიშვნელო იყო. ამჟამად მუშების 30 პროც. შეადგენენ უმუშევრები ანდა არასრული კვირის განმავლობაში მომუშავეები და ამიტომ მუშების საერთო ხელფასის ჯამი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე 1925 წ.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შემცირდა მუშების ხელფასის საერთო ჯამი, მივმართოთ ცნობებს შრომის ხელფასზე დაწესებული გადასახადების შესახებ. 1925 წლის შემოდგომაზე, შრომის ხელფასზე დაწესებულ გადასახადიდან სახელმწიფო იღებდა 120—125 მილიონ მარკას ყოველთვიურად. 1926 წლის აპრილიდან სექტემბრამდი ამ გადასახადის სახით სახელმწიფოს სალაროში თვიურად შედიოდა მხოლოდ 86 მილიონი მარკა თვიურად. მაშასადამე შემოსავალი შრომის ხელფასზე დაწესებული გადასახადიდან შემცირებულია ერთი მეოთხედით. ამდენივეთივე, მაშასადამე, შემცირებულია მუშების შრომის ხელფასის საერთო ჯამი.

ბურჟუაზიული ეკონომიური ჟურნალი „ვირტშაფტსდინსტ"-იც დააინტერესა საკითხმა, თუ რამდენათ შემცირდა მუშათა შრომის ხელფასის საერთო ჯამი. თავის გამოანგარიშებას ჟურნალმა საფუძვლად დაუდო უმუშევართა რიცხვი, რომელიც „ვირტშაფტსდინსტ"-ის ცნობებით, 1926 წ. შუა თვეებში 2.250.000-დი აღწევდა რიცხვი კვირაში რამდენიმე დღის განმავლობაში მომუშავეების, რომელთა რაოდენობა იმავე დროისათვის 1.700.000 შეადგენდა. ამ ციფრების მიხედვით „ვირტშაფტსდინსტ" იმ დასკვნამდი მივიდა, რომ მიმდინარე წელს მუშათა კლასმა მიიღო 4.400.000.000 მარკით ნაკლები, ვინემ წარსულ წელს.

შემდეგ, ოფიციალური სტატისტიკაც კი აღიარებს, რომ 1926 წ. მარტიდან დაწყებული სექტემბრამდი, შრომის ხელფასი შემცირდა 46.02 მარკიდან 45.2 მარკამდი კვალიფიციური მუშისათვის და 33,95 მარკიდან 31,91 მარკამდი არაკვალიფიციური მუშისათვის. თუ ამას მივუმატებთ კიდევ ხელფასის შემცირებას გამომუშავების საერთო ნორმის გადიდების გამო, გამოვა, რომ მუშათა კლასის ხელფასის საერთო ჯამი შემცირდა 5-დან 6 მილიარდ მარკამდი (1925—26 სამეურნეო წელში). ეს ნიშნავს, რომ ყოველთვიურად მუშათა კლასი კარგავს ნახევარ მილიარდ მარკას. სულ გერმანიაში ითვლება 21 მილიონი მუშა, ასე რომ თითეულ მათგანს წლიურად აკლდება 300 მარკა.

ვ. გ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კრასინის მეგობართა წრე

მოსკოვი, 23 დეკემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პარტისისთან არსებული კრასინის მეგობართა წრეში, რომელშიაც შედიან: ამხ. განეცკი, ენუქიძე, კრუპსკაია, კრჟიჟანოვსკი, ლიტვინოვი, ლიადოვი, სტომონიაკოვი, გურიოვი და ფრუმკინი, მიმართავს ყველა ამხანაგებს, რომელთაც აქვთ ამხ. კრასინის წერილები, ან სხვა რაიმე დოკუმენტები და მისი ფოტოგრაფია გაგზავნონ ასეთი მისამართით: მოსკოვი, კუზნეცის ხიდი, 5/15 გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი. სტომიაკოვს. მიღებული მასალები: მოგონებანი, წერილები და სიტყვები გამოიცემა ცალკე წიგნად. (ადს).

წყალზე მომუშავეთა კავშირის პლენუმი

მოსკოვი, 23 დეკემბერი. დასრულდა წყალზე მომუშავეთა კავშირის ცეკას პლენუმი, რომელმაც დაადგინა გაგრძელებულ იქნეს და ხელ-ახლათ დაიდოს ყველა კოლექტიური ხელშეკრულებანი, 1927 წლის 1-ლ აპრილამდე. ვინაიდან მდინარეებზე ნაოსნობის დარგის მუშების სამუშაო პირობები არსებითად განსხვავდება საზღვაოსნო მუშათა მუშაობის პირობებისაგან, კავშირის ცეკას პლენუმმა დაადგინა გადაჭრით უარყოს გენერალური კოლექტიური ხელშეკრულების დადება საზღვაო და მდინარეებზე მომუშავე ტრანსპორტელთათვის.

გარდა ამისა პლენუმმა დასახა მთელი რიგი ზომები უმუშევრობასთან საბრძოლველათ. (ადს).

ტაჯიკისტანის ცაკის პირველი სხდომა

დიუშამბე, 23 დეკემბერი. შესდგა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი პლენარული სხდომა. არჩეულ იქნა ცაკის პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო. ცაკის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მაქსუმ ნუსრატულა, თავმჯდომარის მოადგილედ კარიევი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ მუხიდინოვი და სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ შელკუმოვი. (ადს).

მზადება ლეიპციგის ბაზრობისათვის

მოსკოვი. 23 დეკემბერი. ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა გერმანიაში აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას ლეიპციგის მორიგ ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებათ. ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონში წარმოდგენილი იქნება განყოფილებები: პური, თესლეული, საკვები ბალახები. ტეხნიკური და სპეციალური კულტურები, ბეწვეული, ტყე და სატყეო მასალები, მინერალური ნედლეული და დამზადებული საქონელი. (ადს(.

კრივის აკრძალვა

ხარკოვი. 23 დეკემბერი. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პლენუმმა დაადგინა აკრძალულ იქნეს უკრაინაში კრივი, როგორც სპორტი, რომელიც არამც თუ არ ემსახურება მშრომელთა გაჯანსაღების საქმეს, არამედ აღვივებს მავნე ინსტიქტებს. (ადს).

ნავთის მრეწველობა

ნავთის მიწოდება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებისათვის

მოსკოვი, 23 დეკემბ. შესდგა თათბირი კასპიის ზღვის ნავთსადგურებში და ვოლგის ზემო ნაწილ ნავთსადგურებში 1927 წლის ნაოსნობის პერიოდში ნავთის პროდუქტების შეზიდვის პროგრამის შედგენის შესახებ. თათბირზე აღინიშნა, რომ მიუხედავათ იმ სიძნელეთა, რომელნიც აბრკოლებდენ 1926 წლის ნავიგაციას (მისი გვიანი გახსნა, მდინარეების გაყინვა და სხვ.) წყლის გზით ნავთის გატანის პროგრამა შესრულებულ იქნა წარმატებით.

1927 წლის ნავიგაციის პერიოდში ნავთის პროდუქტების საზღვაო ექსპორტის პროგრამის მიხედვით ბაქოდან გატანილი იქნება სულ 3.759.000 ტონა ნავთის პროდუქტები. (229½ მილიონი ფუთი), მათ შორის ასტრახანში 3.195.0 ტონა (195.000 მილ. ფუთი), კრასნოვოდსკში— 270.000 ტონა (16½ მილ. ფუთი), პეტროვსკში —254.000 ტონა (15½ მილ. ფ.) და დანარჩენ ნავთსადგურებში — 41.000 ტონა (2½ მილ. ფუთი). ნავთის სინდიკატს წინადადება მიეცა, რათა დაუყოვნებლივ, ეხლანდელ ნავიგაციის პერიოდში ნავთის პროდუქტების გატანის შეწყვეტის შემდეგ, მზათ ქონდეს ზამთრის მარაგი ასტრახანში, აპრილის და მაისის თვეებში გაზიდვის საწარმოებლად. (ადს).

ნავთის ექსპორტი

მოსკოვი, 22 დეკემბ. საბჭოთა კავშირის საერთო ექსპორტის ღირებულება 1925—26 წლის განმავლობაში 14 პროცენტით მეტად გაიზარდა, ვიდრე ნავთის ექსპორტი. ამის გამო, ნავთისა და მისი პროდუქტების როლი საბჭოთა ექსპორტში რამოდენიმეთ შემცირდა — 10.4 პროც-დე. წარსული წლის 11,6 პროც-ის ნაცვლად. სერებროვსკის მიერ დადებული ხელშეკრულებები რამოდენიმეთ ადიდებს ამ პროცენტს. სერებროვსკიმ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ინგლისისათვის მანქანის ზეთის მიწოდების შესახებ. გაზოლინის, ბენზინის და საექსპორტო მაზუთის ნაწილი გაყიდულ იქმა საფრანგეთსა და ბელგიაში.

საექსპორტო ნავთის პროდუქტების უფრო წარმატებით გადაზიდვისთვის ბათომში, ჩრდილოეთიდან ბათომში გაგზავნილ იქნა 200 ცისტერნა. (ადს).

კომისიის დაარსება

მოსკოვი, 23 დეკემბ. აზერბეიჯანის, გროზნოს და ნავთის სინდიკატის ნავთის წარმოებათა ექსპონატების გამოსაფენათ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში მოწყობილ გამოფენებზე, გადაწყვეტილია შეიქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შევლენ ყველა ზემოთდასახელებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

კომისიას დაევალება შეიმუშაოს გამოფენებზე აზნავთის, გროზნავთის და ნავთის სინდიკატის გამოფენებზე მონაწილეობის საერთო გეგმა და პროგრამა. (ადს).

მებამბეობის მრეწველობის რეორგანიზაციისათვის

მოსკოვი, 23 დეკემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში, მებამბეობის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ შემდეგნაირად გააშუქა ბამბის მრეწველობის რეორგანიზაციის საკითხი:

„მებამბეობის ორგანიზაციების არსებული სტრუქტურა დღევანდელი მისი სახით მეტად რთულია. ამ სტრუქტურების ძირითადი დეფექტი ის არის, რომ მებამბეობის მთლიან მრეწველობაში შექმნილია მეტი რიგი იურიდიულად და სამეურნეო მხრივ დამოუკიდებელ ორგანიზაციებისა, საკუთარი წესდებით, კაპიტალით, დამოუკიდებელ ანგარიშწარმოებით და სხვ. სელექციური სათესლე საქმე, რომელიც უაღრესად დიდ როლს ითამაშებს მოსავლიანობის აწევის საკითხში, ყოვლად შეუძლებელია განაწილდეს მებამბეობის ორგანიზაციებს შორის. სელექციურ-სათესლე მეურნეობის არსებული დანაწილება რესპუბლიკებს შორის ისეთია, რომ 1927 წლისათვის გვაქვს სათესლე მასალა თურქმენისტანში ნორმაზე მეტი, უზბეკისტანში—ნორმაზე ცოტათი ნაკლები, ხოლო ამიერ-კავკასიაში მხოლოდ საჭირო რაოდენობის 30 პროც.

მებამბეობის მთავარი კომიტეტი სთვლის, რომ კავშირის მთელი და, მაშასადამე, ყოველი ცალკე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინტერესების დასაცავად საჭიროა ისე მოეწყოს ორგანიზაცია, რომ ის არ აფერხებდეს მთელი საქმის განვითარებას და ხელს უწყობდეს ფასების დაკლებას ბამბის მეურნის შემოსავლის შეუმცირებლად. გამოდის რა ამ ძირითადი მოსაზრებებიდან, მებამბეობის მთავარი კომიტეტი წინადადებას იძლევა ამჟამად არსებულ მრავალრიცხოვან იურიდიულ-დამოუკიდებელ სამეურნეო ორგანიზაციების ნაცვლად (მებამბეობის მთავარი კომიტეტი, ადგილობრივი სააქციონერო საზოგადოებები, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი) შექმნილ იქნას ერთი, მთლიანი, სრულიად საკავშირო სააქციონერო საზოგადოება მასში ნაციონალურ რესპუბლიკების და საფეიქრო მრეწველობის მონაწილეობით. სელექციურ-სათესლე მუშაობა და ზეთის სახდელი საქმე, მებამბეობის მთავარი კომიტეტის აზრით, საჭიროა გაერთიანებული იქნეს შუა აზიისა და ამიერ-კავკასიის მასშტაბით დამოუკიდებელ ერთეულებში.

წმინდა ოპერატიული საბამბო მუშაობის მხრივ მთავარი კომიტეტი წინადადებას იძლევა შექმნილ იქნას ოპერატიული საბამბო კანტორები ნაციონალურ რესპუბლიკების ტერიტორიასთან ან და ცალკე გეოგრაფიულ რაიონებთან შეფარდებით. ასეთი ორგანიზაცია მოსპობს ზედმეტ ორგანოებს მმართველობის სისტემაში და საშუალებათა გაბნევას, მათი მოხმარების სიძნელეს და, აქედან გამომდინარე, დიდი პროცენტების გადახდის აუცილებლობას. მშენებლობისა და მასალის მომარაგების საკითხში შესაძლებელი ხდება მათი სტანდარტიზაცია, საქმის გამარტივება და ზედმეტი საქონლის დაგროვების მოსპობა. ყველა ეს საქმის წარმოების და, მაშასადამე, ნართის გაიაფების შესაძლებლობას იძლევა. აქედანვე აუცილებლივ გამომდინარეობს ფართლეულის გაიაფება და როგორც მუშის ისე გლეხის ხელფასის რეალური ზრდა. (ადს).

ფერადი ლითონის მადნების გამოკვლევა

მოსკოვი, 23 დეკემბერი. ფერადი ლითონის კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფესორ ფეოდოროვსკის მოხსენება ჯეტისუის რაიონის (კაზაკისტანის, ყირგიზეთის და კარა-ყირგიზეთის რესპუბლიკების ტერიტორიაზე) ფერადი ლითონის მადნების გამოკვლევის შესახებ.

მომხსენებელმა კრებას წარუდგინა ტყვიის, ტყვია - ცინკის, სპილენძის და რკინის მადანის ნიმუშები. მომხსენებლის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდა ტყვიის მადანს, რომელიც არეული არ არის სხვა ფერად ლითონებში. ასეთი მადანით განსაკუთრებით მდიდარია მთელი რაიონი ქალაქ აულიეატიდან ტაშკენტის რკინისგზის ბოლომდე 100 კილომეტრის მანძილზე ორივე მხრით. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სემირეჩიეს რკინისგზა გაივლის სწორედ ამ ფერადი ლითონების მადნების ერთ-ერთ უმდიდრეს რაიონში.

კომიტეტმა თავის დადგენილებაში აუცილებლად სცნო, რათა დაჩქარდეს ფერადი ლითონების მადნების გამოკვლევა ჯეტისუის რაიონში. უახლოეს სხდომაზე განხილულ იქნება კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა და დასახულ იქნება ის ობიექტები, რომელნიც პირველ რიგში უნდა იქნან გამოკვლეული. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ცენტრალურ მუშათა კოოპერატივში

ბაქო, 23 დეკემბერი. ცენტრალურ მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა პირველ კრებაზე მოხსენებით გამგეობის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. პიტერსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ა.-წ. 1-ლ ოქტომბრისათვის კოოპერატივ „გორნიაკში" ითვლებოდა 47.680 წევრი. კოოპერატივს ჰქონდა 230.000 მან. საპაიო კაპიტალი, ხოლო ბაქოს კოოპერატიულ კავშირში ითვლებოდა 46.000 წევრი. ბაქოს კოოპერატიული კავშირის წლიური ბრუნვა გამოიხატა 22 მილიონ მანეთში, ხოლო „გორნიაკის" — 14 მილიონ მანეთში. საქონელი ორივე კოოპერატივში დაკლებულ იქნა 18.5 და 17,7%-ით. საოპერაციო ხარჯი ბაქოს კოოპერატიულ კავშირში უდრის 10,8%-ს, ხოლო „გორნიაკში" — 12.7%. 1-ლ ოქტომბრისათვის ბაქოს კოოპერატიულ კავშირს ჰქონდა საკუთარი საბრუნავი თანხა 1.276.000 მან., ხოლო სასესხო 2.238.000 მან. იმავე შეფარდებით „გორნიაკს" — 817,600 მან. და 1.927.000 მან.

მუშათა უბნის გაშენება

განჯა, 23 დეკემბერი. მაუდის ფაბრიკის რაიონში შეუდგენ მუშათა უბნის გაშენებას. უბანში აიგება 14 ორსართულიანი სახლი. ყოველ სახლში იქნება 8 ოთახი. (ადს).

ზეთის სახდელი ქარხანა

განჯა, 23 დეკემბერი. ზეთის სახდელ ქარხანაში შეუდგენ დანარჩენი 8 წნეხის მოწყობას. (ადს).

სომხეთში

ლენინაკანის აღსადგენად

ერევანი, 23 დეკემბერი. სახელმწიფო დამზღვევმა სამმართველომ დასაზღვევ თანხებიდან ლენინაკანის საბინაო მშენებლობაზე გადასდო 2.168.000 მან.

ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულ მუშა - მოსამსახურეთათვის დახმარების აღმოსაჩენად ლენინაკანის აღმდგენმა კომიტეტმა გადასდო 50.000 მან. (ადს).

საქონლის ბრუნვა ამიერ-კავკასიაში

1925—26 სამეურნეო წელშ მთელი საქონლის ბრუნვა ამიერ-კავკასიაში საზღვრებში გამოიხატება 144.607.000 მან.; აქედან იმპორტი—47.524.000 მან. ექსპორტი—97.083.000 მან.

ექსპორტის მთელი თანხიდან დასავლეთის ექსპორტი შეადგენს 61.737.000 მან., აღმოსავლეთის 35.346.000 მან. დასავლეთში გატანილ იქნა ამიერ-კავკასიის პროდუქციის შემდეგი ძირითადი საქონელი: ნავთის პროდუქტები 40.039.000 მან., მარგანეცი—9.803.000 მან., ყაჰის პარკი—2.512.000 მან., ხიზილა—1.952 ათასი მან., ხალიჩები—1.859.000 მან., ძირტკბილა—1.208.000 მან., აბრეშუმის ნართი—735.000 მან., ბამბის თესლი—458.000 მან., ნაწლავი—429.000 მან., ხე-ტყის მასალა—581.000 მან., მატყლი—368.000 მან., ბეწვეული—318 ათასი მან., ვაშლი—120.000 მან. და თამბაქო—100.000 მან.

აღმოსავლეთში გატანილ იქნა: ნავთის პროდუქტები—8.389.000 მან., ხე-ტყის მასალა—198.000 მან. და საკავშირო წარმოების ფაბრიკატები—13.856.000 მან., მანუფაქტურა—4.650 ათასი მან., ფქვილი—912.000 მან., რკინა—824.000 მან., მინა და მინის ნაკეთობანი—772.000 მან., რეზინის ნაკეთობანი—569.000 მან., ფაიფურის ნაკეთობანი—428.000 მან., ლითონის ნაკეთობანი—393.000 მან., ასანთი—239.000 მან., ქაღალდის ნაკეთობანი—172.000 მან. და სხვა 4.000.000 მან.

იმპორტი დასავლეთის ქვეყნებიდან გამოიხატება—19.163.000 მან.

აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოტანილი იყო—28.360.000 მან. საქონელი. (ადს).

აღმშენებლობა

აჭარისტანში

(საუბარი აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე—ამხ. მემედ გოგიბერიძესთან

თბილისში ჩამოვიდა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. **მემედ გოგიბერიძე**.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. მ. გოგიბერიძემ საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ აჭარისტანში განაცხადა შემდეგი:

— მუშაობა აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებად ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. ამჟამად სადგურზე მუშაობს 500 კაცი. მიმდინარე 1926—27 წლის საოპერაციო გეგმა დამტკიცებულია 1.800.000 მანეთის რაოდენობით.

სადგურის აგების დამთავრება განზრახულია 1928 წელში. სადგური სულ დაჯდება 5.000.000 მანეთი. სადგურის სიძლიერე იქნება 7.500 ცხენის ძალა; შემდეგში სიძლიერის გადიდება შესაძლებელი იქნება 12.000 ცხ. ძალამდი.

წყალის გასაყვანად სწარმოებს ოთხი გვირაბის გათხრა. ორი გვირაბი (70 და 60 საჟენიანი) უკვე მზად არის, ორიც დამთავრებული იქნება ახლო ხანში; ყველაზე დიდი გვირაბის სიგრძეა 200 საჟენი.

აჭარის-წყალის სადგურის ენერგია გამოყენებული იქნება ბათომის და მთელი აჭარისტანის საელექტროფიკაციოთ; ენერგიის ნაწილი შეიძლება მოხმარდეს აგრეთვე გურიასაც და სამეგრელოსაც.

სადგურის ენერგიით ისარგებლებენ ბათომის ქარხნები და ტრამვაი, რომლის გაყვანა განზრახულია დაწყებული იქნეს 1927 წელში; ტრამვაის პროექტი უკვე მოწონებული და დამტკიცებულია ცენტრში. განზრახულია აგრეთვე გაყვანილი იქნეს კანალიზაცია და აგებული იქნეს ხე-ტყის სახერხი და ტკეჩის ქარხნები ბათომში.

— როგორ მიმდინარეობს აღწერა აჭარისტანში?

— მე სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ აღწერა აჭარისტანში ჩინებულად მიმდინარეობს. გლეხები მეტად კარგად ხვდებიან აღმწერლებს და აწვდიან მათ ყოველგვარ ცნობებს. აღმწერლებათ მოწვეულნი არიან მასწავლებლები, მათ შორის არიან აჭარლებიც და სათემო აღმასკომების მუშაკები. აღწერა ჩემს აქ ყოფნაში უკვე დამთავრებული იქნება.

აჭარისტანში კარგად მიმდინარეობს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაც. ამ მხრივ აჭარისტანს პირველი ადგილი უჭირავს მთელს რესპუბლიკაში. 15 დეკემბრამდი აკრეფილია 22.541 მანეთი, ე. ი. მთელი გაწერილი გადასახადის 86,4 პროც.

ჩვენ განზრახული გვაქვს ამ თვის ბოლომდე სავსებით დავამთავროთ გადასახადის აკრეფა, თუმცა საამისოდ კიდევ გვაქვს ვადა 15 თებერვლამდე. წელს მთელს აჭარისტანში გადასახადისაგან განთავისუფლებულია გლეხების 70 პროც., შარშან კი განთავისუფლებული იყო 40 პროც.

აჭარისტანში დიდი ყურადღება აქვს აგრეთვე მიქცეული საგზაო აღმშენებლობას. უკვე გახსნილია მერისის და ხალთის გზები, რომელთა გაყვანაზე უფასოდ მუშაობდენ გლეხები. ჩვენ მხოლოდ ტეხნიკურ ხელმძღვანელობას უწევდით მათ.

დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე წყალსადენის და სარწყავი არხების გასაყვანად.

სად უნდა აშენდეს

ქარხანა*)

გადაწყვეტილია ოზურგეთის მაზრაში 1927 წელში კიდევ ერთი აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა გახსნან. ასეთი გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად თავის თავად დაისმება საკითხი,—სად უნდა აშენდეს ეს ქარხანა? როგორც მკითხველმა იცის ამ ორი თვის წინედ ერთი ასეთი ქარხანა უკვე გაიხსნა ოზურგეთში. ამ ქარხანაში ამჟამად მუშაობს 300 ქალი და კაცი. უმთავრესად ამ ქარხანაში მოწყობილია სამუშაოზე ქალები—ზემო გურიიდან.

სადღა უნდა აშენდეს მეორე ქარხანა? მეორე ქარხანა უნდა მოეწყოს ისეთ ადგილას, სადაც სამუშაო ხელი ადვილად იშოვება და სადაც მეტი ნედლი მასალა მოიპოვება. ეს ორი მომენტი აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული სახეში, როცა დაისმება საკითხი იმის შესახებ—თუ სად მოეწყოს მომავალი აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა. მე პირადათ ვფიქრობ, გურიაში მეორე ქარხანა უნდა იქნას მოწყობილი **დაბა ჩოხატაურში**. ჩვენ ვიცით, რომ ზემო გურიაში დასამუშავებელი მიწის დიდი ნაკლებობაა, მეორე ამ კუთხეში მდებარე მიწები გამოფიტული და უნაყოფოა. ამ მიზეზით ხალხი დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის, **მესამე და უმთავრესი** ის არის, რომ ჩოხატაურის რაიონი მეაბრეშუმეობის მხრივ განთქმული რაიონია. ოზურგეთის მაზრაში მეორე აბრეშუმის ამოსახვევ ქარხნის მოწყობის დროს **ეს ორი მომენტი** არ უნდა იქნას გამოშვებული მხედველობიდან. ამ საკითხის გადაჭრის დროს არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ტრანსპორტის საკითხსაც. რკინის გზიდან ჩოხატაური დაშორებულია 18-ტი ვერსის მანძილით და ეს გზა გაფუჭებულია, მაგრამ სულ ერთია, ჩოხატაურში ქარხანა აშენდება— თუ არ აშენდება, **ეს გზა მაინც უნდა იქნეს გაკეთებული**, ვინაიდან **ის საკავშირო სამხედრო მნიშვნელობის გზაა**.

თუ აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნის საკითხი ჩოხატაურის სასარგებლოდ გადაწყდება, მაშინ ჩოხატაურის რაიონის მოსახლეობა ამ ქარხნის მოსაწყობათ არაფერს არ დაზოგავს. **სამუშაოების ნაწილს** უფასოთ შეასრულებს, ისე, როგორც ეს მათ მოიმოქმედეს ჩოხატაურში საავადმყოფოსათვის დიდი შენობის აგების დროს. მე ვთქვი, რომ ამჟამად ოზურგეთის აბრეშუმის ამოსახვევ ქარხანაში მეტნაწილად მუშაობენ ზემო-გურიიდან ჩამოსულები. უბინაობით აქ ასეთი მომუშავების მდგომარეობა მეტად მწვავეა. როცა აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა ჩოხატაურში მოეწყობა, ეს უბინაობაც დაძლეული იქნება. ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებთ არ მოუნდებათ ოზურგეთში წასვლა და სამუშაოს იშოვნიან იმ რაიონში, სადაც მათ აქვთ საკუთარი სახლ-კარი.

ქ. ხო—ქი.

---

*) წინადადების სახით. რედ.

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის წინააღმდეგ

მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება

მოსკოვი, 23 დეკემბერი. გუშინ საღამოს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა კრებაზე კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ბუხარინი**.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მთლიანათ უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს. კრება სასტიკათ კიცხავს ამხ. ტროცკის, ზინოვიევის და კამენევის გამოსვლებს კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე და სცნობს მათ გამოსვლას აპელაციად საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებათა წინააღმდეგ, ლენინიზმიდან კიდევ უფრო შორს წასვლათ და ფრაქციული ბრძოლის გამწვავების ცდად, როგორც მოძმე კომპარტიებში, ისე მთელ კომინტერნში.

კრება აღნიშნავს კომინტერნის აღმასკომის პლენუმის ერთსულოვნებას და იდეურ სიმტკიცეს, რომელიც მან გამოიჩინა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ამოცანათა შეფასებაში, საბჭოთა კავშირში წარმოებულ სოციალისტურ აღმშენებლობის საკითხების განხილვაში, რომელი აღმშენებლობა დასაყრდენია პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლაში. (ადს).

პარტკონფერენციები

მეოთხე რაიონის მე-9 კონფერენცია

ამხ. ჭანკვეტაძის თანამოხსენება

კონფერენციის 22 დეკემბრის საღამოს სხდომაზე რაიკომის ანგარიშის დამთავრების შემდეგ ამხ. ჭანკვეტაძემ გააკეთა მოხსენება ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის რაიკომის მუშაობის შესახებ.

კომკავშირის რაიონულ ორგანიზაციაში ირიცხება 4.545 წევრი და კანდიდატი, ე. ი. 1925 წლის ნოემბრიდან წევრთა რიცხვი გაიზარდა 1.979 კაცით. ა. წ. მაისიდან ოქტომბრამდე მიმღებმა კომისიამ სულ მიიღო 780 კაცი, მათგან მუშები—224 კ. (46,7 პროც.) სოციალური მხრით ეს ზრდა სავსებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ ქალაქის რაიონის სპეციფიურ თავისებურებებს. კავშირი აერთიანებს ამ რაიონის მუშა-ახალგაზრდების მთელი რაოდენობის 76.5 პროც.

მომხსენებელი შეეხო რა ორგანიზაციის ზრდას სოფლად, ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია სოფლის ორგანიზაციის გაძლიერება მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ახალგაზრდობის კავშირში ჩაბმით.

ის ცვლილებანი, რომელიც მოხდა ორგანიზაციის საერთო შემადგენლობაში ეროვნების და სქესის მიხედვით, მოწმობს დიდ მიღწევებს.

შემდეგ ამხ. ჭანკვეტაძე შეჩერდა პარტხელმძღვანელობის საკითხებზე და აღნიშნა, რომ პარტმიმაგრებულთა ინსტიტუტს მრავალი არსებითი ნაკლი აქვს. პარტმიმაგრებულები ყოველთვის ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას იმ მხრივ, რომ ისინი სათანადოთ ვერ უდგებიან კომკავშირთა უჯრედების მუშაობას, ვერ უწევენ მათ ნამდვილ დახმარებას და ხელმძღვანელობას; ხშირად მიმაგრებული ამხანაგები [illegible] გადაჭარბებულად არიან დატვირთული პარტიული და საბჭოთა მუშაობით და [illegible] ვერც კი ესწრებიან ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის უჯრედების კრებებს როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევა უარყოფითად უნდა ჩაითვალოს. პარტუჯრედებმა აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტმიმაგრებულთა შემადგენლობისა და აქტიანობის გაუმჯობესებას უახლოეს პერიოდში.

მომხსენებელი აღნიშნავს პარტაქტივის ზრდას, რომელიც ამჟამად 16,8 პროცენტს შეადგენს და აღნიშნავს, რომ აუცილებელია მისი შემდგომი ზრდა და პარტიულ-კომკავშირელებში კომკავშირის მუშაობიდან ჩამოშორების ტენდენციის აღმოფხვრა.

შემდეგ ამხ. ჭანკვეტაძე ეხება ორგანიზაციის საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობას—პროფმუშაობაში. საბჭოებში, ნებაყოფლობით ორგანიზაციებში და სხ. მონაწილეობას და აღნიშნავს, რომ ნაკლთან ერთად ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები მუშაობის გაცხოველებისა და გაუმჯობესების მხრივ. აუცილებლად უნდა იქნას გაძლიერებული მუშაობა მოწაფეებს შორის. აუცილებლად უნდა განვავითაროთ მოწაფეთა უჯრედების მოქმედება; ზედმიწევნით უნდა იქნას მოწესრიგებული ამ უჯრედების ზრდა და გადამწყვეტი ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული იმისათვის, რომ საშუალო სკოლის და უმაღლეს სასწავლებლების მოწაფეებს შორის მოსპობილ იქნას ცალკე უარყოფითი ყოფაქცევა. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა რა ეკონომიურ მუშაობაზე, აღნიშნა ახალგაზრდობის სამუშაო ხელფასის მომატება და საბრიგადო და ინდივიდუალურ შეგირდობის კარგ დონეზე დაყენება.

პოლიტგანათლების სკოლათა ქსელში მიმდინარე წელში ჩაბმულ იქნა 1200 კომკავშირელი. პოლიტსკოლების მუშაობის ძირითადი ნაკლი არის: მსმენელები ყოველთვის არ ესწრებიან მეცადინეობას, არ არსებობს საკმაო ლიტერატურა ეროვნულ ენებზე და სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო ტეხნიკური მოწყობილობით.

მომხსენებელი შეეხო პიონერთა ორგანიზაციის მუშაობას და აღნიშნა, რომ აუცილებელია ლიტერატურით დახმარება გაეწიოს ამ ორგანიზაციას, რომელშიაც ირიცხება 2.000 წევრი.

ამხ. თენიეშვილის თანამოხსენება

(ქალთა შორის მუშაობა)

იმ წარმოებებსა და დაწესებულებებში, სადაც მუშაობას აწარმოებს რაიკომის ქალთა განყოფილება, სულ არის 2.274 ქალი; მათ შორის 326 მუშა-ქალი; ეროვნულ შემადგენლობის მხრით სჭარბობენ ქართველი ქალები.

ქალთა შორის მუშაობას აწარმოებენ ქალთა ორგანიზ. მათი რიცხვი რაიონში უდრის 51. ქალთა განყ. რეგულიარულად იწვევდა ქალთა ორგანიზატორების თათბირებს, რომელზედაც მოხსენებებს აკეთებდენ ადგილებიდან და იძლეოდათ სათანადო დირექტივები.

გარდა ამისა, კომუჯრედებთან მუშაობდა 9 ქალთა კომისია, რომელიც დიდ მუშაობას აწარმოებდა თავის წარმოების ქალებს შორის.

დელეგატ-ქალთა რიცხვი რაიონში უდრის—715; მათ შორის 127 მუშა-ქალია. სადელეგატო კრებები დაყოფილი იყო ჯგუფებათ სალაპარაკო ენის მიხედვით. მეცადინეობა სწარმოებდა ორ კვირაში ერთხელ საპროგრამო საკითხების დასამუშავებლად. თვეში ერთხელ იწვევდენ კრებებს მიმდინარე პოლიტიკის საკითხების დასამუშავებლად. სადელეგატო კრებებთან მუშაობდენ მთელი რიგი სექციები: იურიდიული, კოოპერატიული და სხვ.

დელეგატი ქალები იგზავნებოდენ პრაქტიკულ მუშაობაზე სათანადო დაწესებულებებში. სადელეგატო კრებების მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კრებებს ყველა არ ესწრებოდა. სიებში ირიცხებოდა 435, ფაქტიურად კი მუშაობდენ—220-350.

კლუბებთან მოწყობილია მუშა-ქალთა კუთხეები, სადაც მუშაობენ წრეები. ეს წრეები საერთოდ აერთიანებენ 546 ქალს.

ქალთა განყოფილება დიდ მუშაობას აწარმოებს უმუშევრობის მოსასპობლად ქალთა შორის.

შემდეგ, ამხ. თენიეშვილი ჩერდება ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მუშაობაზე და დაწვრილებით ეხება ქალების ჩაბმას პრაქტიკულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

დასასრულ, მომხსენებელი ამბობს, რომ აუცილებლად უნდა გაცხოველებულ იქნას ქალთა განყოფილების მუშაობა და კომუჯრედების ბიუროებმა და თვით უჯრედებმა ადგილობრივ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქალთა შორის მუშაობას.

მეოთხე სხდომა

23 დეკემბრის დილის სხდომაზე პარტკონფერენციამ მოისმინა ამხ. **ერშოვის** მოხსენება სარევიზიო კომისიის ანგარიშის შესახებ, რის შემდეგაც დაიწყო კამათი რაიკომის მოხსენებისა და ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის და ქალთა განყოფილების მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ამხანაგებმა: კიკნაძე, დავითაშვილი, მაისაშვილი, ტაიცკი, ლუჩანსკაია, კუტუბიძე, ნიკიტინი, კუხურიძე, აკაევსკაია, მუშანია, ლეჟავა, პინსკი, მესროპოვი, ბარამიძე, ჯიქია, საყოიანი, თოფურია, სარქისოვი, ბადალოვი და ამატუნი.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რაიკომის მოხსენებით ყოველმხრივ იქნა გაშუქებული რაიკომის მუშაობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ამხანაგების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აუცილებლად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტგანათლების საკითხებს და პირველ რიგში ეროვნულ ენაზე შედგენილ სასწავლო წიგნების მიწოდებას პოლიტსკოლებისათვის.

აღნიშნეს აგრეთვე, რომ აუცილებელია მტკიცედ იქნას მოწესრიგებული პარტიის ზრდა, გადამჭრელი ბრძოლა იქნას წარმოებული ბიუროკრატიზმთან და პროტექციონიზმთან. ქალთა შორის მუშაობის დარგში აღნიშნეს, რომ საჭიროა მისი გაძლიერება და ქალთა რაც შეიძლება მეტი რიცხვის ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში და პიონერ-კოლექტივების მუშაობაში. მთელი რიგი ამხანაგებისა შეჩერდენ ფრაქციების მუშაობის გაცხოველების აუცილებლობაზე, რომელნიც უნდა გახდენ პარტიული გავლენის ნამდვილი გამტარებელნი. აღნიშნეს აგრეთვე, რომ ყურადღება უნდა მიექცეს შრომის კანონების მტკიცედ დაცვას სამეურნეო მუშაკების მხრივ. კამათში მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ჩვენ დაწესებულებათა სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას, კომუნისტების რიცხვის გამრავლებას ამ დაწესებულებებში და უმუშევრობასთან ბრძოლას პარტიულებს შორის. აღნიშნეს აგრეთვე, რომ პასუხისმგებელ მუშაკთა უმრავლესობა, რომელნიც მიმაგრებული არიან უჯრედებზე, არ ესწრებიან სხდომებს, რის წინააღმდეგაც უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები.. აუცილებელია, გადასინჯულ იქნას პარტორგების შემადგენლობა და ამ მუშაობისათვის გამოყოფილ იქნან უფრო გამოცდილი და ავტორიტეტული ამხანაგები. ხაზი გაუსვეს აგრეთვე პარტგანმანათლებელი მუშაობის გაძლიერების საჭიროებას მილიციელებს შორის და ქალაქის მილიციის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესებას.

კამათში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია საწარმოო და ეკონომ-თათბირების მუშაობის გაცხოველება ყოველ მხრივ, ვინაიდან ეს თათბირები ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას რაციონალიზაციისა და ნამდვილი მომჭირნეობისათვის ბრძოლაში. ამასთანავე ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის ძირითად დამაბრკოლებელი მიზეზი იყო ის, რომ სამეურნეო მუშაკები და ადმინისტრატორები საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ საწარმოო და ეკონომ-თათბირების მიერ წამოყენებულ წინადადებებს.

კონფერენციამ ყურადღებით განიხილა ნებაყოფლობითი საზოგადოებების უჯრედების მუშაობის საკითხები. ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ამ საზოგადოებათა მუშაობა ყოველგან მოისუსტებს და აუცილებელია მუშაობის შინაარსის გაუმჯობესება.

პარტდატვირთვის საკითხიც იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანი. პარტმოვალეობათა თანაზომიერად განაწილება უჯრედებში ცუდათ იყო დაყენებული. კომისიური სისტემა ხელს უწყობდა პარტიულების მასსის პრაქტიკულ საუჯრედო მუშაობაში ჩაბმას და ამით აყენებდა აქტივის ახალ ფენებს მაგრამ პარტდატვირთვა არ ნაწილდებოდა თანასწორად.

საბჭოთა უჯრედები ძალიან მოიკოჭლებდენ ბიუროკრატიულ დამახინჯებათა ბრძოლის დარგში, რაიკომის ახალმა შემადგენლობამ დიდი მუშაობა უნდა შეასრულოს ამ მხრივ.

მეხუთე სხდომა

23 დეკემბერს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა გარშემო. საკითხი პოლიტგანმანათლებელ მუშაობის შესახებ მოხსნილ იქნა და რაიკომის აგიტპროპგანყოფილების გამგეს ამხ. ფუნტიკოვს მიეცა 20 წუთი კამათის სახით. ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ნაზაროვმა, მღებრიშვილმა, იობლაძემ, ადამოვმა, ბუდილოვმა, ხმალაძემ, ჟღენტმა, ყანდარელმა, გეგენავამ და მიქელაძემ. ამხ. თენიეშვილის და დარახველიძის საბოლოო სიტყვების შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენებები რაიკომის მუშაობის შესახებ 4-ე ქალაქის რაიონის მე-9 პარტკონფერენცია რაიკომის პოლიტიკურ ხაზს სცნობს სწორად და მუშაობას დამაკმაყოფილებლად".

რეზოლიუციის მიღების შემდეგ სხდომა დაიხურა.

დღეს საღამოს შესდგება კონფერენციის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მოხდება რაიკომისა და დელეგატების არჩევნები სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციაზე გასაგზავნად.

ახალციხის სამაზრო პარტკონფერენცია

ახალციხე. 23 დეკემბერი. დასრულდა მეექვსე სამაზრო პარტკონფერენცია. სამაზრო კომიტეტში მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 80 დელეგატმა. მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენცია აღნიშნავს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს შემდეგი მუშაობისათვის. რეზოლიუცია განსაკუთრებით ავალებს სამაზრო კომიტეტს ყურადღება მიაქციოს მოჯამაგირეთა და ხელმოკლე გლეხების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. არჩეულია ახალი სამაზრო კომიტეტი 25 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით. (ადს).

ფოთის ორგანიზაციის საქალაქო კონფერენცია

ფოთი, 22 დეკემბერი. სამი დღის მუშაობის შემდეგ დამთავრდა ფოთის ორგანიზაციის მერვე საქალაქო პარტკონფერენცია.

ფოთის კომიტეტის წლიური მუშაობა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად სცნო და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა.

ახალ კომიტეტს კონფერენციამ მისცა ზოგიერთი პრაქტიკული მითითებანი მომავალ მუშაობისათვის: 1) განაგრძოს ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ, 2) გააძლიეროს ორგანიზაციის ზრდა მუშების და კომკავშირის აქტივის ხარჯზე და სხვა.

კონფერენციას დაესწრო 104 დელეგატი, მათ შორის 70 პროც. მუშები.

სამაზრო პარტკონფერენციები საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ

სამაზრო პარტ. კონფერენციების დღის წესრიგში იდგა მოხსენებები საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ. მოხსენებათა მოსმენის შემდეგ კონფერენციებზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომლებშიაც მუშგლეხინსპისა და საკონტროლო კომისიის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად.

სამაზრო პარტკონფერენციების რეზოლიუციები ამ მოხსენებათა გარშემო გამოქვეყნებულ იქნება ჩვენს გაზეთში.

დღეს ვათავსებთ ფოთისა და თელავის სამაზრო პარტკონფერენციის რეზოლიუციებს.

საკონტროლო კომისიის ხაზი სწორია

(ფოთი)

ს. კ. პ. (ბ) ფოთის ორგანიზაციის მერვე კონფერენცია, მოისმინა რა მას მოხსენება ამხ. გელაშვილისა საქართველოს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას სთვლის დამაკმაყოფილებლად და განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში აღებული ხაზი სავსებით სწორია.

კონფერენცია ავალებს საკონტროლო კომისიას მომავალში უფრო გააძლიეროს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, პროტექციონიზმთან და ფუფუნებასთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას.

პარტიის მთლიანობა არის თავდები პროლეტარული სახელმწიფოს არსებობისა. კონფერენცია აუცილებლად სცნობს გაგრძელებულ იქნას სასტიკი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც დაარღვევს პარტიის მთლიანობას და გადაუხვევს ლენინიზმის გზიდან.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

ოპოზიციონერთა, წინააღდეგ მიმართული ზომები მიზანშეწონილია

(თელავი)

თელავის მაზრის მე-9-ე პარტკონფერენცია, მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. იტრიევისა საკ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას სთვლის დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკურ ხაზს სწორად. კონფერენცია აღნიშნავს, რომ ოპოზიციონერების წინააღმდეგ საკონტროლო კომისიის მიერ აღებული იყო სწორი ხაზი და გადამჭრელი ზომები თავის დროზე იქნა მიღებული ფრაქციონერთა ასალაგმავად. კონფერენცია ღრმადაა დარწმუნებული, რომ საკონტროლო კომისია მომავალშიც შესძლებს ენერგიულ ზომების მიღებას პარტიის მთლიანობის დასაცავად".

მისალმება

ა.-კ. საოლქო კომიტეტს

ხაშურის ორგანიზაციის მეშვიდე რაიონული პარტკონფერენცია მხურვალე კომუნისტურ სალამს გიძღვნით და მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ მთელს თქვენ მუშაობაში იხელმძღვანელებთ საკავშირო კომპარტიის რიგების მთლიანობის ინტერესებით. და შეურყევლად გაატარებთ მე-15-ე პარტკონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს.

გაუმარჯოს ლენინის პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას.

პრეზიდიუმი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მომჭირნეობა ოჯახში

მომჭირნეობის რეჟიმი მარტო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხაზით არ უნდა ტარდებოდეს. ეს ლოზუნგი აღიარებულია ხანგრძლივ და სერიოზულ ლოზუნგათ, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეჭიროს როგორც სახელმწიფო ან საზოგადო დაწესებულებათა მუშაობაში, ისე ჩვენი შინაური ცხოვრების ყოველდღიურობაში.

იშვიათია ისეთი მუშა - მოსამსახურე, რომელსაც ფული ჯამაგირიდან ჯამაგირამდე გამოულევლად მოეპოვება ოჯახში. ხშირად შეხვდებით სამი ან ორი დღით ადრე ჯამაგირის დარიგებამდე, რომ დარბის თანამშრომელი და ამხანაგებს ეხვეწება ორი ან სამი დღით რამდენიმე მანეთის სესხათ მიცემას. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ისიც აშკარაა, რომ მუშა - მოსამსახურე ხშირათ მიზანშეწონილათ ვერ იყენებს თავის ხელფასს.

ამის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ მუშა - მოსამსახურეს აღებული ჯამაგირი მთლიანად სახლში უდევს. ფული სახლში ბევრ წაცდუნებელ შესაძლებლობას ჰქმნის. ხშირად ისეთ რაიმეზე იხარჯება ის, რომლის თავის დახზოგვაც უმტკივნეულოთ შეიძლებოდა, რომ ოჯახში ფული არ ყოფილიყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს ჩვენში, სადაც მამა - პაპური გადაჭარბებული გულუხვობა და ხელგაშლილობა ხშირი შემთხვევაა.

ამიტომ საჭიროა, რომ ფულის დახარჯვის ამ ცდუნების შესაძლებლობა თავიდან იქნას აცილებული. საჭიროა მუშის ბიუჯეტის ნორმალურ პირობებში ჩაყენება. ეს შესაძლებელია შემნახველ - გამსესხებელ სალაროების საშუალებით.

არც ისე ძნელია ფულის ჩაბარება - აღების პროცედურა, როგორც ეს შეიძლება ბევრს მოეჩვენოს. სულ ადვილათ შეიძლება მოეწყოს საქმე ისე, რომ, როცა დიასახლისი ან თვით მუშა სურსათ - სანოვაგის ან სხვა რაიმეს საყიდლათ მიდის, გაიაროს სალაროში და ერთხელ ჩაბარებულ თავის თანხიდან წაიღოს ის, რაც მას სჭირდება.

ამაზე დაკარგული დრო ერთი ათად აუნაზღაურდება მუშა - მოსამსახურეს. ჩვენში ამას, სამწუხაროთ ნაკლები ყურადღება ექცევა. ბევრი გაურბის ჯამაგირის აღების დროს შემნ.-გამს. სალაროს, ხოლო მომავალ ჯამაგირის მიწურულში იწყებს თითებზე კბენას და სამათხოვროთ სირბილს. ამ საკითხს ჩვენმა ძირითადმა პროფორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

[illegible]

სად იშოვის კერძო ვაჭარი საქონელს

როგორც ვიცით, ამჟამადაც მიმდინარეობს პურის დამზადების გაცხოველებული კამპანია საბჭოთა კავშირის ყველა იმ რაიონებში, სადაც პურის დიდი მოსავალია მრეწველობის ნაწარმოების დიდძალი პარტია იგზავნება. მათ შორის ფართალიც, რასაკვირველია.

ჩვენს ვაჭრებს სწორეთ აქა ყავთ „თავისი კაცი". ეს კაცი ნაწილ - ნაწილათ იძენს ფართლეულს და პატარ - პატარა ამანათებათ უგზავნის ფოსტის საშუალებით თავის „ხაზეინებს". ამრიგად ისინი ახერხებენ საქონლის მიღებას და თუმცა ძვირად ყიდიან, მაგრამ ფაქტია, რომ კოოპერატივი უსაქონლოთ არის და ამ დროს კერძო ვაჭართან საქონელი იშოვნება.

რატომაა კოოპერატივში არ არის ფართალი და კერძოსთან კი არის? ჰკითხულობს კოოპერატივის წევრი და ზოგ შემთხვევაში ამას გამგეობის უმოქმედობასაც კი აწერს. მართლაც, რატომ უნდა იყოს ეს ასე? ფართალი ხომ ჩვენი ფაბრიკების დამზადებულია. რატომ უნდა უვარდებოდეს ის კერძო ვაჭარს?

საჭიროა ფხიზელი კონტროლი ყველა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში, ფოსტის აპარატი სასპეკულიანტოთ არავინ გამოიყენოს.

ა. თოდრია.

უაზრო მივლინება

როგორც გაზეთებიდან უკვე ვიცით, არხანგელის ნავთსადგურიდან შავი ზღვის ნავთსადგურების საჭიროებისათვის გადმოცემული იყო სხვადასხვა ტონაჟის გემები. ეს გემები უკვე ჩავიდა ოდესის ნავთსადგურში და ეხლა ხდება მათი დანაწილება შავი ზღვის ნავთსადგურებს შორის.

ხსენებულ გემების რიცხვიდან ბათომისა და ფოთის ნავთსადგურებისათვის დანიშნულია ორი გემი. თავის დროზე ბათომის ნავთსადგურის სამმართველოდან გაგზავნილი იყო არხანგელსკში ერთი კაპიტანი და ერთი მექანიკოსი, რომლებიც გემთა ქარავანის მთელი მსვლელობის განმავლობაში იმყოფებოდნენ გემებზე.

ფოთიდან კი იქნა მივლინებული თვითონ ნავთსადგურის სამმართველოს უფროსი, რომელმაც დაჰყო ორ თვემდე ლენინგრადს - არხანგელსკში და შემდეგ დაბრუნდა თავის სამსახურში.

ამ ორი კვირის წინათ ბათომის ნავთსადგურის სამმართველომ მიავლინა ოდესაში ნავთსადგურის უფროსის თანაშემწე ვითომ და გადმოცემული გემების ჩასაბარებლად. ეს მაშინ, როდესაც უკვე ცენტრში გადაწყვეტილია თუ, რომელი გემები უნდა მიეცეს ბათომისა და ფოთის ნავთსადგურებს და გამოსარკვევი იქ არაფერი დარჩენილა.

რას ნიშნავს ასეთი მივლინება, რომელიც არ არის გამოწვეული აუცილებელი საჭიროებით. რა უნდა გააკეთოს ოდესაში მივლინებულმა ნავთსადგურის უფროსის თანაშემწემ?

თუ მისაღებ გემების ტეხნიკური მხარეების და თვალიერება არის მიზეზი მივლინების, იქვე არიან ბათომის ნავთსადგურის თანამშრომელი კაპიტანი და მექანიკოსი, რომელნიც 7 თვის განმავლობაში (არხანგელსკიდან შავზღვამდე) გემებზე არიან და უკეთ იციან მისაღებ გემების ავკარგი.

თუ მაინც და მაინც საჭირო იყო განსაკუთრებული პირის გაგზავნა, უნდა გაეგზავნათ საქმის მცოდნე პირი, მეზღვაური.

მე ვფიქრობ, რომ ამგვარ მივლინებების გამართლება არ შეიძლება.

მოხტიგლავსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გლეხკომების გადარჩევა

ქუთაისი, 23 დეკემბერი. დამთავრდა გლეხკომების გადარჩევა ქუთაისის მაზრის ყველა სოფლებსა და თემებში. გლეხთა კომიტეტები გაძლიერებულ იქნა მათში გლეხობისა და მასწავლებლობის შეყვანით. ყველა ადგილებზე გადარჩევები ჩატარდა დიდი სიცხოველით და გლეხობის აქტიურ მონაწილეობის მიღებით.

გლეხკომების სამაზრო კონფერენციის მოწვევა, რომელიც 25 დეკემბრისთვის იყო განზრახული ქუთაისში, გადადებულ იქნა 30 დეკემბრისთვის. კონფერენციის დღის წესრიგშია: ქუთაისის სამაზრო გლეხკომის გამგეობის და სარევიზიო კომისიის გადარჩევა და მოხსენებები ადგილებიდან.

გრიგალი

ქუთაისი, 23 დეკემბერი. ქუთაისის მაზრის სოფ. კურსებში ძლიერმა ქარმა დაანგრია სახლი. ნანგრევებს ქვეშ მოყვა გლეხის ქალი ბერეკაშვილი (ადს).

მკვლელობა იჭვიანობის ნიადაგზე

ქუთაისი, 23 დეკემბ. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია პ. სიგუას საქმე თავის ქმარის მოკვლის შესახებ ეჭვიანობის ნიადაგზე.

პ. სიგუას მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. (ადს).

გადარჩევა მუშკოოპში

ქუთაისი, 23 დეკემბ. დასრულდა ქუთაისის მუშკოოპის რწმუნებულთა ყრილობა. მოხდა გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის გადარჩევა.

ყრილობამ მოისმინა მუშკოოპის წლიური მუშაობის ანგარიში და მიიღო მომავალი წლის სამუშაო გეგმა. (ადს).

სას.-სამ. გადასახადის აკრეფა

ქუთაისი, 23 დეკემბ. 1926 წლის 18 დეკემბრამდე ქუთაისის მაზრაში აკრეფილია 33.596 მან. 14 კაპ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. პირველი ნაწილი, ე. ი. მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 35 პროც. ქუთაისის მაზრის 47 თემიდან სრულად შემოიტანა 35 თემმა, დანარჩენ თემებში კი შემოტანილია პირველი ნაწილის 20—35 პროც-დე. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

ოსური დასი

ცხინვალი, 23 დეკემბერი. სამხრეთ-ოსეთის განათლების სახ. კომისარიატმა სახელმწიფო თეატრთან დაარსა ოსური დასი. ხდება რეპერტუარის შერჩევა ოსურ ენაზე და მუშავდება დებულება სახელმწიფო თეატრის შესახებ. ამასთანავე ეწყობა ოსეთის ნაციონალური მომღერალთა გუნდი (ადს).

ბელადის ანდერძს შევასრულებთ

შორაპნის მაზრაში არის 8.400 წ.-კ. უცოდინარი კაცი. აქედან წელს 2.000 კაცი გატარებული იქნება სალიკვიდაციო სკოლებში. ასეთ სკოლების რიცხვი 96 უდრის. მათ მოწყობაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს გლეხობამ, განსაკუთრებით კი კულტურულმა ძალებმა.

დიდი მუშაობის ჩატარება მართებსთ თემ-აღმასკომებსაც. ამ მხრივ ზოგიერთი თემ-აღმასკომები მოიკოჭლებენ.

შორაპნის მაზრაში 31 თემში ყველაზე უფრო გულმხურვალედ ამ საქმეს მოეკიდა ქალის თემის აღმასკომი, რომელმაც უკვე სისტემაში მოიყვანა 4 სალიკვიდაციო სკოლა.

ახლო ხანში ეს აღმასკომი კი გახსნის წერა-კითხვის მცირე მცოდნეთა ერთ სკოლას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაისისათვის ხსენებულ თემში თითქმის აღარ რჩება წ.-კ. უცოდინარი.

ქალის თემ-აღმასკომის მუშაობა წაბაძვის ღირსია. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები ილიჩის ანდერძის შესასრულებლად. საბჭოთა რესპუბლიკებში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი არ უნდა გვყავდეს.

აკ. მახათაძე.

ისევ ეტლს ამჯობინებენ

(ხონი)

ქ. ქუთაისსა, ხონსა და სამტრედიის შუა განახლდა ავტომობილთა მიმოსვლა. მგზავრთა გადაყვანა გადმოყვანა ერთი პუნქტიდან მეორემდე ღირს 2 მანეთი იმ დროს, როდესაც მეეტლე ახდევინებენ 1 მან. ამასთანავე ავტომობილები არის საძაგლო და მგზავრები ძლიერ ილახება.

გარდა ამისა ავტომობილთა მიმოსვლა დანიშნულ დროს არ სწარმოებს. ყოველივე ამის გამო ავტომობილები სანახევროდ ცარიელი დადიან.

იფა.

წერილებიდან

ს. ჯანდაური, (სიღნ. მ.)

მკითხავი მარო. აქ ცხოვრობს წერილი ვაჭარი მარიამ გამყრელიძე. ერთხელ ეს ქალი ვაჭრობით იხობოდა ხელს. შემდეგ თავი მკითხავლად გამოაცხადა და თითო მისვლელისაგან ერთ-ათ შაურს ღებულობს ხელფასათ. ამ რიგათ მკითხავი მარო დღეში ათ მანეთამდე აკეთებს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყურადღება უნ და მიაქციოს ამას.

გლისპი.

ხეთა (ზუგდ. მ.)

—„დრამა" გაიხსნეს. ადგილობრივ მღვდელმა გრიგოლმა შექმნა სამი პირისაგან საეკლესიო საბჭო, რომელიც შეეცადა ძველი დრამის მზგავსათ შეეკრიბა გლეხებში ფული ეკლესიის სასარგებლოთ. გლეხებმა ყველგან უარით გამოისტუმრეს არამკითხე მედრამეები,

განმუშაკი.

ჭედა-რგანი (შორ. მ.)

— კულაკებს თავს გაუდის. მამა-შვილი ბესია და ისმაილა სიკინჭალიშვილები ცნობილი კულაკები არიან ჩვენს სოფელში. ერთი მათგანი შავი ქვის მოიჯარადრეა ჭიათურაში, მეორე ადგილობრივათ აჭახრაკებს საქმეს. სადაც და როგორც კი შეუძლიათ, ორივე მამა-შვილი ყოველთვის [illegible]. შეიძინეს ოტია და დარისპან სიკინჭალიშვილების სახნავ-სათესი იყიდეს [illegible] მღვდელ ვაშაძისაგან და სხვა. საჭიროა ეს კულაკები სასტიკად და სამაგალითოდ დასაჯოს ხელისუფლებამ.

რეკია.

სოფლის ქრონიკა

— **შემნახველ-გამსესხებელი** სალარო ამ დღეებში გაიხსნება სოფ. დანდალოში (აჭარა).

— **სახერხი ქარხანა.** ქუთაისის ხე-ტყის სახერხი ქარხანა გაფართოვების შემდეგ მუშაობას დაიწყებს 25 დეკემბერს.

— **გზები.** დოლოგანი თემში (აჭარაში) შეკეთებული იქნა ყველა სასოფლო გზები.

— **მესაქონლეობის კურსები.** მერისის თემში აგრონომიულ პუნქტთან იხსნება მესაქონლეობის მოკლე ვადიანი კურსები.

— **აჭარისტანის** მაზრებში გლეხთა ცენტრალურ კომიტეტმა მოაწყო 14 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი.

წერილები

რა აფერხებს ტრაქტორის მუშაობას

ტრაქტორი უკვე შეიჭრა ჩვენს სოფლებში, გლეხკაცობამ გაიგო მისი ფასი და მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობისათვის. გლეხები მეტად დაინტერესებული არიან ტრაქტორის შეძენით. ისინი დიდი ხალისით ადგენენ ჯგუფებს, არტელებს და მიმართავენ სათანადო ორგანოებს, რომ გამოუწერონ „ცეცხლის გუთანი".

ასეთია ის გატაცება, რომელსაც ადგილი აქვს სოფლად ტრაქტორის ირგვლივ. სამწუხაროდ გლეხკაცობის ამგვარ ლტოლვას თავის მეურნეობის მექანიზაციისადმი წინ ეღობება მთელი რიგი დაბრკოლებები და პირველყოვლისა დაბრკოლებანი თვით ტრაქტორის მუშაობაში. ტრაქტორი თავისთავად უაღრესად სასარგებლო მანქანაა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ მისი გამოყენება. ჩვენში კი ბევრგან ტრაქტორის გამოყენება არ იციან, რის გამოც ის ზოგჯერ უფრო საზარალო ხდება. ეს არცოდნა გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტრაქტორიზაცია ჩვენში ახალი საქმეა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეხლავე ზომები არ უნდა მივიღოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ტრაქტორის გამოყენების საკითხი უმთავრესად იგივე ტრაქტორისტის საკითხია. თუ მანქანას ამუშავებს მცოდნე და დახელოვნებული პირი, ტრაქტორი შეუფერხებლად მუშაობს. თუ არა და, წინააღმდეგ შედეგებს ვღებულობთ. მაგალითად საგარეჯო. აქ ტრაქტორის მოსვლამ მოსახლეობაში დიდი აღტაცება გამოიწვია. მანქანამ იმუშავა რამდენიმე თვე და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ გლეხებს ხარ-კამეჩით ხასათრევი გაუხდა ის რკინისგზის სადგურამდე. ცხადია, ასეთი „ტრაქტორიზაციით" ჩვენ შორს ვერ წავალთ.

ამიტომ ეს საკითხი, საკითხი ტრაქტორისტების შერჩევის შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ტრაქტორის მუშაობას აფერხებს სათბობი მასალის, სათადარიგო ნაწილების, სათანადო სახელოსნოების და სხვა აუცილებელ საჭიროებათა მოუწესრიგებლობა.

მთავარი მაინც ტრაქტორისტის საკითხია. ყველა ზემოხსენებული დაბრკოლებები თავიდანაც, რომ აცილებულ იქნას, თუ ტრაქტორზე მომუშავე მოუმზადებელი და გულგრილი კაცია, საქმე მაინც წინ ვერ წავა. ეს უნდა ახსოვდეთ ჩვენს დაწესებულებებს — ორგანიზაციებს, როცა ისინი აგზავნიან ტრაქტორს ამა თუ იმ სოფელში.

ცხაფანელი.

ერთსულოვანი დახმარება

(ს. მუხლი, რაჭა)

სოფელ მუხლში მცხოვრებმა ქვრივმა დარიკო ისაკაძისამ გაათხოვა უფროსი ქალიშვილი. მას ამის გამო წვეულება ჰქონდა. დაპატიჟა მეზობლები და აგრეთვე ახლო-ნათესავნი. ქორწილმა მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ, როდესაც სიძე-ქალიშვილი თავის მაყრებით ჭიშკარს გასცდენ, მასპინძლის, ქვრივის სახლის სახურავზე გამოჩნდა ცეცხლის ალი.

შეიქნა საზარელი წივილ-კივილი. მაყრებმა პირი უკან იბრუნეს. მაგრამ ცეცხლმა საშინელი ხასიათი მიიღო. მაყრების და მეზობლების თავგანწირული ცდით იქმნენ სახლიდან გამოტაცებული მძინარე ბავშვები. ბოსლიდან გამორეკეს პირუტყვი. ასეთივე თავგანწირული ცდით იქნა გადარჩენილი ქვრივის ბეღელი და საბძელი და ახლო მოსახლე მეზობლების კარ-მიდამო. ცეცხლმა ერთი საათის განმავლობაში შთანთქა ყოველივე.

დარჩა ქვრივი თავის ობლით უბინაოთ ამ ზამთრის პირზე.

მაგრამ აქ მუხლის გლეხობა ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა. საბჭოს წევრებმა ადგილობრივ სასწავლებელში მოიწვიეს საერთო კრება, რომელმაც სათანადო დახმარება გაუწია დაზარალებულ ქვრივს. სოფელ მუხლს ჰქონდა სასოფლო ოთახი (ყოფილი ღვდლის ოთახი). კრებამ ერთხმად დაადგინა, ვინაიდან ზამთრის პირია, დიდი სიცივე და ყინვებია ქვრივის აღმოუჩინოს სასწრაფო დახმარება. ამ მიზნით დაექირაოს ადგილობრივ დურგლებს სასწრაფოთ დაამზადონ ეს ოთახი, დადგან ის და დააბინაონ შიგ ქვრივი თავის ობლით. დურგლებმა მეორე დღეს ვე შეასრულეს კრების დავალება. ოთახს გარდა კრება შეეწია ქვრივს ზოგი ხის მასალით და ზოგიც ფულით, რითაც აუშენეს ქვრივს ბოსლები.

ამ რიგათ ხუთი დღის განმავლობაში სოფელმა აღუდგინა სახლკარი დამწვარ ქვრივს.

აკ. ისაკაძე.

ენერგიული ექიმი

(ქუთაისის მაზრა)

ქვედა სიმონეთის თემში დაარსდა საექიმო პუნქტი, სადაც პირველად დანიშნული იყო ექიმი მიშა ჯუმბურიძე, რომელმაც დიდი ღვაწლი და შრომა გაუწია გლეხებს, მხოლოდ შემდეგ კი დროებით გაანება თავი სამსახურს და მის მაგივრად მოწვეულ იქნა ექიმი ქართველიშვილი. უნდა ითქვას, რომ ქართველიშვილიც დაუღალავი და ენერგიული ექიმია. ის პირნათლადაც ასრულებს თავის მოვალეობას. აი მაგალითი: გლეხს ოლიფანტე ბარდაველიძეს მძიმე ავად გაუხდა ცოლი, რის გამოც საექიმო დახმარების აღმოსაჩენად მიმართეს ექიმ ქართველიშვილს. მან სწრაფი ზომებით ავადმყოფი სიკვდილს გადაარჩინა. გლეხმა ექიმს შრომისათვის გასამრჯელო შესთავაზა, მაგრამ ექიმმა არავითარი სასყიდელი არ აიღო ავადმყოფის პატრონისაგან, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ავადმყოფის პატრონი გლეხი ღარიბი მოსახლე იყო.

ლონგინოზ ბარდაველიძე.

მუშათა ცხოვრება

კედლის გაზეთის გარშემო

რამდენი დრო გადის, კედლის გაზეთს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა. პირველად როგორც ადმინისტრაცია, ისე მუშების ზოგიერთი წრეებიც კედლის გაზეთს ალმაცერად უყურებდენ; მას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ და ამიტომ მასში მუშაობას კიდევაც გაურბოდენ. მუშკორი თუ დიდ პოლიტიკურ გაზეთში იღებდა მონაწილეობას, შეურაცყოფადაც კი მიაჩნდა, რომ კედლის გაზეთში მოეთავსებია კორესპონდენცია. უნდა ითქვას, რომ ამას ზოგან ახლაც კი აქვს ადგილი, თუმცა იშვიათად.

მაგრამ კედლის გაზეთი თანდათან ანვითარებდა მუშაობას და იკრებდა თავის გარშემო მუშების ფართო მასებს. დღეს, თითქმის ყოველ წარმოებას და დაწესებულებას აქვს თავისი კედლის გაზეთი; სადაც არ არის ყოველ საშუალებით ცდილობენ გამოუშვან და არ ჩამორჩნენ სხვებს. კედლის გაზეთების ასეთი გამრავლება აიხსნება იმით, რომ კედლის გაზეთმა უკვე აილო სწორი ხაზი, მიაგნო თავის გზას, შეიგნო თავისი პირდაპირი დანიშნულება. იგი გაუმჯობესდა როგორც შინაარსის მხრივ, ისე გარეგნულადაც.

დღეს, კედლის გაზეთი წმინდა ადგილობრივ ხასიათს ატარებს, იმის შინაარსი უმთავრესად იმ წარმოება-დაწესებულებას ეხება, სადაც გამოდის, შუქდება წარმოება-დაწესებულების ცხოვრება, მიღწევები და ნაკლულევანებები, დადებითი და უარყოფითი მხარეები. მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრება და სხვა საჭირბოროტო საკითხები. ეს, რასაკვირველია, დიდი მიღწევაა კედლის გაზეთისათვის.

მაგრამ გვხდება ნაკლი, რომელზეც უნდა შევაჩეროთ ყურადღება. ზოგან ცდილობენ, რომ კედლის გაზეთში მეტი ადგილი დაეთმოს საერთაშორისო ხასიათის საკითხებს. ეს დაუშვებელია. კედლის გაზეთი უსათუოდ ადგილობრივი ხასიათის უნდა იყვეს. რასაკვირველია, შეიძლება საერთაშორისო საკითხზეც იყვეს მოთავსებული ცნობა, მაგრამ ძლიერ მოკლედ და უფრო საყურადღებო. საერთოთ კი ადგილობრივ წარმოება-დაწესებულების მიღწევა-ნაკლულევანებას უნდა ეხებოდეს. მუშებს და მოსამსახურეებს უმთავრესად თავისი წარმოების საკითხები აინტერესებთ; კედლის გაზეთსაც მაშინ წაიკითხავენ, მიაქცევენ ყურადღებას და დაინტერესდებიან მისი გაუმჯობესებით, როდესაც ამ კედლ. გაზეთის შინაარსი ადგილობრივ წარმოების ცხოვრებას აშუქებს.

ჩვენი კედლის გაზეთების ხელმძღვანელების უმრავლესობამ იცის დღეს, რომ დიდი წერილებისა და კორესპონდენციების მოთავსება კედლის გაზეთში ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ ყველგან არ სრულდება ეს. ზოგიერთ კედლის გაზეთებში საკმაოდ მოზრდილი წერილები იბეჭდება. ასეთი წერილის წაკითხვა კედლის გაზეთში კი არა ყოველდღიურ გაზეთშიაც კი სჭირს. უნდა კანონად გავიხადოთ, რომ კედლის გაზეთში პატარ-პატარა წერილები და კორესპონდენციები მოვათავსოთ. ენა კი უსათუოდ გარკვეული და ფართო მასისათვის გასაგები უნდა იყვეს. წერილებში ხმარობენ უცხო სიტყვებს, რაც დაუშვებელია. არის კიდევ ზოგიერთი სხვა ნაკლულევანებებიც, რომელთა გამოსწორება აუცილებელია.

საერთოთ კი, როგორც ვსთქვით კედ. გაზ. უკვე აილო სწორი ხაზი, მუშა-მოსამსახურენი დაინტერესა და შემოიკრიბა თავის გარშემო. მხოლოდ აქა-იქ ემჩნევა ნაკლულევანებები, რომელსაც ადვილად დავძლევთ მუშების ფართო მასების დახმარებით.

ლ.

ეხლა მაინც მიაქციეთ ყურადღება

გაზეთ „კომუნისტის" 12 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით, „ჩვენ რაღა დავაშავეთ", რომელიც შეეხებოდა თბილისის რკინის გზის წყალსადენის მუშების ზედმეტ მუშაობას ე. ი. ქვაბების რეცხვას. მაგრამ როგორც ეტყობა ამ წერილს ყურადღება არავინ მიაქცია. კარგი იქნება ვიცოდეთ, რას ფიქრობს ზემოხსენებულ წერილზე ტიპ 4.

რკინისგზელი მუშა.

ტელეფონთან

— ეს შენ ხარ, ლიზიკო? გამარჯობა, როგორ გიკითხოთ?—ტელეფონთან დგას კოხტა ქალიშვილი, ერთ-ერთ დაწესებულების რეგისტრატორი.

— ლიზიკო, გუშინ რატომ არ იყავი დარიკოსთან?

ვერ წარმოიდგენ, რამდენი ვისიამოვნეთ, ყველა ჩვენებიც იქ იყვნენ, ვახშამიც ჩინებული ჰქონდათ, სხვათა შორის ვანიკაც იქ იყო, შენ გიკითხა... ჰო, მესმის; მერე... ტელეფონის მიუახლოვდა ერთი ვიღაც ქალიშვილი ხელში, შეხედა ქალს და შეჩერდა....

— მერე. რაო. რა გითხრა,—ეკითხებოდა ქალი ტელეფონში, და მეტათ დაინტერესებული დაჯდა იქვე სკამზე.

— სწორეთ მაგაზე მინდოდა მეთქვა გესმის... გუშინ ვლაპარაკებოდი...

მოსამსახურემ, რომელსაც ეტყობოდა ტელეფონით, უნდოდა დალაპარაკება, ხელი ჩაიქნია. და სხვა ოთახისაკენ გაეშურა...

ტელეფონთან კი კიდევ დიდხანს გაისმოდა ქალის წკრიალა ხმა...

ეს ამბავი მოგონილი როდია. შეიარეთ ზოგიერთ დაწესებულებებში, დაათვალიერეთ ტელეფონები. ყველგან წააწყდებით ასეთ სურათს.

ტელეფონი იმისათვის კი არ არის დაწესებულებებში, რომ „ლიზიკომ" და „მაშიკომ"—გაბან დაუსრულებელი მასლაათი.

მუშკორი ბეჟო.

ჩვენი მუშაობა

ხაშურის საუბნო კომიტეტი თავის მუშაობას აწარმოებდა წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელსაც ამტკიცებდა საგზაო კომიტეტი.

უწინ ხაშურის უბნის ადგილკომების მუშაობა მოისუსტებდა, რადგან მათ მუშაობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

საუბნო კომიტეტს გამოყოფილი აქვს შემდეგი კომისიები: საორგანიზაციო კომისია, კულტ კომისია, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია, და სხვა.

აღნიშნულ კომისიების დადგენილებები უმთავრესად ეხებიან რკინის გზის ტრანსპორტის გაჯანსაღებას, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც ნივთიერად, ისე ჯანმრთელობის დაცვის მხრივ. ისეთი საკითხები, რომლის გადაწყვეტა ძნელია საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე, ეგზავნება საგზაო კომიტეტს. საწარმოო კომისიები იხილავენ წარმოების ალორძინების საკითხებს. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია სწყვეტს ყოველგვარ კონფლიქტებს. თუ, რომელიმე კონფლიქტის გადაჭრაში ადმინისტრაცია ან მუშათა მხარე არ შეუთანხმდა, კონფლიქტი გადააქვთ მომრიგებელ კამერაში. საუბნო კომიტეტში ხშირად მოდიოდა ხაზის სადგურებიდან მიმართვები მუშების საჭირბოროტო საკითხებზე, როგორც არის სპეცტანისამოსის საკითხის მოგვარება, მუშა-მოსამსახურეთათვის თანრიგის მომატება, ჯამაგირის დროზე დარიგება, შეშის გაცემა და სხვა. ამ საკითხებს საუბნო კომიტეტი იხილავდა და ატარებდა ცხოვრებაში. საერთო კრებების მოწვევა სისტემატიურად ხდებოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საერთო კრებებზე მუშა-მოსამსახურეთა დასწრების საკითხი არ იყო მოგვარებული. ხშირი იყო შემთხვევები, რომ პატარა სადგურების საერთო კრებაზე მეტი ხალხი ესწრებოდა, ვიდრე დიდ სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ისმებოდა, როგორც წარმოების ალორძინების საკითხი, ისე მუშა-მოსამსახურეთა საჭირბოროტო საკითხები. ამ მხრივ საუბნო კომიტეტს დიდი მიღწევები აქვს.

მთელ უბანში არსებობს 8 სადელეგატო ინსტიტუტი, მასიურ მუშაობის გასაცხოველებლად თვეში ერთხელ კეთდებოდა მოხსენებები ადგილკომის მუშაობის ირგვლივ. 2 პროც. საკავშირო ფულის აკრეფა ხდება საზარათო წესით. უწინ მისი აკრეფა ძნელი იყო განსაკუთრებით კი მოძრაობის დარგში, მაგრამ ბოლო ხანებში ეს საკითხიც მოგვარდა. მუშათა ჯანმრთელობის დაცვა შეძლების და გვარად კარგათ მიმდინარეობდა. საანგარიშო ხნის განმავლობაში კურორტებზე გაიგზავნა 122 კაცი.

ი.

თბილისის საფუდში

ა.-კ. რკინის გზის სამმართველოსთან არსებულმა საკონტროლო განყოფილებამ ამ დღეებში დაასრულა თბილისის საფუდის ფაქტიური რევიზია. მუშაობის დროს კონტროლიორებმა ყურადღება მიაქციეს საფუდის მუშაობის პირობებს, და სხვათა შორის საფუდის სამასალო საწყობსაც.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საწყობი, სოფლის ფაცხას უფრო გავს, ვინემ ისეთ ფართოდ მოთხოვნილების, მასალებით დამაკმაყოფილებელ საწყობს, როგორც უნდა იყოს თბილისის საფუდის საწყობი. შედიხართ თუ არა საწყობში პირველადვე თვალში გეჩხირებათ უწესრიგობის საერთო სურათი: მასალები ერთ მეორეში არის არეული და მიყრილ-მოყრილი.

საწყობში არსებობს ვითომ ნომენკლატურული სისტემა. მაგრამ როცა სინჯავთ ამა თუ იმ მასალას რწმუნდებით, რომ ზოგიერთი მასალები სრულებით არ არის სათანადო წიგნებში საბუთებში გატარებული, და ყრია საწყობში, როგორც „ზედმეტი" მასალა.

ან ქვითარებში გატარებულია, მაგალითად სპილენძის რგოლები 70 ცალი, ნამდვილად კი ოციე ცალი მეტია.

რაშია საქმე?

საწყობში დღეს არსებულ ქაოტიურ მდგომარეობის გამო შეუძლებელია მასალების ნაშთის გამოყვანა. ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ მდგომარეობას ხსნის საწყობში მომუშავეთა შტატის სიმცირით, და აგრეთვე იმით, რომ საწყობის გამგეს თავის პირად მოვალეობის შესრულებასთან ერთად უხდება საფუდის მუშებისთვის სპეცტანისამოსის დარიგება.

არ იქნება ზედმეტი თუ წევის დარგის უფროსი ჩაერევა ამ საქმეში და აღნიშნულ ნაკლს გამოასწორებს; თორემ საწყობში მუშაობის გაგრძელება იმ წესით, როგორითაც ამჟამად ხდება, მიუღებელია და სახელმწიფო სალაროსთვის საზარალო.

—კოლი.

მუშათა წერილებიდან

— **რატომ დაიკეტა კედლის გაზეთი.** რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ელექტრო-ტეხნიკური განყოფილება უშვებდა ყოველთვიურ კედლის გაზეთს „საწარმოო"-ს სახელწოდებით, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო კედგაზეთი აღარ გამოდის.

რატომ დაიკეტა კედლის გაზეთი?

მუშკორი ზაგმუკი.

— **დროზე შეაკეთეთ.** ტრამვაის მუშათა კლუბში უკანასკნელ ხანებში კულტურული მუშაობა მოისუსტებს, ეს იმის გამო, რომ 2 თვეზე მეტია, რაც შენობის შეკეთება სწარმოებს.

კლუბის გამგეობამ დროზე უნდა შეაკეთოს შენობა, რომ კულტურული მუშაობა გაცხოველდეს.

გამვლელი.

მუშათა ქრონიკა

რკინის გზებზე

— **საამქრო ბიურო.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაარსა მემუხრუჭეთა საამქრო ბიურო.

— **შეჯიბრი.** 26 დეკემბრიდან თბილისის საუბნო კომიტეტი აწყობს მოჭადრაკეთა წრეების მასიურ შეჯიბრს.

— **კითხვა-პასუხის საღამო.** 16 დეკემბერს სად. გორის კლუბში გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო სოც. დაზღვევის შესახებ.

— **ბათომის** საუბნო კომიტეტმა გადასწყვიტა ააგოს კლუბი სად. ქობულეთში.

— **ექსკურსიები.** რკ. გზ. სამმართველოს კულტკომისიამ საჭიროდ აღიარა მოაწყოს მუშათა მასიური ექსკურსიები სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილებზე.

— **რკინის გზის** სამმართველოს კულტკომისიამ დაადგინა მოაწყოს კითხვა-პასუხის საღამო თვეში ერთხელ.

— **შეშა.** ამ დღეებში დაიწყება სამასალო საწყობიდან შეშის გაცემა რკინის გზელთათვის.

— **კლუბის აგება.** სადგ. წნორის-წყლის ადგილკომმა შეიძინა ხე-ტყის მასალა კლუბის ასაგებად.

— **კედლის გაზეთი.** ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „პროფცხოვრება"-ს სახელწოდებით.

„კომუნისტი"-ს მუშკორები

— **მუშაობის გეგმა.** გაზ. „კომუნისტის" მუშკორთა საერთო კრებამ დაამტკიცა [illegible] მუშაობის გეგმა.

თათბირები

მაზრაღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებების უფროსთა თათბირი

23 დეკემბრის დილის სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. შ. მათიკაშვილი.

მზადება მომავალ საბჭოთა არჩევნებისათვის

(ამხ. მათიკაშვილის მოხსენება)

მომხსენებელმა თავის სიტყვის დასაწყისში აღნიშნა ის მთავარი ამოცანები, რომლებიც სდგას მომავალი საბჭოთა არჩევნების წინაშე.

მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მომავალ საარჩევნო კამპანიაში ჩაბმული იქნას მშრომელთა ფართო მასა. ამ მხრივ საჭიროა წარსული წლის გამოცდილებით სარგებლობა. მომავალ საბჭოთა არჩევნებში ჩაბმულ უნდა იქნას მოჯამაგირეთა კადრი. ეხლა საქართველოს მასშტაბით საბჭოებში ჩაბმულია მხოლოდ 36 მოჯამაგირე მაშინ, როცა ორგანიზაციულად დარაზმული მოჯამაგირეთა რაოდენობა ათასობით ითვლება.

გარდა ამისა. არჩევნებში ჩაბმული უნდა იქნეს ტერ-არმიელები და უვადო შვებულებაში გაშვებული წითელ-არმიელები.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციული მხარის დახასიათებაზე.

თანახმად საქართველოს ცაკის დადგენილებისა. მორიგი არჩევნების ჩატარება დანიშნულია 1927 წ. იანვრის 25-დან მარტის 15-მდე, ხოლო არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობა იმავე დადგენილების თანახმად, უნდა ჩატარდეს 1927 წლის იანვრის 1-დან იანვრის 25-მდე.

აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის საბჭოთა ყრილობები უნდა მოწვეულ იქნას 1927 წ. თებერვლის 25-დან მარტის 16-მდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოწვეული იქნება 1927 წლის მარტის 22-ს.

მთელი საარჩევნო კამპანია დაყოფილ უნდა იქნეს 2 პერიოდათ.

პირველი პერიოდი შეიცავს არჩევნების ორგანიზაციულ-ტეხნიკურ მომზადებას. ამ პერიოდში ჩატარებული უნდა იქნეს მთელი რიგი ღონისძიებანი, როგორც მაგალითად: საარჩევნო კომისიების მოწყობა ადგილებზე, შედგენა საარჩევნო უფლების მქონე და უფლების მოკლებულ პირთა სიებისა, საარჩევნო უბნების შექმნა, საარჩევნო კომისიების საინსტრუქციო თათბირების ჩატარება, საბჭოების და აღმასკომების საანგარიშო კამპანიის ჩატარება, განაწესების (ნაკაზი) შემუშავება-განხილვა, ღარიბი და საშუალო გლეხობის, პროფესიონალურ კავშირების, მოჯამაგირეების, ტერ-არმიელების, უვადო შვებულებში გაშვებულ წითელ-არმიელების, ქალთა სადელეგატო კრებებისა და საბჭოთა საზოგადოებრივი სხვა ორგანიზაციების (გლეხკომი, კოოპერაცია და სხვა) წინასწარი კრებების ჩატარება. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე უწყებების დამზადებას და ჩაბარებას ამომრჩეველთათვის.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამომრჩეველთა სწორი აღრიცხვის მოსახდენად შედგენილ უნდა იქნეს სწორი სახელობითი სიები. ამ სიების მიხედვით ნათლად გამოირკვევა, ვის აქვს მინიჭებული საარჩევნო უფლება და ვის ასეთი უფლება წართმეული აქვს.

საარჩევნო სამაზრო კომიტეტებმა ამ მიმართულებით უნდა აწარმოონ გაცხოველებული მუშაობა. საარჩევნო კომიტეტების აპარატად გამოყენებულ უნდა იქნას საორგანიზაციო განყოფილებები. საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარედ იქნება აღმასკომის თავმჯდომარე, ხოლო მოადგილედ საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

თუ როგორ უნდა მოხდეს სწორი სახელობითი სიების შედგენა—ყოველივე ეს დაწვრილებით გათვალისწინებულია სათანადო ინსტრუქციაში.

მომხსენებელი აცნობს რა თათბირს ამ ინსტრუქციის შინაარს, აღნიშნავს, რომ საჭიროა საკითხისადმი მეტის-მეტად სიფრთხილით მიდგომა. ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის მთლიან სამეურნეო გადასახადს იხდის გლეხი. ცხოვრების სინამდვილემ და წარსულის გამოცდილებამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ამ მეთოდს მეტად პრაქტიკული სარგებლიანობა მოაქვს.

შემდეგ მომხსენებელი ამბობს, რომ საარჩევნო უფლებების მქონე და ასეთ უფლებას მოკლებულ პირთა აღრიცხვა უნდა სწარმოებდეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცირკულიარის და ფორმების მიხედვით. ასეთი ცირკულიარი და საარჩევნო ფორმები თავის დროზე დაეგზავნება მაზრებსა და თემებს.

იმ მიზნით, რომ არჩევნებში ჩაბმული იქნეს მშრომელთა ფართო მასა, საჭიროა დაარსდეს საარჩევნო უბნები. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ რამდენადაც ნაკლები იქნება ასეთი უბნების რიცხვი, იმდენად მუშაობა უფრო მიზანშეწონილად იწარმოებს.

არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად სამაზრო საარჩევნო კომისიამ წინასწარ, არჩევნების დაწყებამდე, უნდა მოიწვიოს ყველა თემების საარჩევნო კომისიების მდივნების სამაზრო და სარაიონო თათბირები. ამ თათბირებზე [illegible] მათ შეასწავლის არჩევნების სტატისტიკურ ცნობების აღრიცხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორი ცნობების შეკრებას.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს საარჩევნო კრებების ორგანიზაციისა და სტრუქტურაზე.

არჩევნების დაწყებამდე მოსახლეობას უნდა განემარტოს საბჭოთა კონსტიტუციის და მომავალ საბჭოთა არჩევნების ძირითადი მომენტები. გარდა ამისა, საზოგადო კრებებზე მოხსენებები უნდა გააკეთონ სათემო აღმასკომებმა. ამ მოხსენებებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოს დეპუტატებმა. თანამომხსენებლებად უნდა გამოვიდნენ სარევიზიო კომისიები. მოსმენილი ანგარიშების მიხედვით გამოტანილ უნდა იქნას სათანადო დადგენილებანი აღმასკომის მუშაობისა და თვით დეპუტატების მუშაობის შესახებ საბჭოებში.

საჭიროა აგრეთვე ამ წინასწარ კრებებზე შემუშავებულ და განხილულ იქნეს განაწესის (ნაკაზი) პროექტი.

განაწესი უნდა დამუშავდეს იმ რიგად, რომ ის წარმოადგენდეს საბჭოს მუშაობის წლიურ გეგმას და შეეხებოდეს თვითეული თემის მოუწყობლობის ყველა დარგებს.

უნდა მოწესრიგდეს ამომრჩევლებისათვის უწყებების თავის დროზე დაგზავნის საქმე და შემჩნეული დეფექტები ამ მიმართულებით აღმოფხვრილ უნდა იქნეს. გარდა ამისა, შერჩეული უნდა იქნას საარჩევნო კრებების დრო.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო კამპანიის ჩატარებას ეროვნულ უმცირესობათა შორის. თვითეული ნაციონალური ერთეული აქტიურათ უნდა ჩაებათ არჩევნებში.

მეორე პერიოდი შეიცავდა თვით არჩევნების ჩატარებას.

დასასრულ ამხ. მათიკაშვილი აღნიშნავს, რომ საჭიროა სტატისტიკური ცნობების შემკრებ მუშაკთა შერჩევა და მოუწოდებს საორგანიზაციო განყოფილების გამგეებს ადგილებზე სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ საარჩევნო მუშაობას.

დებულების განხილვა

ამხ. მათიკაშვილის მოხსენების შემდეგ თათბირმა განიხილა საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორთა დებულება.

ამხ. იაკობაშვილის მოხსენება

სათემო საბჭოებთან სარევიზიო კომისიების დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. იაკობაშვილმა.

მომხსენებელმა გააცნო თათბირს სათემო საბჭოებთან სარევიზიო კომისიების დაარსების მნიშვნელობა და აგრეთვე სარევიზიო კომისიების დებულების შინაარსი.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგ ამხ. მათიკაშვილის წინადადებით თათბირმა მიზანშეწონილად და დროულად სცნო სათემო საბჭოებთან სარევიზიო კომისიების დაარსება. ამ საკითხთან დაკავშირებით თათბირმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები.

ამით დასრულდა დილის სხდომა.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე მოსმენილ მოხსენებათა გარშემო მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუციები.

დასასრულ თათბირის წევრებს ხელზე დაურიგდათ საარჩევნო კამპანიის წინასწარი სამზადისისათვის საჭირო მასალები.

ღამის 9 საათზე თათბირი დასრულდა.

შინამრეწველ ხელოსანთა კონფერენცია

მეოთხე სხდომა

23 დეკემბრის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. სულიკაშვილის მოხსენება კავშირის ახალი წესდების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კავშირის ძველი წესდება მეტად დაძველებული შინაარსის იყო. წესდება არ გულისხმობდა პროფესიონალურ მუშაობას.

ამჟამად შემუშავებულია ახალი წესდება, რომელშიაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ხელოსანთა მასსაში [illegible] გაძლიერებას; წესდებაში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ შინამრეწველ ხელოსნებში მშრომელი ელემენტები არიან და მათსა და კაპიტალს შორის არსებობს ეკონომიური ანტაგონიზმი.

ახალი წესდება ყურადღებას აქცევს აგრეთვე ძირითადად უჯრედს—ჰამქრის ბიუროს და მის უფლებებს. ამით მიღწეულია ხელოსანთა მასის და მმართველი ორგანოების დაახლოება.

ძველ წესდებაში განსაზღვრული არ იყო მმართველი ორგანოების უფლებები, რაც იწვევდა არევ-დარევას ფუნქციების განაწილებაში. ახალ წესდებაში ეს აღმოფხვრილია. ახალი წესდება უფრო დემოკრატიულია და აახლოებს ხელოსანთა მასსას საბჭოთა ხელისუფლებასთან.

წესდება მთლიანად დამტკიცებულ იქნა კონფერენციის მიერ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **ნასყიდაშვილის** მოხსენება მოწაფეობის შესახებ.

ბ. ნური-ბეის დანიშვნა

ოსმალეთის გენერალური კონსული თბილისში **ბ. ნური-ბეი** ოსმალეთის მთავრობის მიერ დანიშნულია ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილების დირექტორად, რის გამო ის ამ დღეებში სტოვებს თბილისს და მიემგზავრება ოსმალეთში.

თბილისში ახლად დანიშნულ კონსულის ჩამოსვლამდი ოსმალეთის გენერალური კონსულის მოვალეობას აასრულებს ვიცე-კონსული **შერეფედი-ბეი.**

ბ. ნური-ბეი ერთ-ერთი უძველესი უცხო კონსულია თბილისში; ის უკანასკნელ დრომდე ითვლებოდა დიპლომატიური კორპუსის მამასახლისად.

ბ. ნური-ბეის წერილი

გუშინ ბ. ნური-ბეიმ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოს ამიერ-კავკასიაში გამოუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

ორნახევარი წლის განმავლობაში, ვასრულებდი რა ჩემს მოვალეობას, მე საუკეთესო დამოკიდებულება მქონდა, როგორც ოფიციალური ისე კერძო, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოსთან ამიერ-კავკასიაში და სხვა ადგილობრივ დაწესებულებებთან; ეს ჩემი დამოკიდებულება სავსებით შეეფერებოდა ჩემს მთავრობასა და საბჭოთა კავშირის მთავრობის შორის არსებულ გულწრფელ მეგობრობას, რისთვისაც ჩემს სასიამოვნო მოვალეობათ ვსთვლი ჩემი ღრმა მადლობა გამოუცხადო მათ.

ვსტოვებ რა თბილისს, სრულ ბედნიერებას და კეთილდღეობას ვუსურვებ საბჭოების ქვეყანას.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენდამი.

ოსმალეთის გენერალური კონსული თბილისში ნური-ბეი.

ბამბის ფასები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა ცალკე რაიონებში ბამბის ფასების დაწესების საკითხი.

ნედლი ბამბის ფასების დაწესება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცალკე რაიონებში 1927—28 წლისათვის შეუძლებლად იქნა ცნობილი.

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს წინადადება მიეცა შეაგროვოს, შეისწავლოს და დაამუშაოს მასალები ბამბის მოსავლიანობის და ღირსების შესახებ.

ვინაიდან მუღალნოს ბამბა კარგი ღირსების ძაფს იძლევა, წინადადება მიეცა ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს გაუთანასწოროს მისი ფასი ფერგანის ბამბის ფასს; ამასთანავე ბამბის ფასი ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებში შემცირებული არ უნდა იქნეს.

მუღალნოს ბამბის ძაფზე ფასების გადიდების დროს, განსხვავება ამჟამად დაწესებულ ფასსა და მომავალ ფასს შორის განაწილებული არ იქნება მებამბეობის ცალკე მეურნეობებს შორის, არამედ დარჩება ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის განკარგულებაში [illegible] მებამბეობის საჭიროებათა [illegible].

ფართლის შემოტანა

ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში ფართლის შემოზიდვის საქმე ცუდათ იყო დაყენებული. ფართლის შემოზიდვის გეგმა ვერ იქნა შესრულებული. ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს გადმოსაზიდ საშუალებების სიმცირე. ამის გამო, ა.-კ. შინავაჭრობის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა მიმდ. წლის მე-2 მეოთხედში შემოზიდულ ფართლის გარდა შემზიდული იქნეს ის ფართალიც, რომელიც შემოუზიდავი დარჩა პირველ კვარტალში. ამრიგათ მე-2 მეოთხედისათვის წარდგენილია მოთხოვნილება 372 ვაგონ ბამბეულზე და 580.300 მანეთის შალეულობაზე.

აგურ-კრამიტის ქარხნები

ს. მ. უ. ს. ცენტრალურმა ქიმიო-ტეხნიკურმა ლაბორატორიამ მიიღო შორაპნის თელავის და ზუგდიდის მაზრ. საკრამიტე თიხის ნიმუშები გამოსაკვლევათ და გამოსაცდელათ.

ლაბორატორიამ უკვე დაიწყო აღნიშნულ ნიმუშების ანალიზი, რომლის დამთავრების შემდეგ შეუდგებიან აგურისა და კრამიტის საცდელ კეთებას.

აღნიშნულ სამ მაზრაში **გადაწყვეტილია** აგურ-კრამიტის ქარხნების აგება. მუშაობა დაიწყება ანალიზების დასრულების შემდეგ.

გუშინ დასრულდა მოსახლეობის აღწერა ქალაქებში

ცენტრალურ საღწერო ბიუროს ცნობა

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საღწერო განყოფილება, რესპუბლიკაში აღწერის მიმდინარეობის შესახებ აქვეყნებს შემდეგ ცნობას:

23 დეკემბერს საღამოსათვის აღწერა დასრულდა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში. სოფლებში აღწერა წარმატებით მიმდინარეობს. აღწერაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივი აღმასკომებისა და სხვა ორგანიზაციები. აღმწერლებს კარგათ ეპყრობა თვით მოსახლეობა და ხალისით აწვდის მათ საჭირო ცნობებს.

დასავლეთ საქართველოში პირველ ხანებში აღწერას აბრკოლებდა ცუდი ამინდი, ხოლო შემდეგ ამინდი გამოკეთდა; მაგრამ უკანასკნელათ მიღებულია ცნობა, რომ დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ მაზრებში მოდის განუწყვეტელი წვიმა.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან კარგი ამინდია და მუშაობაც უფრო გაადვილდა, რის გამოც აღწერა უკვე თავდება მთელ რიგ სოფლებში.

საღწერო მასალები ყველგან საკმარისი აქვთ. საღწერო პერსონალი შეგნებითა და ენერგიულათ ეკიდება მინდობილ საქმეს.

მიუხედავათ ცუდი ამინდისა დასავლეთ საქართველოს მაზრებიდან იტყობინებიან, რომ აღწერა ყველგან დასრულდება თავის დროზე და სრულად.

გარდა ამისა აღწერის პროცესში ირკვევა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა შესამჩნევათ გამრავლებულა და ბევრგან მეკომურთა რიცხვი საგრძნობლად აღემატება წინასწარ ნავარაუდევ რაოდენობას.

როგორ ჩატარდა აღწერა თბილისში

პირველ აგვისტოდან ემზადებოდა თბილისის აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილება მოსახლეობის აღწერისთვის. ნერვიული იყო ეს მზადება, ვინაიდან განყოფილება გრძნობდა იმ ფრიად დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ქონდა დაკისრებული. მთავარ სიძნელეს აღწერის დაწყების წინ წარმოადგენდა ის მდგომარეობა, რომ საღსრების უქონლობის გამო წინასწარ არ იყო გარკვეული საორიენტაციო რიცხვი თბილისის მცხოვრებთა შესახებ ისე, როგორც ეს მოახდინეს ქალაქ ბაქოში. საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით თბილისში უნდა ყოფილიყო 253.000 მცხოვრები, ხოლო აღმასკომის სტატგანის ცნობებით მცხოვრებთა რიცხვი 270.000-ს უნდა აწორებოდა. საორიენტაციო რიცხვის ცოდნა აუცილებელი იყო; ვინაიდან უამისოდ ძალიან გაძნელდებოდა როგორც ქალაქის რაიონებათ დანაწილება, ისე საღწერო ძალების განაწილება.

როგორ უნდა გაგვენაწილებია აღმწერლები? თუ გამოვიდოდით 253.000-დან და ამ რიცხვის მიხედვით დავანაწილებდით აღმწერლებს, აღწერის დროს შეიძლება მეტი მცხოვრები აღმოჩენილიყო და აღწერას 7 დღეში ვერ გავათავებდით. ამიტომ ავიღეთ საშუალო რიცხვი და საქ. ცესსთან შეთანხმებით 266.000—მცხოვრებზე. ამის მიხედვით დავანაწილეთ როგორც თბილისი, ისე აღმწერლები. ოთხთვინახევრის სამზადისის შემდეგ 16-დან 17 დეკემბრის ღამით შეუდექით აღწერას. ამ ღამეს ჩვენ გადავწერეთ ღამის გასათევი ადგილები, რომლებიც 30-ღი აღმოჩნდა. ხოლო 17 დეკემბერს დავიწყეთ ქალაქის აღწერა. პირველ რიგში გადავწერეთ სასტუმროები.

მოსახლეობა ძალიან შეგნებულად შეხვდა აღწერას და ტყუილა არ ჩაევლო იმ სისტემატიურ პროპაგან.-აგიტაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრესის ფურცლებზე. სათანადოთ იყო დაყენებული აგიტაცია პლაკატების მხრივაც. მოქალაქე ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდებოდა განცხადებებს, სავალდებულო დადგენილებებს და სხვა. ვეცადეთ აეროპლანიდანაც გადმოგვეყარა განცხადებები და მცხოვრებლებისადმი მიმართვა, მაგრამ დიდი ქარის გამო აეროპლანიდან გადმოყრილი ლიტერატურა ქალაქს გაშორდა. აღწერის პირველ დღეს, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, აღმწერელმა 35 საპირადო ფურცელზე მეტი ვერ შეავსო, მაგრამ მეორე და მესამე დღეს დაწესებულ ნორმას გადააცილდენ. რომ ასე არ მომხდარიყო აღწერას 7 დღეში ვერ დავათავებდით. ძალიან გვეშლებოდა ხელი გადასაზიდავ საშუალებების უქონლობით, რომელზედაც დიდი ფული დაიხარჯა. მართალია აღმასკომმა მოგვცა ერთი მანქანა, მაგრამ ის საკმარისი არ იყო. ხშირად ვხმარობდით „ზაკავტომპრომტორგის" ავტომობილებს მასალის რაიონებში გადასაზიდავათ.

ფულის მხრით აღმასკომი და საქართველოს სტატისტიკური სამმართველო დიდ დახმარებას გვიწევდენ. ძალიან დიდი დრო წაგვართვა სახლკარის ბარათების შედგენამ. განსაკუთრებით ცენტრალურ რაიონებში. სადაც სახლის მმართველნი ან პატრონები აღმწერლებს თავის დროზე არ ხვდებოდენ და ორ-ორჯერ უხდებოდათ მათთან მისვლა.

22 დეკემბრის აღწერილი არის 228.407 მცხოვრები, თუ 23 დეკემბრისაც ვივარაუდებთ საშუალოთ 40.000 აღწერილ სულს—მაშინ **თბილისის მცხოვრებთა რიცხვი გამოვა 268.407,** ე. ი. 2.407-ით მეტი, ვიდრე ჩვენ გვქონდა ნავარაუდევი.

ამგვარად თბილისის მცხოვრებთა აღწერა სრულიად ნორმალურად დამთავრდა.

თბილისის მაზრიდან მოდის ცნობები, რომ აღწერა კარგად მიმდინარეობს. მაზრას კიდევ აქვს ვადა 7 დღე.

შალვა გომართელი.

ამხ. გრიგორიანისა და რუხაძის დეპეშა

საქ. ცენტ. სტატ. სამმართველომ აფხაზეთიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„გუშინ და დღეს ვეცნობოდით აღწერის საკითხების მოგვარებას ქალაქ სოხუმში და აფხაზეთის ყველა მაზრებში. ირკვევა, რომ აღწერა ყველგან ნორმალურათ მიმდინარეობს, მიუხედავათ განუწყვეტელი წვიმებისა.

აღმწერლები თავდადებულათ და განუწყვეტლივ მუშაობენ. აღწერის ჩატარებაში ენერგიულ მონაწილეობას იღებს მოსახლეობა და განსაკუთრებით მასწავლებლობა. კავშირი ცენტრსა და პერიფერიებს შორის კარგია. ყველგან ჩატარებულია შესაფერი საგიტაციო კამპანიები.

აღწერის პროცესში ირკვევა, რომ მოსახლეობის რიცხვი ბევრათ გადააჭარბებს წინათ ნავარაუდევს, რაც თავისთავათ იწვევს კრედიტების გადიდების საჭიროებას. აფხაზეთის აღმწერლები აღწერენ აგრეთვე აფხაზეთის სვანეთსაც.

აფხაზეთიდან მივემგზავრებით ზუგდიდის, სენაკის და ქუთაისის მაზრებში".

თბილისში

აღწერის დასრულება

გუშინ, დღის 3 საათისთვის დასრულდა აღწერა თბილისის მე-6, მე-7 და მერვე საღწერო უბნებში; მე-3, 12 და 10 უბნებში შენელდა აღწერის დასრულება, რის გამოც აღნიშნულ უბნებში დამატებით გაიგზავნა 40 აღმწერელი.

ღამის 12 საათისთვის ყველა უბნებში დამთავრებული იყო აღწერა.

22 დეკემბრის შედეგები

22 დეკემბერს, თბილისში აღწერაზე მუშაობდა 530 აღმწერელი. მათ მიერ დღის განმავლობაში შევსებულ იქნა 49.900 პიროვნების, 13.307 საოჯახო და 2.216 სახლკარის ბარათები.

სულ დღემდე თბილისში აღწერაზე აყვანილი ყოფილა 228.982 პიროვნება, 63.085 ოჯახი და 9.891 სახლკარი.

აღწერა მაზრებში

სენაკის მაზრა

სენაკის მაზრიდან იტყობინებიან, რომ მაზრის საღწერო უბნების ზოგიერთმა ინსტრუქტორებმა უკვე დაიწყეს მასალების ჩაბარება სამაზრო ბიუროში.

შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრაში აღწერა ყველა რაიონებში წარმატებით მიმდინარეობს. მაზრის ქალაქებში უკვე დასრულდა აღწერა. ამინდი ცუდია.

ახალქალაქის მაზრა

ახალქალაქის აღწერა დამთავრდა. მარტო ქალაქში სცხოვრობს 2450 კაცი. აღწერა დასრულდა აგრეთვე მაზრის ზოგიერთ სოფლებში.

ქუთაისის მაზრაში

ქუთაისში, ტყიბულში, სამტრედიაში და ხონში აღწერა დასრულდა. სოფლებში აღწერას ხელს უშლის განუწყვეტელი წვიმა. ირკვევა, რომ მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლათ გადიდებულა.

აღწერის ქრონიკა

აღწერის მასალების ჩაბარება

ქალ. თბილისისათვის დაწესებულია საღწერო მასალების შეგროვების შემდეგი წესი: 25 დეკ.-დე აღმწერლებმა უნდა ჩააბარონ საღწერო მასალები ინსტრუქტორებს; 28 დეკემბრამდე ინსტრუქტორები აბარებენ შეგროვილ მასალებს უბნის ხელმძღვანელებს, ხოლო 31 დეკემბრამდე ხელმძღვანელებმა უნდა ჩააბარონ მასალები ქალაქის აღწერის ბიუროს.

განცხადებების შეტანა

თბილისის აღწერის ბიუროს ცნობით საღწერო უბნებში უკვე დაიწყო გამოტოვებულ მოქალაქეთა განცხადებების შემოტანა.

გამოტოვებულ მოქალაქეთ შეუძლიათ მიმართონ სათანადო ბიუროებს 28 დეკემბრამდე.

ორი მოხსენება

საექიმო საზოგადოებაში

23 დეკემბერს საქ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგა თბილისელ ექიმთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდნენ პროფ. მიზერნიცკი და ექ. ი. ლორთქიფანიძე.

პროფ. მიზერნიცკიმ მოხსენება გააკეთა თავისი საკუთარი დაკვირვებების შესახებ, რომელიც იგი აწარმოებდა ალტაიში, ყირიმში, სოხუმში, აბასთუმანში და სხვაგან მზის სხივების ადამიანის ორგანიზმზე მოქმედებისა და ე. წ. პიგმენტაციის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღემდე სამკურნალო პრაქტიკაში იცოდენ საზოგადოდ მზის აბაზანებით სარგებლობის დადებითი მხარეებზე, ხოლო ხშირათ რომ ამას ცუდი შედეგები მოსდევდა, ეს ითვლებოდა გამოუცნობელ მოვლენათ.

პროფ. მიზერნიცკის დასასრულ მოყავს დასაბუთება, რომ მზის აბაზანებით სარგებლობის დროს მთავარი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მზეზე ყოფნის დროს, არამედ მზის ზენიტში მდებარეობას (მანძილს) და მიწის პირზე მომავალ სითბოს კალორიების რიცხვს. ამის გასაზომავათ და გამოსარკვევათ მომხსენებელი აყენებს მის მიერ გამოგონილ საშუალებას და იძლევა განმარტებას, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ეს საშუალება მუშაობის დროს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მეორე მოხსენებით—„ტუბერკულოზის გავრცელება საქართველოში"—გამოვიდა ი. ლორთქიფანიძე.

მომხსენებელს მოყავს ვრცელი სტატისტიკური ცნობები ჭლექით დაავადების შემთხვევების შესახებ და აღნიშნავს, რომ ჭლექით დაავადებულთა რიცხვის მხრივ საქართველოს უჭირავს ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი მთელ საბჭოთა კავშირში. გარდა ამისა მომხსენებელი ციფრებით ადასტურებს იმ დებულების უსაფუძვლობას, რომ თითქოს ჭლექი უმთავრესად გავრცელებული იყოს მალარიიან ადგილებში.

მომხსენებელს მოყავს ვრცელი სტატისტიკური ცნობები, რომ საქართველოში ჭლექი ყველაზე მეტად ყოფილა გავრცელებული მთიან ნაწილებში, როგორიცაა სვანეთი, სამხ. ოსეთი, ლეჩხუმი, რაჭა და სხ., ხოლო ყველაზე ნაკლებათ დაბლობ და ციებ-ცხელიებიან რაიონებში.

მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

იტალიელი სპეციალისტები

თბილისში

ოზურგეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ იტალიელი სპეციალისტები კუვალია და ბერგონდი. ისინი საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ მოწვეული იყვნენ ახალი მანქანების დასადგმელად ოზურგეთის, ხონის და თელავის აბრეშუმის საქსოვ ქარხნებში. მათთან ერთად მოწვეული იყო მესამე სპეციალისტი კრისპი, რომელიც დარჩა სამუშაოდ ოზურგეთის ქარხანაში.

ეს სპეციალისტები მოწვეული არიან იტალიის ცნობილ ფირმა „ბატალია"-ს ქარხნიდან.

მანქანების დადგმაზე ისინი იმუშავებდენ ხუთი თვის განმავლობაში. ოზურგეთის ქარხანაში მათ მიერ დადგმულია 70 მანქანა. ამჟამად ყველა სამუშაოები დამთავრებულია და 27 დეკემბერს კუვალია და ბერგონდი მიემგზავრებიან იტალიაში.

ცვლილებები

სისხლის სამართლის კოდექსში

სახელმწიფო თანხების ეკონომიის და სასამართლოს და სატყეო ორგანოების მუშაობის გაადვილების მიზნით, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლების შეცვლა, რომლებიც ეხება ტყეების დაცვის შესახებ გამოცემულ დადგენილებების დარღვევას.

ახალი პროექტით, ტყეების განადგურებისაგან დასაცავად გამოცემულ დადგენილებების დარღვევა, თუ უკანონოთ მიღებულ მასალის ანდა სატყეო მეურნეობისათვის მიყენებულ ზარალის ღირებულება არ აღემატება 30 მანეთს, იწვევს ჯარიმის გადახდევინებას უკანონოთ მიღებულ მასალის ანდა სატყეო მეურნეობისათვის მიყენებულ ზარალის ღირებულების არა უმეტეს სამჯერ მეტი რაოდენობისა, მაგრამ არა ნაკლებ ერთი მანეთისა უკანონოთ მიღებულ მასალის ჩამორთმევით.

თუ სატყეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი აღემატება 30 მანეთს, დამნაშავე შეიძლება დაპატიმრებული იქნეს 6 თვემდე ანდა გადახდეს მას ჯარიმა მიყენებული ზარალის ღირებულების არა უმეტეს სამჯერ მეტი რაოდენობისა უკანონოთ მიღებული მასალის ჩამორთმევით.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაევალა ერთი თვის განმავლობაში გაატარონ ცხოვრებაში აღნიშნული ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში.

ცაკის პრეზიდიუმში

დებულების დამტკიცება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული შინა-მრეწველობისა და სახელოსნო მრეწველობის საბჭოს დებულება.

კომისია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავის ჩასატარებლად.

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით დაარსებულია კომისია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის ზეიმის ჩასატარებლად შემდეგი შემადგენლობით: ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), კახიანი, კანდელაკი, ყუფულიშვილი, საყვარელიძე, ასრიბეკოვი, ბოლქვაძე, თოდრია, თათარიშვილი, ვარძიელი, ჯაფარიძე ვ. ლობჟანიძე, ლ. სუხიშვილი, მაშკევიჩი.

ამხ. სტანსკის დანიშვნა

პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულია ამხ. სტანსკი.

საზ. „საქართველოს ჩაი"

საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა გზავნის ჩინეთში ჩაის საქმის გამოცდილ სპეციალისტს—პოკროვსკის ჩაის თესლის შესაძენად თვით საზ-ბის პლანტაციებისათვის და ჩაის მომყვან გლეხებისათვის დასარიგებლად აჭარისა, გურიასა და სამეგრელოში.

ჩაის მმართველობის საქმის გასაცნობად მოსკოვში იგზავნებიან საზოგადოების ჩაის ფაბრიკების გამგენი, მათი თანაშემწენი და საზოგადოების ჩაის ფაბრიკების რაიონული ხელმძღვანელი. მოსკოვში ისინი უნდა გაეცნონ ყველა საზღვარგარეთულ ჩაის, მათ დახარისხებას, გახვევას, შემოწმებას და სხვ.

ფასების დაკლება

შაქარზე

გატარდება იანვრიდან

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, ნატეხი შაქრის ფასები დაკლებულია 5 კაპ. კილოზე (გირვანქაზე 2 კაპეიკი).

ამის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შაქრის ტრესტის თბილისის განყოფილებაში აცნობეს შემდეგი:

— შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას საბითუმო ვაჭრობაში ჩვენ უკვე ვატარებთ 15 დეკემბრიდან; რაც შეეხება საცალო ვაჭრობას, ფასების დაკლების გატარება დაიწყება 1927 წლ. პირველი იანვრიდან. სათანადო განკარგულება უკვე დაეგზავნა ქვედა საფეხურის ორგანიზაციებს.

ამ.-კავკ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა თავის რწმუნებულების სამმართველოებს, რომ ამ უკანასკნელებმა თვალყური ადევნონ ფასების დაკლების სისწორით გატარებას ადგილებზე.

სავაჭრო პალატა

აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატაში რამოდენიმე ხნის შეჩერების შემდეგ ისევ განახლდა მუშაობა.

ამჟამად პალატა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად.

პალატის გამგეობის თავმჯდომარეა ამხ. შირვანსკი, საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გუხეიძე.

პალატას ფართო ურთი-ერთობა აქვს დამყარებული აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატებთან სპარსეთში, ოსმალეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, საიდანაც იღებს ინფორმაციას იქაური პალატების მუშაობის შესახებ.

პალატის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ოსმალეთის მცურავი გამოფენა, რომელიც უნდა მოსულიყო ბათომში, აღარ ესტუმრება შავი-ზღვის ნავთსადგურებს. გამოფენა უკვე დაბრუნდა ოსმალეთში.

პროფკავშირებში

ინგლისის მემაღაროების სასარგებლოდ ანარიცხების შეკრების შეწყვეტა

ცირკულიარულად.

საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს და კავშირის წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი გაცნობებთ, რომ ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვის დამთავრების გამო ანარიცხების გაღება ხელფასიდან გაფიცულთა დასახმარებლად ა.-წ. პირველ დეკემბრიდან შეწყვეტილ უნდა იქნეს.

უკვე შეგროვილი და პირველ დეკემბრამდე კავშირის წევრთა შორის ასაკრები შეწირულება სასწრაფოდ მთლიანად გადმოგზავნილ უნდა იქნეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში.

ს. პ. კ. ს. მდივანი: ალ. ფანცხავა.

საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე—მარკმან.

უმუშევართა კოლექტივები აჭარისტანში

აჭარისტანის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა აჭარისტანში ამხ. ბრეგვაძემ. იგი შეეხო უმუშევართა კოლექტივების მდგომარეობას. მან აღნიშნა, რომ აჭარისტანში ამჟამად უმუშევართა 17 კოლექტივი არსებობს, რომლებშიც 300 უმუშევარი მუშაობს. მუშაობა წესიერად მიმდინარეობს. ნივთიერი მხრივ კოლექტივები მოღონიერდენ ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში. ცხრა თვეში კოლექტივების მუშა-მოსამსახურეებმა იმუშავეს 5345 დღე ერთიმეორეზე. იმავე ხანში ხელფასის დასაფარავად გაცემულია 100.022 მან. მუშების საშუალო დღიური ხელფასი აღწევს 2 მან. 20 კაპ.

ადგილობრივი პროფესიონალური კავშირები დიდ დახმარებას უწევენ შრომის სახალხო კომისარიატს უმუშევრობასთან ბრძოლაში. ზოგიერთი კავშირი აქაც არიდებს წილს და უშუალოდ მართავს უმუშევართა კოლექტივების გამგეობას, რაც, თავის თავად ცხადია, გავლენას ახდენს მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობაზე. დამზღვევი სალარო ნივთიერ დახმარებას ვერ უწევს. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები უმუშევართა კოლექტივებს სათანადო დახმარებას ვერ უწევენ. ამის გამო უმუშევართა კოლექტივები ვერ სარგებლობენ იმ შეღავათებით, რაც მინიჭებული აქვთ მათ უმაღლესი ორგანოების მიერ. ადგილობრივი ფინსახკომი კოლექტივების საბრუნავ ქონებაზე ადებს გადასახადს. ქალაქის აღმასკომი კი სინათლის საფასურსა და ბინის ქირას თხოულობს კოლექტივებიდან იმდენს, რამდენსაც კერძო წარმოებები იხდიან. ჩვენი მიზანი იყოვო — დაასრულა ამხ. ბრეგვაძემ, რომ კოლექტივები გადაგვექცია სამეურნეო ორგანოებისათვის, მაგრამ დღევანდლამდე ეს არ მოხერხდა.

აჭარისტანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ ფინანსიურ მხრივ მოღონიერებული კოლექტივები გადაეცეს სამეურნეო ორგანოებს, რისთვისაც ადგილობრივმა შრომის ბირჟის კომიტეტმა უნდა აწარმოოს წინასწარი მუშაობა.

ვინი.

პროფკავშირის ქრონიკა

კულტმუშაობა მაზრაში

სამტრედიის უბკავშირმა სადგურ რიონში წითელი კუთხის მოსაწყობათ გაიღო 150 მანეთი.

პროფსკოლის გახსნა

ფოთის პროფბიურომ დაარსა 30 მსმენელისათვის ერთი პროფცოდნის სკოლა.

დახმარება ინგლისის გაფიცულ მემაღაროებს

საქ. პროფსაბჭომ ინგლისის გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ სრ. რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს გადაუგზავნა ა.-წ. 11 დეკემბ. 5.000 მანეთი.

სამტრედიის უბკავშირში

საქპროფსაბჭომ მიიღო ინგლისის გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ სამტრედიის უბკავშირიდან 1.000 მანეთი.

ქუთაისის პროფბიუროში

დახმარება. საქპროფსაბჭომ 12 დეკემბერს მიიღო ქუთაისის პროფბიუროდან ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 179 მანეთი.

აჭარისტანის პროფსაბჭოში

აჭარისტანის ქვერაიონული კომიტეტი ახლო მომავალში კავშირთან მოაწყობს პიონერებისათვის სადურგლო სახელოსნოს.

ქრონიკა

აბანოების გამოკვლევა

შრომის სახალხო კომისარიატის ქიმიურ ლაბორატორიას დავალებული აქვს შეუდგეს თბილისის გოგირდის აბანოების გამოკვლევას.

გამოკვლევის მიზანია საბანაო წყალში შემავალი გოგირდის წყალბადის რაოდენობის გამოკვლევა და აგრეთვე წყლების ანალიზი, რამაც უნდა გამოარკვიოს, თუ რა ნივთიერებანი ურევია საბანაო წყალში და მავნებელია თუ არა ეს ნივთიერებანი ორგანიზმისათვის.

გოგირდის სიმჟავე

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამრეწველო სექცია ამჟამად იმუშავებს ამიერ-კავკასიაში გოგირდის სიმჟავის წარმოების მოწყობის პროექტს.

გოგირდის სიმჟავე განზრახულია დამზადებული იქნეს სპილენძის გადამდუღებელ ქარხნების გაზებიდან.

სექცია ამჟამად სწავლობს გოგირდის სიმჟავის დამზადების ეხლანდელ მდგომარეობას, არკვევს სიმჟავის საჭიროებას მრეწველობის ცალკე დარგებში და ადგენს ხარჯთაღრიცხვის წინასწარ პროექტს.

წყალთა მეურნეობა

წელს სარწყავი არხების გასაყვანათ მთელს ამიერ-კავკასიაში გადადებულია 5.025.000 მანეთი; აქედან საქართველოზე მოდის 1.505.000 მანეთი.

ამ თანხიდან გადადებულია: ჰალადიდის ჰაობების ამოსაშრობად 300.000 მანეთი, ალაზნის ველის მოსარწყავად — 800.000 მანეთი, სამურზაყანოს ველის მოსარწყავად — 150.000 მანეთი, ღილიმის მოსარწყავად — 185.000 მანეთი და ფოთის ჰაობების ამოსაშრობად — 70.000 მანეთი.

თბ. ალმასკომში

◆ მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად გადადებულია 10.000 მანეთი.

◆ ტრამვაის საჭიროებისათვის სხვადასხვა მასალების შესაძენად გადადებულია 60.000 მანეთი.

◆ ნატახტარიდან და ბულუჩაურიდან წყალსადენის გამოსაყვანად წინასწარი მუშაობისათვის გადაიდო 610.000 მანეთი. წყაროების გამოყვანა და წყალსადენის აგება დაახლოებით დაჯდება 8 მილიონი.

◆ რუქა. თბ. ალმასკომი შეუდგა თბილისის მაზრის ახალი რუქის შედგენას.

◆ **სანიტლექციები.** ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა ებრაელთა უბნებში სისტემატიურად მოაწყოს ლექციები სანიტგანათლების შესახებ.

◆ **საზემოსავლო** - პროგრესიულ გადასახადით თბილისში დაბეგრილია 4.698 კაცი.

◆ **ექიმთა აღრიცხვა დამთავრდა.** ექიმებს შეუძლიათ დაიბრუნონ სააღრიცხვო ბარათები.

◆ **ტრამვაის მუშათა სახლის მოწყობა** სავსებით დამთავრდება გაზაფხულზე. სახლის საზეიმო გახსნა მოხდება 1-ლ მაისს.

თბ. დამზღვევ სალაროში

◆ **დახმარების გაცემა.** დამზღვევ სალაროს დადგენილებით ყოველგვარი დახმარების მიღების დროს წარმოდგენილი უნდა იქნეს სანგარიშო და პროფკავშირის საწევრო წიგნაკები.

◆ **ღამის სანატორიუმის აგებას** სალარო შეუდგება მომავალ წლიდან.

◆ **სოც. დაზღვევის კამპანიის** ჩასატარებლად წინასწარი მუშაობა სავსებით დამთავრებულია.

◆ **ლიტერატურა.** სოც. დაზღვევის სამმართველო სცემს სოციალურ დაზღვევის შესახებ ახალ წიგნებს და პლაკატებს.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ხალიჩები.** საექსპორტო საზ-ბამ ტრანსპორტმა სტამბოლში გააგზავნა 250 შეკვრა ხალიჩა.

◆ **მატყლი.** საზ-ბა „მწყემს"-ს განზრახული აქვს მომავალ წელში საქართველოდან სარეალიზაციოდ გაიტანს 95.000 ფ. მატყლს.

◆ **ტრაქტორების** შესაკეთებლად „ზაკსელმაში" ა.-კ. რესპუბლიკების დედაქალაქებში ხსნის დიდ სახელოსნოებს.

შემთხვევები

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 22 დეკ. გაქურდეს ალექსანდრე ბალუაშვილის ბინა. წაღებულია ორი რევოლვერი და 130 მ. ნივთები.

◆ **შეპყრობა.** 22 დეკ. პლეხანოვის გამზირზე ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ვინმე დოლგონოვი.

◆ **თავდასხმა.** თბილისსა და ბორჩალოს მაზრებს შუა მტკვარის იქითა ნაპირზე მეცხვარეებს თავს დაესხნენ 12 შეიარაღებული ბოროტმოქმედი და გაიტაცეს 100 სული ცხვარი.

ხელოვნება

საჩვენებელი სალამო

კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა პროფესორ თამარ ტერ-სტეპანოვას მოწაფეთა საჩვენებელი სალამო. როგორც პროგრამა, ისე საერთო შესრულება იმის მაჩვენებელი იყო, თუ როგორ მაღლა სდგას მუსიკალური განათლების საქმე სახ. კონსერვატორიაში, კერძოთ პროფ. ტერ-სტეპანოვის კლასში. სალამოზე განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინეს მოწაფე ქალებმა: დიბმა მაზმანოვამ, ვარიანმა (დამთავრა წელს), ეგიაზაროვმა მინასოვამ, ვაჟებმა: პაპაჯანოვმა, კაზარიანმა (დაამთავრა გასულ წელს), დოლუხანოვმა და ბენდიცკიმ.

გ.

კონცერტი „პაიარტუნში"

სომეხ ხელოვანთა სახლის „პაიარტუნთან" არსებული მუსიკალური სტუდია ახალ დირექტორ რომანოს მელიქიანის ხელმძღვანელობით შეუდგა ენერგიულ მუშაობას. სწავლის გარდა, სტუდიაში დაიწყო საკონცერტო მუშაობა. სალამოების გამართვით განზრახულია მთელი რიგი ასეთ სალამოების გამართვა. უკვე გაიმართა სალამო, რომელზეც შესრულებული იქნა ბახის ნაწარმოებნი. ახლო ხანში გაიმართება მოცარტის, ბეთხოვენის და სხ. კომპოზიტორების სალამოები.

ახალგაზრდობის მუსიკის სალამო ლენინგრადში

27 დეკემბერს ლენინგრადში გაიმართება ახალგაზრდა მუსიკის სალამო, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მომღერალი მიტ. მჭედლიძე და კომპოზიტ. მეღვინეთუხუცესი.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** დღეს, ოპერის თეატრში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი ეიხენვალდის ხელმძღვანელობით.

◆ **თურქული წარმოდგენა.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **ა. ბლოკის დაუბეჭდავი ლექსები.** „ზაკკნიგამ" გამოსცა ა. ბლოკის დაუბეჭდავი ლექსების და წერილების წიგნი.

◆ **„პატი და პატაშონი".** კინო „მინიონში" დაიწყო ჩვენება სურათის „პატის და პატაშონის თავგადასავალი აგარაკზე".

◆ **„ვილგელმ ტელ".** 2 იანვარს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა: „ვილგელმ ტელ". დადგმა დ. ანთაძის.

სასამართლო

სამსახურისადმი გულგრილობა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. თენიეშვილის თავმჯდომარეობით გაირჩა ერვანდ შახნაზაროვის საქმე.

შახნაზაროვს ბრალდებოდა სამსახურისადმი გულგრილობა მუშკოოპის მე-4-ე მაღაზიის გამგეთ ყოფნის დროს.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ბრალდებულმა სამსახურისადმი გულგრილობით კოოპერატივს მიაყენა 877 მანეთის ზარალი.

სასამართლომ შახნაზაროვს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა 5 წელი.

მილიციელ ჭელიძის საქმე

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მოკლული მიტიუცკი არ გაყვა მილიციელ ჭელიძეს კომისარიატში. მიტიუცკი ყვიროდა: „მე სროლით, კომისარიატში არ წავალ". ბრალდებულმა ჭელიძემ ამოიღო რევოლვერი და მოკლა მიტიუცკი.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

გრ. სუპატაშვილის საქმე

ამა წლის აგვისტოს თვეში გრიგოლ სუპატაშვილი სოფ. განიდან (ქუთაისის მაზრა) ჩამოვიდა თბილისში სასწავლებელში შესასვლელად.

სუპატაშვილმა სასწავლებელში შესვლა ვერ მოახერხა. მატერიალურათ ის შევიწროებული იყო და ამიტომ მისი ნათესავი ერასტი სუპატაშვილი უწევდა სათანადო დახმარებას.

სუპატაშვილი მსახურობდა სახკინმრეწვის საწყობის გამგეთ. მან თავისი ნათესავი საწყობში მოაწყო დროებით სამუშაოზე.

ამა წლის 22 თებერვალს გრიგოლმა გასტეხა საწყობი და მოიპარა დაახლოებით 800 მანეთის საქონელი.

ერასტი სუპატაშვილს ეჭვი შეეპარა თავის ნათესავზე, რადგან 22 თებერვალს ბრალდებული ღამით სახლში არ მისულა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავეთ და განაცხადა, რომ ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა მატერიალური გაჭირვების გამო.

სასამართლომ გრიგოლ სუპატაშვილს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, როგორც მცირე წლოვანს სასჯელი შეუცვალა ერთი მესამედით, ხოლო დანარჩენი სასჯელი შეუცვალა პირობით.

მეცნიერება და ტექნიკა

მარკონის ცდის 25 წ. თავი

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს შესრულდა 25 წლისთავი ოკეანეთი პირველი რადიო-გადამცემის ცდის წარმატებით დამთავრების დღიდან. გადაცემული დეპეშა შესდგებოდა სულ სამი წერტილიდან — ასო ს-დან (მორზეს ანბანის მიხედვით).

მარკონი თავისი ორი თანაშემწეს — კემპისა და პეჯეტის თანხლებით ცდების წინ ორი დღით ადრე გაემგზავრა ნიუ-ფაუნდლენდის აღმოსავლეთ სანაპიროებზე დაბა სენ-ჯონში. წინასწარ, ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებზე, პოლდიუს ახლო, მოწყობილ იქნა გადამცემი რადიო-სადგური ანტენით, რომელიც გაბმული იყო 75 მეტრის სიმაღლის მქონე ანძებზე. ყოველდღიურათ 3-დან 6 საათამდე, ინგლისური დროით, ამ სადგურს განსაზღვრული სიგრძის ტალღით უნდა გადაეცა ერთი და იგივე ასო — ს.

სენ-ჯონში ჩასვლის შემდეგ, მარკონი მეორე დღესვე შეუდგა მიმღები სადგურის მოწყობას. ვინაიდან ახლო-მახლო მაღალი ანძა არ მოიპოვებოდა, გადაწყვიტეს ანტენა გაებათ პატარა აეროსტატზე. მაგრამ ქარი იმდენათ ძლიერი იყო, რომ ბაწარი გაწყდა და აეროსტატი გაფრინდა. მოამზადეს მეორე აეროსტატი და, მიუხედავათ დიდი ქარისა, კვლავ გაუშვეს. ბაწარმა გაუძლო და 15 წუთის შემდეგ ანტენა აწეულ იქნა 130 მეტრის სიმაღლეზე.

ლოდინში გაიარა რამოდენიმე საათი. დაბოლოს, ორის 10 წუთზე კემპმა, რომელიც მიმღებ აპარატთან იჯდა, ტელეფონში გაიგონა სამი წყვეტილი ხმა — სამი წერტილი.

მეტად ძნელია წარმოდგენა იმ უდიდესი კონტრასტის, რომელიც არსებობს რადიო-ტელეგრაფის ამ პირველ ნაბიჯსა და მის ახლანდელ მდგომარეობას შორის. სოკერი კატოდური ლამპი, რომელიც სუსტ ნიშნებს ათასჯერ და ათიათასჯერ აძლიერებს, შესაძლებლად ხდის ახლა ადამიანის ხმის გადაცემას მიღებას რამდენიმე ათასი ვერსის მანძილზე. თანამედროვე საოკეანო გემს ახლა განუწყვეტელი კავშირი აქვს დედამიწის თითქმის ყველა კუთხეებთან. რადიო-მოყვარულს, რომელიც სადღაც მიყრუებულ კუთხეში ზის, შეუძლია გაიგოს თუ რა ხდება ქვეყნიერებაზე.

იურიდიული დახმარება

კითხვა

მე ვარ ყოფილი მემამულე. მაქვს თუ არა უფლება მივიღო მიწა დასამუშავებლად იმ მაზრაში, სადაც მე მამული მქონდა.

შ. დ—ძე.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 9-ის პირველ შენიშვნისა, ყოფ. მემამულეს (ამ შემთხვევაში თქვენც) არა აქვს უფლება მიიღოს მიწა იმ მაზრაში, სადაც მას მამული ჰქონდა.

კითხვა

გარეთ (ე. ი. სხვაგან) მყოფ მიწის მუშას ეხსნება თუ არა მიწის სარგებლობის უფლება და რამდენი ხნის განმავლობაში? მაგალითად მე ვმუშაობდი „ზაჰესი"-ს სამუშაოებზე ორ წელ ნახევრის განმავლობაში და მიწას მართმევენ. კანონიერია თუ არა ასეთი მოქმედება?

ლეჩხუმელი მელიტონ მან-შვილი.

პასუხი

გარედ სამუშაოზე (ე. ი. სხვაგან) წასვლის დროს მიწის მუშას მიწის სარგებლობის უფლება ენახება მხოლოდ სამი წლის განმავლობაში. სამი წლის შემდეგ კი მისი ხვედრი მიწა, თუ ამ მიწას მისი ოჯახის წევრები საკუთარ შრომით არ ამუშავებენ, გადადის საადგილ-მამულო კოლეგიის დადგენილებით სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში. (იხ. მიწის კოდ. მუხ. 13). თქვენ კი გარედ გიმუშავნიათ მხოლოდ ორ წელ-ნახევარი და ამიტომ თქვენთვის მიწის ჩამორთმევა უკანონოა და უფლების აღსადგენად თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ საადგილ-მამულო სახამართლო კოლეგიას. (იხ. იქვე მუხ. 24).

კითხვა

რა რაოდენობით იხდიან ბინის ქირას ახალი საბინაო ტარიფის მიხედვით ისეთი მოსწავლეები, რომელნიც სწავლის ფულისაგან განთავისუფლებულნი არიან?

სტუდენტები.

პასუხი

ყველა ის მოსწავლეები, რომელთაც ეძლევათ სტიპენდია და ის მოსწავლეებიც, რომელთაც არ ეძლევათ სტიპენდია, მაგრამ სწავლის ფულისაგან განთავისუფლებული არიან, საცხოვრებელი მოედნის თითეულ კვადრ. მეტრზე იხდიან მხოლოდ ოთხ კაპეიკს. (4 კაპ.).

(იხ. ახალი „საბინაო ტარიფის" მუხ. 18) გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს № 248—1926 წ. 30 ოქტომბრიდან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტ. (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ გამანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. სიმონ ალექსანდრეს ძე კარტოზიას დღეს, 24 დეკემბერს, დილის 10 საათზე გამოცხადდეს ამხ. კვირიკაძესთან.

თბ. კომ. აღრ.-განაწ. განყოფილება.

შაბათს, 25 დეკემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ცალკე ფაკულტეტებთან არსებულ უჯრედების კრება, რომელზედაც აღრიცხული იქნებიან კომკავშირის წევრები.

სავალდებულოა ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება. ვინც არ გამოცხადდება ოფიციალურად იქნება გამორიცხული [illegible] უნდა იქონიოს საჭირო საბუთები (საკანდიდატო ბარათი, საწევრო წიგნაკი და სხვ.).

[illegible]

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია აგრონომ. ფაკულ. კომუჯრედის და კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა გაერთიანებული კრება.

სავალდებულოა ყველას დასწრება.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მამულაშვილი და მაზლი მიხეილ ალექსანდრეს-ძე მამულაშვილი ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 23 ამა თვეს დილის 4 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ელისაბედ დავითის ასული
მამულაშვილი

დაკრძალვა მოხდება მცხეთაში შაბათს, 25 ამა თვის. 1038

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ოლღა, ძმა ამბერკი, დები კატო, ვერა და ლიუდმილა, ძმები: იოსები და მიხეილი, სიძე ილიკო მგალობლიშვილი, დისშვილები დოდო, ლეო, მანიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ყოვლადწუთში მოსაგონარი სტუდენტი

ანდრია (ბაჩული) ამბერკის-ძე
მამფორია

დაკრძალვა მოხდება ს. ტობანიერში კვირას, 26 დეკემბერს. 1040

„კომუნისტი"
დიდი პოლიტიკური გაზეთი
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო
1927 წლისათვის—მიიღება ხელისმოწერა—1927 წლისათვის
გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	7 „	6—70
2 „	2 „	8 „	7—65
3 „	2—90	9 „	8—60
4 „	3—85	10 „	9—55
5 „	4—80	11 „	10—50
6 „	5—75	ერთი წლით	11 მან. 50 კ.

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30	7 „	8—80
2 „	2—60	8 „	10—00
3 „	3—80	9 „	11—30
4 „	5—[illegible]	10 „	12—60
5 „	6—25	11 „	13—80
6 „	7—55	ერთი წლით	15 მან.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში
1 თვით 1 მან. 50 კ.
1 წლით 18 მან.

საზღვარ-გარეთ
1 თვით 1 ნახ. დოლ. | 6 თვით 8 „
3 „ 4 „ | 1 წლით 16 „

ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 24
პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს" წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე ცხვედაძესთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშინაშვილი ესტატე
18. ოჩამჩირი—ვ. სხულიას განყოფ. გამგეს
19. სად. ბორჯომი—ბორის ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა" მაღაზიაში
20. ბორჯომ-ბაღი—იაშა ტერტეროვთან
21. ცხინვალი—გახელი ფაღლენიშვილთან.

და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორებში

განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით ქ. თბილისში

გახსნილია
უმაღლესი კოოპერატიული კურსები

უ. კ. კ. მიიღებიან:

1) უმაღლეს კურსდამთავრებულნი — უგამოცდოთ; 2) სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მუშაკნი — კოლოკვიუმით; 3) უნივერსიტეტში შესასვლელ გამოცდა ჩაბარებულნი — კონკურსით.

მე-2 სემესტრზე მიიღებიან ვისაც სახ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიურ ფაკულტეტზე პირველი კურსი (ორივე სემესტრი) მოუსმენია და ჩათვლილი აქვს.

სანკეტო ფურცლების, პროსპექტების, საჭირო ცნობების მიღება შეიძლება უ. კ. კ. კანცელარიაში: კამოს ქუჩა № 59 დეკემბრის 27-დან საღ. 5—8-მდე განცხადებები საჭირო საბუთებით მიიღება 10 იანვრამდე.

უ. კ. კ. დირექტ. პროფ. შ. ნუცუბიძე. სასწავლო ნაწილის გამგე სოც. ეკ. ფაკულტ. დეკანი ალ. ერქომაიშვილი

მომავალ დღესასწაულებისათვის
ღვინოები, არაყები, კონიაკები კოოპერატივ
„კონკორდია"-ში
იყიდება მუშკოოპის, ა. კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების, БЕЕЦ-ККА-ს, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კოოპერატივის და სხვ. ყველა მაღაზიებში, და აგრეთვე საკუთარ მაღაზიებში: 1) კირის ქუჩა № 19, 2) პუშკინის ქუჩა № 3, 3) [illegible] ქუჩა 80 და მელიქიშვილის (წყნეთის) 2
გამოშვებულია კონიაკი 50 გრად. ნ. 378

თბილისის ალმასკომის კომუნ. მეურნეობასთან არსებული ტექნიკური განყოფილება
ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 8 იანვარს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ორთაჭალის აბანოების „გოგილო"-ს (კახეთის ქუჩაზე) გადაკეთების სამუშაოებზე. ვისაც სურს აიღოს თავის თავზე ხსენებული სამუშაოები უნდა შემოიტანოს განცხადება დაბეჭდილ კონვერტებში არა უგვიანეს 1927 წლის 8 იანვრის 12 საათისა წარწერით: „1927 წლის 8 იანვრის კონკურენციისათვის „გოგილო"-ს აბანოების გასაკეთებლად" განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს ქვითარი განცხადებულ თანხის 10 პროცენტის ხაზინაში შეტანის შესახებ გარდა არტელებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისა. უძრავი ქონება გირაოთ არ მიიღება. პროექტის და მუშაობის პირობების გაცნობა შეიძლება ტექნიკურ განყოფილებაში (ოთახი № 346), სადაც არის ყუთი კონვერტებისთვის. ცნობებს მსურველები მიიღებენ ყოველდღე 9-დან 15 საათამდე, კვირა-უქმე დღეების გარდა.

ნ. 393 ტექნიკურ განყოფილების უფროსი ინჟენერი — ლეჟავა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სატუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25 1
ქტ. 768

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) საშვილოსნო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ.-მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს.

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02
25—1

სახელმწიფო დრამა
შაბათს, 25 დეკემბერს ი. გედევანიშვილის
სინათლე 1-ლი ნაწილი
დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა
კვირას, 26 დეკემბერს გლებოვის
ზაგმუკ
დადგმა ალ. ახმეტელის.
2—1 ნ. 392
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 24 დეკემბერს 1-ლი სიმფონიური კრება
ა. ა. ეიხენვალდის ხელმძღვანელობით
შაბათს, 25 დეკემბერს ევგენი ონეგინი
კვირას, 26 დეკემბერს ჰოფმანის ზღაპრები
ბილეთები იყიდება
ნ. 390

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
0—21 ნ. 287
სახ. სახკინმრეწვის ახალი სურათი
სავურ საფლავი
რეჟისორი ივ. ნ. პერესტიანი.
ოპერატორი ა. დ. დიღმელოვი.
პირველად თბილისში მხატვრული ფილმი
ზნეობის სკოლა
ანონსი: ამ დღეებში „ბერლინის ბუშები".
საუკეთესო კომედია, პირველად თბილისში
ნაჩქარევი ქორწინება
პროგრამის გარეშე „ლამაზი მსახური"
ბისტერ კიტონის მონაწილეობით

ცირკი
ძმ. ტანტეების
2—1 ნ. 391
ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტეების ხელმძღვანელ.
პარასკევს 24-ს, შაბათს, 25-ს და კვირას 26 დეკემბერს
სადღესასწაულო სანახაობანი
ჩამოვიდა და გამოდის დასის დამატებითი შემადგენლობა საუკეთესო ნომრები! 3 განყოფილება!
შაბათს 25-ს და კვირას 26 დეკემბერს საღამოს გარდა
დღის სანახაობანი ფართო პროგრამით დღის სანახაობათა დასაწყისი 1 საათზე, საღამოს 8 ნახ. საათზე დაწვრილებით აფიშებში—იკითხეთ! ადმინისტრატორი—ხელმძღვანელი მ. ი. ტადე

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

ექიმი ა. დ. შახბაზიან
ქალთა, საშვილოსნო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 6-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5

სენაკის კომუნალური ტრესტი „სენკომტრესტი"
დაწყებითი ბალანსი

1 ოქტომბრისათვის 1926 წ.

აქტივი.

I. ქონება:		
1. შენობანი და ნაგებობანი: ა) საწარმოვო დანიშნ.	75000 00	
ბ) საბინაო დანიშნ.	— —	
2. გაწყობილობანი და მანქანები	51989—17	
3. ხელსაწყო იარაღები	540—95	
4. ინვენტარი	11713—66	139243—78
II. მასალა:		
1. წარმოებითი ა) ძირითადი	— —	
ბ) დამხმარე	852 83	
გ) სათფობი	— —	
2. არა წარმოებითი	1100 85	1953—68
III. საქონელი გასაყიდი ფასით	— —	56870—18
IV. ფულადი სახსარი:		
1. ნაღდი ა) სალარო	1942—67	
ბ) სახელდახელო ანგარიშები	5122—62	
2. ფასიანი ქაღალდები: ა) ობლიგაციები	150 00	
ბ) პაიები და აქციები	5119—00	12334—29
V. ანგარიშ სავალდებულო თანხები	— —	13602—37
VI. სამისალებო ვალდებულებანი:		
1. სამისალებო თამასუქები პორთფელში	7472 05	
2. „ „ განაღდებულნი	50271—00	
3. „ „ პროტესტი ქმნილნი	3420—56	61163—61
VII. დებიტორები:		
1. სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	42155—34	
2. გამყიდველნი	37074—91	
3. მუშა მოსამსახურენი	132—03	
4. დასაბრუნებელი ხარჯები	197—50	
5. ჩამოწერილი ვალები 4498—09	1—00	79560—78
VIII. დაუმთავრებელი შენობანი და კაპიტალური რემონტი	— —	4133—76
IX. დაძღვ. საანგარიშო წლის ხარჯები	— —	450—00
ბალანსი	— —	3693 2 45
საკომისიო საქონელი	— —	32770—60

ბუღალტერი მ. ბიბმავა.

პასივი.

კაპიტალი:		
1. საწესდებო ა) ძირითადი	139743—78	
ბ) საბრუნავი	50176—91	189420—69
II. სესხები და კრედიტები:		
1. სარეზერვო სესხი	1063—00	
2. ბანკები თამასუქების განაღდებით	50271—00	51334—00
III. გაცემული თამასუქები	— —	51605—66
IV. კრედიტორები:		
1. სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	62331—95	
2. გამყიდველნი	576—96	62908 91
V. მოგება დამდეგ საანგარიშო წლის		14043—19
ბალანსი	— —	[illegible]12—45
კომ. [illegible]	— —	3 770—60

გამგეობის თავმჯდომარე მ. მ[illegible]. სარევიზიო კომისიის თავ-რე ბ. ჯოჯუა.
წევრნი: (ბ. გოგბიძე. წევრნი: (ჰ. ჩარაძია.
(ნ. ტიტური. (მ. ქაჯარავა. 1031

დაიკარგა სიღნაღის დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1399 და ამავე სალაროდან მოცემული მოწმობა გრიგოლ მიხეილის-ძე დემეტრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1034

დაიკარგა მუშკოოპის წევრო წიგნაკი № 11014 შალვა ბაქრაძეს სახელზე, ჩ. გ. 1029

დაიკარგა გარე-კახეთის რაი-პარტკომის დროს ვ. ივანტიევის პარტ. პირადი საქმე, ჩ. გ. 1029

დაიკარგა პასპორტი № 774 ალექსანდრე იაგორის-ძე კუჩიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1037

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული თბილისის ალმასკომის მიერ და ქართული წითელი თეატრის კონტრამარკა ორ სულზე აკაკი მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 1039

დაიკარგა საბინაო დავთარი დეკიანოზის მოედანი № 28, გრიგოლ ყაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 1033

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობა ბაგრატ ალექსის ძე სხირტლაძის სახელზე, ჩ. გ. 1035

დაიკარგა სამხედვაჭრობის მიერ გაცემული სამსახურის მოწმობა, შედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 70, სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 50120 და სამი თამასუქი, ორი თამასუქი ქვსასი მანეთის ზოსიმე ყუპარაძის მიერ ხელმოწერილი, მესამე თამასუქი სამასი მანეთის, გრიგოლ [illegible] მიერ ხელმოწერილი ზემო აღნიშნული საბუთები [illegible] კონსტანტინეს-ძე ზუნაძის სახელზე ჩ. გ. 1030